<sup>1</sup> Как уже отмечали выше, среди этих обстоятельств особую роль играет изменение уровня цен, поэтому вместо  $\delta$  можно использовать запись  $\delta = \delta(P)$ , а запись функции совокупного предложения  $Y^S(t)$  можно заменить на  $Y^S = Y^S(t, \delta(P))$ .

Можно показать, что налоговая ставка  $t^{**}$ , соответствующая максимуму функции Лаффера (6), которую называют также точкой Лаффера второго рода<sup>1</sup>, определяется следующим образом<sup>2</sup>:

$$t^{**} = \exp\left(-\frac{1}{1+\delta}\right).$$

Из данного выражения следует, что, при изменении  $\delta$ , меняется и значение  $t^{**}$ , и подобно кривым совокупного предложения получается множество, или семейство кривых Лаффера<sup>3</sup>. Однако, в отличие от кривой совокупного предложения, у которой для всех  $\delta$  имеется одно и то же значение максимума  $Y_{pot}$ , максимальное значение кривой Лаффера (6) для различных  $\delta$  различно. Дело в том, что для функции (6) имеет место условие<sup>4</sup>:

$$\max_t T^S(t, \delta) = \frac{\delta}{1+\delta} Y_{pot}.$$

Поэтому, при изменении  $\delta$ , меняется значение как налоговой ставки  $t^{**}$ , соответствующее максимуму кривой Лаффера, так и максимальная величина налоговых поступлений  $T^S(t^{**}, \delta)$ , которую можно получить в условиях этой ставки. В частности, при увеличении  $\delta$  увеличивается, а при уменьшении – уменьшается  $T^S(t^{**}, \delta)$ . Тут же отметим, что значение налоговой ставки  $t^{**}$  при увеличении  $\delta$  повышается, а при уменьшении – уменьшается. Следовательно, перемещению вправо  $t^{**}$  на оси налоговой ставки сопутствует увеличение значения  $T^S(t^{**}, \delta)$ .

На рис. 7 приведены кривые совокупного предложения и соответствующих ему бюджетных поступлений для разных значений  $\delta$ . В обеих частях рисунка (7а и 7б) подразумевается, что имеет место отношение:  $\delta_1 < \delta < \delta_2$ .

<sup>1</sup> Балацкий Е. В. Эффективность фискальной политики государства. Проблемы прогнозирования, № 5, 2000.

<sup>2</sup> Ананиашвили Ю. Ш., Папава В. Г. Модели оценки влияния налогов на результаты экономической деятельности. Экономика, финансы, налоги, № 2, 2010.

<sup>3</sup> Следует отметить, что в настоящее время существует множество статей и исследований, касающихся подтверждения или отрицания концепции кривой Лаффера, проблем ее практической реализации (см., например, Папава В. Лафферов эффект с последствием. Мировая экономика и международные отношения, № 7, 2001; Papava V. On the Laffer Effect in Post-Communist Economies (On the Bases of the Observation of Russian Literature). Problems of Economic Transition, Vol. 45, No. 7, 2002). Часть из них отрицает, часть же априори подтверждает существование названной кривой, при этом, если не считать случая разделения кривых на долгосрочной и краткосрочной периоды (Бьюкенен Дж. М., Ли Д. Р. Политика, время и кривая Лаффера. В кн.: М. К. Бункина, А. М. Семенов, Экономический человек: В помощь изучающим экономику, психологию, менеджмент. М., Дело, 2000), во всех них однозначно рассматривается кривая, а не совокупность кривых.

<sup>4</sup> Ананиашвили Ю. Ш., Папава В. Г. Модели оценки влияния налогов на результаты экономической деятельности. Экономика, финансы, налоги, № 2, 2010.




Рис. 7. Множество кривых совокупного предложения и кривых Лаффера

Допустим, что в состоянии начального макроэкономического равновесия, соответствующего данной ставке  $t$  кривую совокупного предложения представляет  $Y^S(t, \delta)$ , а кривую Лаффера –  $T^S(t, \delta)$  (см. рис. 7). Пусть, в этих условиях увеличился совокупный спрос, и правительство решило сохранить значение налоговой ставки на существующем уровне  $t$ . Для нас уже известна, что когда начальное макроэкономическое равновесие находится на восходящей части кривой предложения  $Y^S(t, \delta)$ , тогда в создавшейся ситуации сформируются новые функции и кривые совокупного предложения  $Y^S(t, \delta_1)$  и Лаффера  $T^S(t, \delta_1)$ , соответствующий которым  $\delta_1$  меньше, чем  $\delta_2$ . Если допустить, что в той же ситуации начальное макроэкономическое равновесие находится на нисходящей части кривой предложения  $Y^S(t, \delta)$ , тогда новые функции и кривые совокупного

предложения и Лаффера получают вид, соответственно определенный  $Y^S(t, \delta_2)$  и  $T^S(t, \delta_2)$ . При этом, будет иметь место неравенство:  $\delta < \delta_2$ . Ясно, что противоположные изменения произойдут в случае уменьшения совокупного спроса – кривые совокупного предложения и Лаффера переместятся соответственно в положения  $Y^S(t, \delta_2)$  и  $T^S(t, \delta_2)$ , если начальное макроэкономическое равновесие находится на восходящей части начального равновесия и в положения  $Y^S(t, \delta_1)$  и  $T^S(t, \delta_1)$ , если оно находится на нисходящей части.

Из проведенного анализа следует, что кривая Лаффера не является устойчивой конструкцией и может меняться в зависимости от создавшейся в экономике ситуации – особенно в результате изменения уровня цен, что подразумевает также и изменение  $t^*$ . В таких условиях распространенное среди сторонников теории предложения мнение о том, что желательно каким-либо способом определить значение ставки  $t^{**}$ , приносящей максимальные налоговые доходы в бюджет, которая ляжет в основу разработки экономической политики и совершенствования существующего налогового режима, теряет свою «привлекательность» и тем более актуальность, поскольку из-за происходящих в экономике изменений постоянно нужно будет менять установленную ставку, что, в конечном счете, принесет нежелательный результат<sup>1</sup>

#### MACROECONOMIC MODEL OF THE LAFFER-KEYNESIAN SYNTHESIS

Y. Ananiashvili  
V. Papava

*The article presents a model of macroeconomic equilibrium in which the aggregate demand and aggregate supply are considered not at the level of prices, as it is done traditionally, but in terms of functions dependent on the average tax rate. The concepts of optimal and equilibrium tax rates are introduced. In the first case, the volume of aggregate supply is maximal and in the latter case, the aggregate demand and supply coincide. Based on the analysis of the model, it is shown that when the government tries to maintain the equilibrium average tax rate at fixed level, the value of optimal tax rate becomes dependent upon the price level and relevant change in aggregate demand may lead to the approximation of optimal rate to the equilibrium rate. It is also demonstrated that every given value of the equilibrium tax rate can be matched with a set of functions and curves of aggregate supply and tax revenues of the national budget.*

<sup>1</sup> По мнению известного экономиста Роберта Баро, постоянное изменение налоговой ставки (как увеличение, так и уменьшение) вызывает в экономике больше искажений и невосполнимых потерь, чем режим налогообложения, имеющий фиксированную ставку (см., например: Сакс Дж., Ларрен Ф. Б. *Макроэкономика. Глобальный подход*. М., Дело, 1996, с. 245).

ეკონომიკის პროპელეტიკა

მილორდ სიჭინავა  
ეკონომიკურ მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

ეკონომიკის, როგორც მატერიალური სინამდვილის მოვლენის მეცნიერული კვლევა-გაზრებისა და შემდგომში უკვე მისი სწავლა-დაუფლებისა და გამოყენების პროცესი დღემდე შეადგენს თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების, ეკონომიკური განათლებისა და, შესაბამისად, ეკონომიკის მართვა-რეგულირების ერთ-ერთ ურთულეს პრობლემას. ამიტომ, მისი განხილვაც აუცილებელია დავიწყოთ რიგი უმარტივესი და, ერთი შეხედვით, თითქოსდა სრულიად ბანალური საკითხით: რა არის ეკონომიკა როგორც ობიექტური სინამდვილის მოვლენა და რა არის ეკონომიკური მეცნიერება საერთოდ, როგორც მისი თეორიული ასახვა, ანუ იგივე ეკონომიკური თეორია საერთოდ?

ყოველ ადამიანს, და, რა თქმა უნდა, ადამიანთა გარკვეულ ერთობლიობას – საზოგადოებასაც მთლიანად – საერთოდ კაცობრიობას, აქვს უამრავი მოთხოვნილება. მაგრამ ბუნება – ეს ობიექტი, რომლის ნაწილსაც შეადგენს იგი და რომლის წიაღშიც ცხოვრობს და ვითარდება კაცობრიობა – ეს სუბიექტი, – ნაკლებად თუ იძლევა მათი დაკმაყოფილების საშუალებებს მზამზარეულად. ამიტომ, ადამიანთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და, ამდენად, მათი არსებობისა და განვითარებისათვის მათ მიერ ბუნების საგნების გარკვეული ფორმით გარდაქმნა და გამოყენება, ანუ მათი მითვისებაა საჭირო და სწორედ ესაა **ეკონომიკაც**, ანუ ესაა, გარკვეული აზრით, იგივე **წარმოება**, იგივე **მეურნეობა**.

ამრიგად, ეკონომიკა როგორც ობიექტური რეალობის, ანუ იგივე მატერიალური სინამდვილის სფერო, – ესაა სწორედ ადამიანთა მიერ ბუნების საგნების მითვისება თავიანთ მოთხოვნილებათა შესაბამისად გარკვეულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფარგლებში და მათ მეშვეობით, ანუ ესაა ადამიანთა მიერ საარსებო საშუალებათა (იგივე მატერიალური დოვლათის) შექმნის (მოპოვების, დამზადების),

ანუ საკუთრივ წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების ერთობლიობა.

ადამიანთა მოთხოვნილებები მუდამ მზარდი და უსაზღვროა, ხოლო მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობები, ანუ ეკონომიკური რესურსები – შეზღუდული. ამიტომ, საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების ნორმალური მსვლელობისათვის მათი შესაბამისობაში მოყვანა, ანუ საზოგადოების განკარგულებაში არსებული ეკონომიკური რესურსების რაციონალური განაწილება-გამოყენებაა საჭირო, რაც საერთოდ ეკონომიკური მეცნიერებათა და, სახელდობრ, ეკონომიკის მთავარი ამოცანაა.

ადამიანებს მუდამ უნდოდათ უკეთ ეცხოვრათ. ამიტომ, ბუნებრივია, ისინი მუდამ ფიქრობდნენ მისი უზრუნველყოფის მატერიალური საფუძვლის – ეკონომიკის უკეთ მოწყობის შესახებ. ასე იღებდა სათავეს და თანდათანობით ვითარდებოდა ეკონომიკის, როგორც გარკვეული სხეულის მეცნიერული შეცნობა-გააზრებისა და მისი მოწყობა-მართვის პროცესი, მაშასადამე, იმის გარკვევა, თუ როგორია იგი იმგვარად, როგორც არის სინამდვილეში, ანუ მისი **პოზიტიური ანალიზი** და იმის მოაზრება, თუ როგორი სჯობია იყოს იგი სინამდვილეში პერსპექტივაში, ანუ მისი **ნორმატიული ანალიზი**. შესაბამისად ისახებოდა და ყალიბდებოდა ასევე მოსაზრებანი და შეხედულებები ეკონომიკის ამა თუ იმ სფეროსა თუ მთლიანად კაცობრიობის ეკონომიკური განვითარების, მისი რეალური ფუნქციონირებისა და შემდგომი სრულყოფის შესახებ. მაშასადამე, ჩნდებოდა ამ საკითხებზე **პიპოთეზები**, ანუ მეცნიერული ვარაუდები, **კონცეფციები**, ანუ მოსაზრებათა სისტემები ეკონომიკური განვითარების ამა თუ იმ საკითხზე ან კიდევ მათი ესა თუ ის გაგება და **თეორიები**, ანუ მოსაზრებათა თანმიმდევრული სისტემები ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა საკითხზე მათი ჭეშმარიტი მეცნიერული გააზრების პრეტენზიებით, ანუ იგივე თავად ეკონომიკური მეცნიერება, ეკონომიკური თეორია<sup>2</sup>.

ასე აღმოცენდა ძველი სამყაროს (შუმერის, ეგვიპტის, ბაბილონის, ჩინეთის, ინდოეთის, საბერძნეთის, რომის და სხვ.) მოაზროვნეთა

<sup>1</sup> მატერიალური, ანუ ობიექტურია ყოველივე ის, რაც ადამიანის ცნობიერების (აზრის, იდეის) მიღმა დევს და შეიძლება ასახულ იქნეს მის მიერ. ამდენად, მატერიალურის ანტიპოდი არა არამატერიალური, არამედ აზრისეული, იდეალური. ამიტომ, ამ თვალსაზრისით, არაზუსტია გამოთქმა: მატერიალური და არამატერიალური წარმოება, დოვლათი, სიმდიდრე.

<sup>2</sup> თუმცა, ეს უკანასკნელი თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში უმეტესწილად განიხილება არა როგორც ეკონომიკური მეცნიერებათა სისტემა მთლიანად, არამედ როგორც მისი მხოლოდ ზოგადი ნაწილი და, ამდენად, დამოუკიდებელი ეკონომიკური დისციპლინა.

მოსაზრებები კაცობრიობის ეკონომიკური განვითარების ამა თუ იმ საკითხზე, რაც მრავლად გვხვდება როგორც სხვადასხვა სახის წერილობით წყაროში, ასევე მოელ რიგ მითოსურ და ბიბლიურ გადმოცემაში. ამგვარად გაჩნდა და დამკვიდრდა ეკონომიკურ გამოკვლევებში თავად ტერმინი „ეკონომიკა“ ძვ.წ. IV საუკუნიდან დიდი ბერძენი მოაზროვნის, ქსენოფონტეს ნაშრომის – „ეკონომიკოსი“<sup>1</sup> – სახელწოდების მიხედვით, რომელიც მიეძღვნა საოჯახო მეურნეობის, ანუ, თანამედროვე ტერმინოლოგიით, იგივე მიკროეკონომიკის მოწყობა-მართვის კანონებს.

კაცობრიობის ეკონომიკური ცხოვრების განუწყვეტელი პროგრესი ისტორიულად არღვევს საოჯახო მეურნეობის ჩარჩოებს და წარმოებისა და გაცვლის განვითარების კვალდაკვალ წარმოშობს სამეურნეო საქმიანობის უფრო რთულ და მსხვილ სახესხვაობას, როგორცაა ძველი ბერძნული პოლისის<sup>2</sup> ეკონომიკა, ანუ, თანამედროვე ტერმინოლოგიით იგივე მაკროეკონომიკა, რომელიც უკვე სულ სხვა კანონებს ემორჩილება. ამიტომ საჭირო გახდა ასევე ეკონომიკის ამ ახალი მსხვილი ერთეულის შესწავლა და შესაბამისი გამოკვლევისთვის სათანადო სახელწოდების შერქმევაც. ასე წარმოიშვა და დამკვიდრდა კიდევ ეკონომიკურ გამოკვლევებში სწორედ ტერმინი „პოლიტიკური ეკონომია“, ცნობილი ფრანგი მკვლევარის, ანტუან მონკრეტენის ნაშრომის – „პოლიტიკური ეკონომიის ტრაქტატი“ (1615) სახელწოდების მიხედვით.

მაგრამ ეკონომიკა არ არის მარტოდენ მიკრო- და მაკროეკონომიკა. იგი მოიცავს აგრეთვე ქვეყნის მეურნეობის შუალედური რგოლების – გარკვეულ სფეროთა, დარგის და ა.შ. ეკონომიკას, ანუ, თანამედროვე ტერმინოლოგიით, იგივე მეზოეკონომიკას, და ასევე ცალკეულ ეროვნულ მეურნეობათა ერთობლიობის ეკონომიკას, ანუ, თანამედროვე ტერმინოლოგიით, იგივე მეგაეკონომიკას. შესაბამისად, მთლიანად კაცობრიობის ეკონომიკური განვითარების პროცესის შესწავლაც, ცხადია, მითხოს მისი ყველა ამ სახესხვაობის ცოდნასაც. ამიტომ, სწორედ აღნიშნული და ასევე, როგორც ჩანს, რიგი სხვა გარემოების

<sup>1</sup> სახელწოდება – „ეკონომიკოსი“, როგორც მიღებულია, შედგება ორი ბერძნული სიტყვისგან: „ეკოს“ – სახლი, შინამეურნეობა და „ნომოს“ – კანონი, თუმცა, არაა გამორიცხული, მათი არაბერძნული წარმომავლობა. შდრ. ავტორის სტატია: სახელწოდების – „პოლიტიკური ეკონომია“ თავისთავადი შინაარსისა და მის შესაძლო ქართველურ ფუძეთა შესახებ. – ჟურნ. „ეკონომიკა“, №10-12, 1998, გვ. 114-123.

<sup>2</sup> როგორც მიღებულია, ქალაქის, ქალაქ-სახელმწიფოს, საერთოდ ქვეყნის და სხვ. სახელწოდება ბერძნულად, თუმცა, ასევე, არაა გამორიცხული ტერმინის – პოლისის, არაბერძნული წარმომავლობა. შდრ. იქვე.

მიხედვით (როგორცაა, ვთქვამთ, მაგალითად, ერთმანეთისადმი უკიდურესად ურთიერთდაპირისპირებულ იდეოლოგიურ მიმართულებათა აღმოცენება თავად საკუთრივ პოლიტიკურ-ეკონომიურ გამოკვლევათა ფარგლებში<sup>1</sup>, საბაზრო ურთიერთობათა ინტენსიური შეჭრა-დანერგვა ეკონომიკის ყველა დარგსა და სფეროში და მისი განვითარების რეგულირების პრაქტიკულ საკითხთა დამუშავების საჭიროება და სხვ.), ტერმინის – „პოლიტიკური ეკონომია“ გამოყენება, ეტყობა, არ იქნა მიზნული ამგვარ გამოკვლევათა შესაფერ სახელწოდებად და XIX საუკუნის ბოლო ხანებში მეცნიერებაში იწყებს შემოსვლას ეკონომიკურ გამოკვლევათა ახალი სახელწოდება – „ეკონომიკის“, რომელიც უკვე მოიცავს ეკონომიკის ყველა სფეროსა და სტრუქტურას: მიკრო-, მაკრო-, მეზო- და მეგაეკონომიკას და ორიენტირებულია უპირატესად ეკონომიკური განვითარების პრაქტიკულ საკითხთა გადაწყვეტაზე. იგი ფართოდ ვრცელდება მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით აშშ-სა და ინგლისში, ეკონომიკური მეცნიერების ზოგად სახელწოდებად ა. მარშალის წიგნის – „ეკონომიკის პრინციპები“ (1890) გამოქვეყნების პერიოდიდან<sup>2</sup>. და, მართლაც, ეკონომიკის წარმოგვიდგება ერთიანი ეკონომიკური მეცნიერების, ანუ იგივე ერთიანი ეკონომიკური თეორიის<sup>3</sup> ერთ-ერთ ყველაზე მორგებულ თანამედროვე სახელწოდებად, ვინაიდან ეკონომიკა (Economy – ინგლისურად) – ობიექტური სინამდვილის სფეროა, ხოლო ეკონომიკის (Economics – ინგლისურად) – მისი მეცნიერული ასახვა. ამით მართლაც კარგი საქმე გაკეთდა და, ამდენად, თავიდან იქნა აცილებული ტერმინის

<sup>1</sup> როგორცაა, მაგალითად, მისი მეცნიერებაში ცნობილი წვრილბურჟუაზიული, ბურჟუაზიული, მარქსისტული თუ სხვა მიმართულებანი.

<sup>2</sup> ტერმინი ეკონომიკის, არაა გამორიცხული, ტერმინის ოიკონომიკოსი, ანუ, თანამედროვე ტერმინოლოგიით, როგორც ჩანს, იგივე ეკონომიკა ერთგვარ ინგლისურ ფონეტიკურ სახესხვაობას წარმოადგენდეს და არა სწორედ ვინმეს სპეციალურ გამოგონებას. დასაზუსტებელია ასევე ტერმინთა – ეკონომიკის და ეკონომიკის გამოყენების საკითხიც ქართულ ენაში. რაკი ქართულში უკვე მტკიცეაა დამკვიდრებული ტერმინი ეკონომიკა, ამიტომ მიუხედავად ინგლისური შერბილებული ქვეყნებისა, ალბათ, ქართული ენისთვის უფრო გამართლებული იქნებოდა ტერმინის – ეკონომიკის, გამოყენება.

<sup>3</sup> შდრ. განმარტება: „ეკონომიკა (დედნის მიხედვით – ეკონომიკის – მ. ს.) (ეკონომიკური თეორია) – ესაა მეცნიერება იმის შესახებ, თუ საზოგადოება როგორ იყენებს იშვიათ რესურსებს საქონლის წარმოებისა და მისი განაწილებისათვის ადამიანებს შორის“ (პ. ა. სამუელსონი, ვ. დ. ნორდჰაუსი. ეკონომიკა (დედნის მიხედვით – ეკონომიკის – მ. ს.). XV გამოცემა. ტ. 1. მთარგმ. და პასუხისმგ. რედ. კ. ლურჯია. თბ., 2000, გვ. 44), სადაც აშკარად გაიგივებულია ეკონომიკის და ეკონომიკური თეორია. და კიდევ: „ორი განსტოება – მიკროეკონომიკა (მიკროეკონომიკის – მ. ს.) და მაკროეკონომიკა (მაკროეკონომიკის – მ. ს.) – ერთად ქმნიან თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებას“ (იქვე, გვ. 45)

„ეკონომიკა“ ორგვარი – როგორც სინამდვილის სფეროსი და როგორც მისი მეცნიერული ასახვის – გამოყენება, რაც ხშირად ქმნიდა სირთულეებსა და გაუგებრობებს რიგი საკითხის მეცნიერულ გააზრებასა და გადმოცემაში<sup>1</sup>.

მაგრამ, ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის შემდგომმა განვითარებამ და, განსაკუთრებით, ნორმატიული ეკონომიკური გამოკვლევების წინწამოწევის საჭიროებამ ეკონომიკის კურსის გადმოცემაში, აღნიშნულ მეცნიერებას ეკონომიკის კვლევის თითქმის ყოველსამომცველი სახე მიაღებინა და ამით წარმოშვა კიდევ ხშირი პარალელიზმი რიგი საკითხის ეკონომიკურ გამოკვლევებში<sup>2</sup>. ამიტომ საჭირო გახდა ეკონომიკის კურსის დაყოფა სხვადასხვა დონედ, პირველი, მეორე და ა.შ., რამაც ისევ და ისევ აღმოაცენა რიგი სიმწელი და სირთულე.

ეკონომიკა, როგორც გარკვეული სხეული, როგორც გარკვეული თვითგანვითარებადი სისტემა, ერთგვარ შენობას წააგავს. ამიტომ, როგორც საერთოდ ყოველგვარ შენობას, მასაც გააჩნია თავისი საძირკველი და სათავე. საიდანაც იწყება მისი განვითარება, მისი შენება, – და კარკასი, მისი ძირითადი, მზიდი ნაწილი, რაზედაც განსხეულდება ისტორიულად შემდგომში მისი ესა თუ ის სახესხვაობა თავისი საკუთარი შინაგანი იმპულსებისა და მამობრავებელი ძალების, ანუ იგივე მისი იმანენტური ობიექტური ეკონომიკური კანონ-

<sup>1</sup> თუმცა, დასაძინია, რომ თანამედროვე ინგლისურ ენასა (და რიგ სხვა ენაში, მათ შორის სწორედ ქართულ ენაშიც) და, შესაბამისად, ასევე თავად ეკონომიკურ გამოკვლევებშიც (შრომებში), როგორც ჩანს, ეს ტერმინები ასე მკაფიოდ გამოიჯნული არაა. მეტიც, ტერმინი economy გამოიყენება უპირატესად სწორედ როგორც ეკონომიკის, მეურნეობის, economic – ეკონომიურის, ხოლო – economics – როგორც საკუთრივ ეკონომიკის, სახალხო მეურნეობის, ისე სახელდობრ ეკონომიკური მეცნიერების, ეკონომიკური თეორიის სახრისით (შდრ. რ. ასათიანი. ეკონომიკური თეორია და ეკონომიკის: ერთიანობა და განსხვავება. თბ., 2005, გვ. 27-28).

<sup>2</sup> შდრ. ჯ. ჩხიკვაძე. ეკონომიკური თეორია და საბაზრო ეკონომიკა. ჟურნ. „ეკონომიკა“, 1994, №4-5: ჯ. პაჭკორია. „ეკონომიკის“ თუ ერთიანი პოლიტიკური ეკონომია. თბ. 1994; ირ. ქვანახია. თეორიული ეკონომიკა. თბ., 1996; რ. ბასარია, ი. მესხია. ეკონომიკური თეორიის საფუძვლები. თბ., 1996; ლ. ჩიქავა. ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი. თბ., 1997; კ. ლურჯია. ეკონომიკური თეორია. თბ., 2001; ეკონომიკური თეორია. სახელმძღვანელო. ავტ. კოლექტ. გ. ადგიშვილისა და რ. ასათიანის რედ., თბ. 1998; მ. გველესიანი. ეკონომიკური თეორია. საგანი, პრობლემები, ამოცანები. თბ., 1999; ვ. პაპავა. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის „პოლიტიკური ეკონომია“ და საქართველოს ეკონომიკა. თბ., 2002; პ. ლეიაშვილი. ეკონომიკური თეორია და პრაქტიკა გარდამავალ ეტაპზე. თბ., 2002; რ. ასათიანი. დასახ. ნაშრ.; ა. სილაგაძე, ჯ. კახიაშვილი, ე. მექვაბიშვილი. მიკროეკონომიკისი. თბ., 2006; გრ. თოდუა, რ. გუგოხია, რ. ქუტიძე. ეკონომიკის პრინციპები. მიკროეკონომიკა. მაკროეკონომიკა. თბ., 2008, 2010; ხ. ვეიშანი. ეკონომიკის საფუძვლები. კითხვები, პასუხები, სქემები. მოკლე კურსი. თბ., 2010 და სხვ.

ების მოქმედების შედეგად. შესაბამისად, მსგავსი სტრუქტურა უნდა გააჩნდეს აგრეთვე თავად სახელდობრ ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემას, ანუ იგივე ეკონომიკურ თეორიასაც მთლიანად, როგორც ამ სინამდვილის ასახვას, რის გამოც ეკონომიკის მთლიანი კურსიც უნდა დაიყოს მის **ზოგად და კონკრეტულ** ნაწილად, რომელთაგანაც საკუთრივ პირველს „**ეკონომიკის ზოგადი კურსი**“<sup>1</sup>, ანუ სხვაგვარად **„ეკონომიკის პროპედევტიკა“**<sup>2</sup> უნდა ეწოდოს, კურსი, რომელიც უნდა სწავლობდეს იმ კანონზომიერებებსა და პრინციპებს, რაც საფუძვლად უდევს სწორედ მის ყველა დანარჩენ დონესა და ასევე ყველა დანარჩენ ეკონომიკურ მეცნიერებას და რომელიც, ამდენად, შეადგენს ერთგვარ მოსამზადებელ სამუშაოსაც, ანუ მართლაცდა ნამდვილ პროპედევტიკას საერთოდ ეკონომიკის – კაცობრიობის ცხოვრების ამ ურთულესი საფუძვლის, ჭეშმარიტ მეცნიერულ გააზრებასა და დაუფლებაში<sup>3</sup>.

**Propaedeutics of Economics**

M. Sichinava

This article deals with economic sciences on the whole, i.e. with economic theories, and in particular with economics. It discusses the problems of its origin, formation and development. The author suggests that similarly to established traditions in some disciplines it would be appropriate to separate its general part from the detailed one as an independent but preliminary course in economics as its propaedeutic. According to the author this new course should be named as Propaedeutics of Economics.

<sup>1</sup> შდრ. **Общая экономическая теория (политэкономия). Учебник под. ред. Видяпина В. И., Журавлёвой Г. П., М., 1995;** გ. შუბლაძე. პოლიტიკური ეკონომია, „ეკონომიკის“ თუ ზოგადი ეკონომიკური თეორია? „საქართველოს რესპუბლიკა“, 3.04.2002; რ. ასათიანი. დასახ. ნაშრ., გვ. 25 და სხვ.

<sup>2</sup> პროპედევტიკა – ბერძნ. propaideo – წინასწარ ვასწავლი – რაიმე მეცნიერების შესავალი; პროპედევტიკული – მოსამზადებელი; პროპედევტიკული კურსი – რაიმე მეცნიერების წინასწარი მოსამზადებელი, შესავალი კურსი, მისი სისტემური, შემჭიდროებული, ელემენტარული გადმოცემა, რომელიც ამ მეცნიერების უფრო ღრმა დაუფლების საფუძველია. (იხ. **Словарь иностранных слов. М. 1986**). შდრ. საგნის სახელწოდება: „შინაგან დაავადებათა პროპედევტიკა“.

<sup>3</sup> ავტორს განზრახული აქვს მიუძღვნას განხილულ პრობლემას კიდევ რამდენიმე სტატია და შემდეგ სპეციალური ნაშრომიც. მომდევნო ორ სტატიაში, საგარაუდოდ, ერქმევა: „ეკონომიკის პროპედევტიკა: კურსის აგების სიმნედეგები და პრინციპები“ და „ეკონომიკის პროპედევტიკა: კურსის საგარაუდო გეგმა-პროგრამა“.

კოოპერაცია –  
ქართული სოფლის ალორკინების გზა

პაატა კოლუაშვილი  
ივანე ჯავახიშვილის  
ოსტეოპროფესორი,  
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

ნებისმიერ ქვეყანაში, სოფლად მოსახლეობის რეალური დასაქმებისა და შედარებით მოკლე დროში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სათანადო დონის მიღწევა, **მხოლოდ სისტემური ცვლილებებითა და კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებითაა შესაძლებელი**. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი **ადამიანური რესურსების სამეწარმეო აქტივობის ამაღლებაა**. უნდა გვესმოდეს, რომ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების უძირითადესი პროდუქტია ჯანმრთელი, მაღალკვალიფიციური, სოციალურად და გონებრივად განვითარებული ადამიანი, იგი ქვეყნისთვის არანაკლებ დიდი განძია, ვიდრე ეკოლოგიურად სუფთა გარემო და მსოფლიოში რეალიზებადი პროდუქტია. ამ მიმართულებით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება ადასტურებს, რომ შრომითი რესურსების სამეწარმეო გააქტიურება ყველაზე კარგად **სოფლად კოოპერაციული მოძრაობის განვითარებითაა შესაძლებელი**. საყურადღებოა, რომ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძვლად კოოპერაციულ საწყისებზე დამყარებული სოლიდარობისა და ურთიერთდახმარების გზა აიჩინეს თავის დროზე ევროკავშირის ქვეყნებმა, აშშ-მა, ისრაელმა და განვითარებული ეკონომიკის მქონე ბევრმა სხვა (მათ შორის ბალტიისპირეთის) ქვეყანამაც. ეს პროცესი ყველგან **სახელმწიფოს აქტიური მათრეინტერეგული, მათრეინ-ზებელი როლითა და ხელშეწყობით წარმართა**, ანუ ამ ქვეყნებში ფუნქციონირებდა რეალურად აქტიური სახელმწიფოებრიობა და არა ატროფირებული. აგროსამრეწველო ინტეგრაციისა და კოოპერაციის მრავალი წარმატებული მაგალითი გვინვენებს, რომ კოოპერაციული შრომის უკუგების ხარისხი გაცილებით მაღალია

ინდივიდუალურ შრომასთან შედარებით.

საქართველოს უდავოდ შეუძლია კოოპერაციულ საწყისებზე მოახდინოს სოფლის მოსახლეობის სამეწარმეო აქტივობის მობილიზაცია და არა მარტო სოფლის მეურნეობის, არამედ მასთან ტექნიკურ-ტექნოლოგიურად დაკავშირებული დარგების სწრაფი რეაბილიტაცია და შემდგომი განვითარება. **სოციალურ სოლიდარობაზე დაფუძნებული მეურნეობრიობის ახალი ფორმების დამკვიდრებას**, ავტომატურად მოსდევს სოფლის მოსახლეობის მასობრივი დასაქმება, მათი შემოსავლების მკვეთრი ზრდა, აგრარული შრომის ავტორიტეტის ამაღლება და სოფლის კომპლექსური და დაჩქარებული განვითარება. ესაა ცნების – „**ჯანსაღი საშუალო ფენა**“, რეალური შინაარსი.

საქართველოსთვის წარმოებით ურთიერთობათა ფორმის არჩევა დიდად მნიშვნელოვანია როგორც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ასევე ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის თვალსაზრისით. საქართველო, მისი ეთნოკულტურული და ეთნოფსიქოლოგიური მახასიათებლებისა და არჩეული პოლიტიკური გეზიდან გამომდინარე, უდავოდ იმსახურებს განვითარებული ქვეყნების რიგში ყოფნას და მით უფრო სწრაფად შეძლებს ამას, რაც უფრო ინტენსიურად გატარდება დემოკრატიული სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები.

ამ რეფორმებიდან უმნიშვნელოვანესია **საქართველოს მრავალდარგოვანი აგრარული სექტორის რეფორმა**, რომელიც გადაუდებლად მოითხოვს **მიწის წვრილ მესაკუთრეთა ნებაყოფლობითი კოოპერაციული გაერთიანებების ჩამოყალიბებას და მათ ინტეგრაციას გადამშუშავებელ საწარმოებთან**, ბაზრებთან კავშირის აღდგენას, სპეციალური აგროსაკრედიტო (ურთიერთდახმარების, კოოპერაციული ტიპის) სისტემის ფორმირებას და განვითარებული აგრარული (აგროტექსერვისისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფის) სტრუქტურების შექმნას, ასევე – ეფექტიანი საგადასახადო, სადაზღვევო, ეროვნული ბაზრის დაცვის, საფინანსო, ფულად-საკრედიტო, საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებას. შედეგად, კოოპერაციული ფორმების გამოყენებით, ადგილებზე მივიღებთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, გადამშუშავებისა და რეალიზაციის ინტეგ-

რირებული სისტემის (ერთიანი ციკლის) შექმნას, სადაც გლუხკაცი (ფერმერი) დაინტერესებული იქნება ერთობლივი საქმიანობის ყველა საფეხურით, საწარმოო პროცესისა და მომარაგების ყველა დეტალით დაწვებული და საბოლოო პროდუქტის რეალიზაციიდან ამონაგებით დამთავრებული, რადგან პრაქტიკულად, მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი მისი შემოსავლების ზრდა და სოციალური პრობლემების მოგვარება. ამასთან, უნდა გვხსოვდეს, რომ **სოფლად კოოპერაციული გაერთიანებების ჩამოყალიბება არის დარგის სპეციალისტებზე მოთხოვნის გაჩენის ძირითადი გზა**<sup>1</sup>.

აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოში ზოგიერთი სახელმწიფო ინსტიტუტი საზოგადოებრივი (კოოპერაციული) ბიზნესის განვითარების მიმართულებებს მხოლოდ კერძო ინიციატივითაა ჭრილით განიხილავს, რაც უადრესად აკნინებს ასეთი პროექტების რეალურ მნიშვნელობას. რა თქმა უნდა, კერძო ბიზნესის განვითარებას და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას აქვს დიდი მნიშვნელობა, მაგრამ თუ არსებობს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვა, უფრო ძლიერი მოტივებიც და სათანადო პროგრამებიც, რომლებიც მოქმედებს საზოგადოების მრავალრიცხოვანი წევრების როგორც სოციალურ, ასევე ეკონომიკურ ინტერესებზე, თუ შესაძლებელია ორმაგი (და რიგ შემთხვევაში, კიდევ მეტი) ეფექტის მიღება როგორც ქვეყნის ეკონომიკური დარგების, ასევე სოციალური სფეროს სწრაფი რეაბილიტაციისა და განვითარებისთვის, მაშინ სახელმწიფოს მხრიდან ხსენებულ მიმართულებათა იგნორირება და მხოლოდ სოციალური სფეროს განვითარებაზე (მით უფრო – არაადეკვატურად წარმოსახულზე) აქცენტის დასმა და პრიორიტეტის მინიჭება **სერიოზულ მეთოდოლოგიურ შეცდომად** უნდა ჩათვალოს. საზოგადოებამ და ხელისუფლებამ უნდა გაიცნოს ბიზნესი, რომ სოციალური პოლიტიკის ერთადერთ და ყველაზე ძლიერ ფუნდამენტს სწორედ ეკონომიკური ასპექტი წარმოადგენს, რომელიც მატერიალური დოვლათის განაწილების ორი ძირითადი პრინციპის – **ეკონომიკურისა და ეთიკურის** – ოპტიმალური სინთეზის საშუალებას იძლევა და რომ მხოლოდ საზოგადოების თითოეული წევრის კერძო სამეწარმეო ინიციატივის განვითარებასა

<sup>1</sup> პაატა კოლუაშვილი, როგორ ავადორძინოთ ქართული სოფელი. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №7-8, 2010.

და სამეურნეო სისტემის სრულყოფაზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკა შეიძლება გახდეს საქართველოში სიღარიბის დაძლევისა და საშუალო ფენის ჩამოყალიბების უმთავრესი და მყარი საფუძველი.

**ადამიანები მხოლოდ ჭამისთვის არ ცხოვრობენ, არც მხოლოდ პროდუქციის შექმნისთვის თავისუფალი ეკონომიკის პირობებში, არც ბიუჯეტის შევსებისთვის. ისინი ცხოვრობენ იმისთვისაც, რომ გვარი და ჯიში გააგრძელონ, ერი გაამრავლონ, სამშობლოს ფესვი გაამაგრონ, ახარონ და ადღეგრძელონ იგი აწ და მარადის. ადამიანთა ერთ-ერთი სოციალური კატეგორიაა გლეხი. ეს სიტყვა სინონიმი არაა არც „არანასწავლის“, არც „ტლუსი“, არც „დაბალი დობისა“. იგი სინონიმია „ქვეყნის პირველი ნომერი მარჩენალისა“, „საკუთარ ფეხზე მდგომისა“, „ერის ფესვისა და რეხერვისა“. მიტომაც, სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა არის, სხვა ყველა ამოცანასთან ერთად, სოფლის მოსახლეობის მოფრთხილებისა და საზოგადოების გამოსაკვებად მისი შრომის სტიმულირების პოლიტიკა. ასეა ჯანსაღ ქვეყნებში – ნაკლებ განვითარებულიდან დაწყებული და ყველაზე განვითარებული დემოკრატიებით დამთავრებული. მათ იციან, რომ წააგებს ყველა, ვისაც არასწორი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა აქვს.**

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების Cდღევანდელი მდგომარეობა ობიექტურად მოითხოვს ყოველმხრივ გააზრებული და ეფექტიანი პროგრამების განხორციელებას, რამაც სოფლის რაიონებში მოსახლეობის სამეწარმეო გააქტიურების საფუძველზე მუშახელის მასობრივი დასაქმება და სოფლის მეურნეობის პროდუქციის მაღალი ტემპებით ზრდა უნდა უზრუნველყოს.

სამშუხაროდ, ყველაზე მნიშვნელოვანი რეზერვი, რომლის ამოქმედება, პირველ რიგში, უნდა გახდეს მოსახლეობის დიდი ნაწილის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სწრაფი გაჯანსაღების საფუძველი, დღემდე დაკონსერვებულია. ეს რეზერვია საზოგადოების თითოეული წევრის სამეწარმეო გააქტიურება და პრობლემების საერთო ძალისხმევით მოგვარება.

მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარების მიზნით, მოსახლეობის სამეწარმეო გააქტიურება შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოს

მხრიდან კოოპერაციული სექტორისთვის აქტიური დახმარებისა და ხელშეწყობით. სწორედ, აღნიშნულის გათვალისწინებით, ჯერ კიდევ 1999 წელს, USAID-ის დაფინანსებითა და ხელშეწყობით, სოფლის რაიონებში დაფუძნდა **სათემო ორგანიზაციები სოციალური პროგრამების განხორციელებისთვის.**

სათემო ორგანიზაცია (კავშირი) ნებაყოფლობით საწყისებზე აერთიანებს ერთ კონკრეტულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანებს თავიანთ სოფელში ან უბანზე არსებული პრობლემების გადაჭრის მიზნით.

თემის სამეწარმეო მობილიზაციის მიმართულებებს შორის განსაკუთრებული ადგილი ენიჭება ეკონომიკურ ნაწილს, რადგან სწორედ ეკონომიკური ეფექტიანობის პრინციპზე დამყარებული პროექტებია რეალური სიცოცხლისუნარიანობისა და სტაბილური განვითარების ძლიერი გარანტიები. აქ თემის მობილიზაცია შეიძლება გახდეს სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დარგების ახლებური ორგანიზაციული მოწყობის, მისი ეფექტიანობის ამაღლებისა და შესაბამისად, თემის წევრთა შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდის რეალური მექანიზმი, რაც, თავის მხრივ, მოსახლეობის სოციალური განვითარების ძლიერ საფუძველს წარმოადგენს. ამის თვალსაჩინო მაგალითია სოფლის მეურნეობის ის დარგები, სადაც არსებობს აგროპროდუქტების წარმოებისა და გადამამუშავების ჩამოყალიბებული ტრადიციები, რაც ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. ასეთებია: მევენახეობა-მეღვინეობა, ხილ-ბოსტნეულისა და საკონსერვო პროდუქციის წარმოება, ციტრუსი, ჩაი და სხვა. დღეს აგრარულ სფეროში მწვავე კრიზისია, რომლის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს, სხვა პრობლემებთან ერთად, სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა ინტერესების გათიშულობაა.

სოფლის მეურნეობის დარგები წარმოადგენს ერთიან სისტემას, რომლის ეფექტიანობა დამოკიდებულია როგორც მისი შემადგენელი ძირითადი ელემენტების იმანენტურ თვისებებზე, ასევე ამ რგოლებს შორის არსებულ ურთიერთკავშირებზე. რაც უფრო მჭიდროა (ორგანულია) ეს ურთიერთკავშირები, მით მეტად სრულყოფილი და ეფექტიანია ეს სისტემა. შესაბამისად, ამ კავშირების დარღვევა ხდება ამ დარგების პარალიზების მიზეზი, რომლის სავალალო

შედევებიც სახეზეა საქართველოში.

როგორც ცნობილია, თავისუფალ ბაზართან ურთიერთკავშირის ასპექტით, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება ორ ძირითად ჯგუფად იყოფა:

ა) იმ კატეგორიის პროდუქციის წარმოება, რომელსაც გადამუშავების გარეშე გააჩნია სასაქონლო სახე. მას ფერმერი უშუალოდ მიაწოდებს ბაზარს ან მოიხმარს პირადი ინტერესებისთვის. ასეთებია: ხილი, ბაღჩეული, ბოსტნეული, ციტრუსი, ნაწილობრივ ხორცისა და რძის პროდუქტები და სხვა. ამ ტიპის პროდუქციის წარმოება, მრავალი სირთულის მიუხედავად, შედარებით მოწესრიგებულია და ამას ძირითადად ის გარემოება განაპირობებს, რომ გლეხი უშუალოდაა დაკავშირებული სარეალიზაციო ბაზრებთან და კონტროლს უწევს საკუთარი პროდუქციის რეალიზაციიდან სასურველი კომერციული შედეგის მიღებას. ამდენად, კავშირი: ფერმერი – პირველადი პროდუქციის წარმოება – შეიძლება ჩაითვალოს როგორც მყარი;

ბ) ისეთი პროდუქციის წარმოება, რომელიც განკუთვნილია გადამუშავებისთვის. ასეთებია: ჩაი (ჩაის ფაბრიკებისთვის), ყურძენი (ღვინის ქარხნებისთვის), ხილი, ბოსტნეული, ბაღჩეული (საკონსერვო წარმოებისთვის), ხორცი და რძე (ხორცისა და რძის კომბინატებისათვის) და სხვა. **სწორედ ეს არის ის სფერო, სადაც ფერმერი იზოლირებულია თავისუფალი სარეალიზაციო ბაზრისაგან, რადგან ასეთი პროდუქციის ძირითადი მომხმარებელი მხოლოდ შესაბამისი გადამამუშავებელი საწარმოა.** ამდენად, ამ ტიპის პირველადი პროდუქციის წარმოება მთლიანად დამოკიდებულია გადამამუშავებელი საწარმოს ფუნქციონირების ეფექტიანობაზე. აღსანიშნავია, რომ ამ სფეროზე მოდიოდა ქვეყნის მშპ-ს ძირითადი ნაწილი (1970-80-იანი წლები).

ზემოაღნიშნული დარგების მდგომარეობა დღეისათვის კრიზისულია, რომლის ძირითადი მიზეზებია:

1. არაკონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება და სარეალიზაციო ბაზრების დაკარგვა;

2. ინტერესთა კონფლიქტი გადამამუშავებელ საწარმოებსა და პირველადი პროდუქციის (ნედლეულის) მწარმოებლებს (ფერმერებს) შორის.

ბოლო წლებში განვითარებულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ გადამამუშავებელ საწარმოებს ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე დააკისრა “წამყვანის” როლი აგროსასაქონლო სექტორში. მიუხედავად იმისა, რომ ამ საწარმოების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულია ქვეყნის მსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ძირითადი სამეურნეო საქმიანობა და შემოსავლები, გადამამუშავებელ საწარმოთა მესაკუთრენი, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები, ამ საწარმოთა მუშაობის გაჩერებისა და შესაბამისად, **სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ დარგის პარალიზების შემთხვევაში, პასუხს აგებენ არა ამ დარგებში დასაქმებული ათასობით ადამიანის, არამედ მხოლოდ თავიანთი ბიზნესის წინაშე.** ეს სიმახინჯავა. სწორედ ესაა სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელ საწარმოთა სფეროების გათიშულობისა და ინტერესთა კონფლიქტის ძირითადი მიზეზი.

სოფლის მეურნეობასა და გადამამუშავებელ საწარმოთა შორის ინტერესთა კონფლიქტი ზოგადია და იგი დამახასიათებელია პოსტსაბჭოური სისტემის თითქმის ყველა ქვეყნისათვის. მათი ინტერესთა შეუთავსებლობა ყველაზე მკვეთრად ვლინდება გადამამუშავებელი საწარმოების მიერ აგრარული პროდუქციის (ნედლეულის) შესყიდვისას. გადამამუშავებელი საწარმოები საკუთარი დანახარჯების შემცირების მიზნით ფერმერებისაგან პროდუქციას შეისყიდვიან რაც შეიძლება დაბალი ფასებით, რომელიც ვერ ანახლავს ამ პროდუქციის წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებსაც კი. ფერმერი, თავის მხრივ, დაინტერესებულია საკუთარი პროდუქციის რეალიზაციით დაფაროს დანახარჯები და მიიღოს გარკვეული მოგება ადამიანებისა და პირადი მოხმარების მიზნით, მაგრამ იმის გამო, რომ მისი პროდუქციის ძირითადი მიმღები შესაბამისი გადამამუშავებელი საწარმოა, იგი იძულებულია დათანხმდეს პროდუქციის შესყიდვის დისკრიმინაციულ ფასებს. ეს კი იწვევს ფერმერების მოტივაციის დაკარგვას აგროპროდუქციის წარმოების მიმართ, რაც თავის მხრივ, უმნიშვნელოვანესი დარგების განადგურების მიზეზი ხდება<sup>1</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ გადამამუშავებელ საწარმოებს შორის არსებობს ერთეული გამონაკლისი, რომლებმაც ნაწილობრივ შეძლო წარმატებების მიღწევა, უნდა აღინიშნოს, რომ მათი წილი

უმნიშვნელოა და ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი დარგები პარალიზებულია, რაც ავტომატურად იწვევს აგრარულ სექტორში დასაქმებული ასიათასობით ადამიანის სამეურნეო საქმიანობის პარალიზებას. ისინი იძულებული არიან ეძიონ შემოსავლის მიღების ალტერნატიული გზები, ტოვებენ მიწას, სოფელს, ოჯახს და ძირითადად (უკეთეს შემთხვევაში) ეძალებიან დიდ ქალაქებში არსებულ წვრილ ვაჭრობას, რისი გამოცდილებაც მათ არ გააჩნიათ. ამიტომ, მათი პერსპექტივა სრულიად არაპროგნოზირებადი და ბუნდოვანია.

**პრობლემის მოგვარების გზები:**

ზემოსხენებული პრობლემების მოგვარება ყველაზე ეფექტიანად სწორედ თემის სამეწარმეო მობილიზაციის საშუალებით მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სწრაფი გაუმჯობესებითაა შესაძლებელი.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ეფექტიანი ფუნქციონირების, ბალანსირებული განვითარების, მათ შორის ინტერესთა კონფლიქტის მოგვარებისა და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებისათვის აუცილებელ ფაქტორებს შორის ძირითადია:

1. ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მიზნით სოფლის მოსახლეობის (თემის) წევრთა კოოპერირება;
2. სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ურთიერთინტეგრაცია, რაც პირდაპირ კავშირშია შესაბამისი დარგების ახლებურ ორგანიზაციულ მოწყობასთან თემის სამეწარმეო მობილიზაციის საფუძველზე;
3. გადამამუშავებელ საწარმოთა ტექნიკურ-ტექნოლოგიური მოდერნიზაცია, რაც უნდა განხორციელდეს თვით ამ საწარმოთა ახლებური საკუთრებითი და ორგანიზაციული მოწყობით;
4. მზა პროდუქციის რეალიზაცია.

თითოეული მათგანი მნიშვნელოვანია და რომელიმეს გამორიცხვა პრაქტიკულად შეუძლებელია, კერძოდ:

1. კოოპერაციის განვითარება სახელმწიფო რეფორმების და გარდაქმნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა.

<sup>1</sup> პ. კოლუაშვილი, დ. მამუკელაშვილი, ინტერესთა კონფლიქტის გადალახვის ეფექტური მექანიზმი. „ახალი ეკონომისტი“, №4, 2010.

მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, რომ კოოპერაცია უადრესად დიდ როლს თამაშობს კრიზისების გადალახვის, სოციალური პრობლემების მოგვარების, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკის ქმედითუნარიანობის ამაღლების საკითხებში. ბევრი ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს კოოპერაციის სახელმწიფო რეგულირებას შეღავათიანი რეჟიმების გამოყენებით, რაც გამოიხატება კოოპერაციის სუბსიდირების, სუბვენცირების, შეღავათიანი საგადასახადო და დაკრედიტების პოლიტიკის გატარებაში;

დღეს საქართველოში არ არსებობს კოოპერაციული შრომის დადებითი გამოცდილება. საბჭოთა სისტემაში არსებულმა კოლექტიურმა მეურნეობებმა, შრომითი რესურსების არარაციონალურმა გამოყენებამ, ნეგატიური ზეგავლენა მოახდინა მოსახლეობის დამოკიდებულებაზე კოოპერაციული საქმიანობის მიმართ. ამიტომ, აუცილებელია, ღრმად გააზრებული სამეწარმეო პროექტების საშუალებით მოსახლეობა დარწმუნდეს კოოპერაციული შრომის მაღალ ეფექტიანობასა და სარგებლიანობაში. ეფექტიანი კოოპერაციული მოდელის შერჩევის თვალსაზრისით, თემის სამეწარმეო მობილიზაცია შეიძლება განვიხილოთ როგორც ამ სოციალურ-ეკონომიკური მიმართულების ძლიერი ბაზისი;

**2. პრაქტიკამ უკვე დაადასტურა, რომ სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ეფექტიანი ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა მათი ურთიერთინტეგრაცია.** სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში აგროსამრეწველო ინტეგრაციას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. **“თემის სამეწარმეო მობილიზაციის პროგრამა”** წარმოადგენს ვერტიკალური ინტეგრაციის ტიპურ მოდელს, კოოპერაციის სხვადასხვა ფორმის ელემენტების გამოყენებით. ვერტიკალური ინტეგრაციის როგორც სპეციფიკური ფორმის გამოყენება, წარმოადგენს ობიექტურ აუცილებლობას წარმოებითი ურთიერთობების განვითარების იმ ეტაპზე, როდესაც განსაკუთრებით იზრდება ორგანული ურთიერთკავშირის როლი სასოფლო-სამეურნეო და გადამამუშავებელ საწარმოთა შორის.

იმ შემთხვევაში, როდესაც გადამამუშავებელი საწარმო მთლიანად კერძო პირის საკუთრებას წარმოადგენს, სოფლის მეურნეობის

პროდუქციის წარმოებისა და გადამამუშავების პროცესის ინტეგრირებისთვის შეიძლება გამოვიყენოთ წილობრივი თანამონაწილეობის ფორმა საწარმოს მესაკუთრესა და აგროპროდუქციის მწარმოებლებს შორის როგორც საწარმოო პროცესის წარმართვის, ასევე შემოსავლების განაწილების კუთხით.

თემის მობილიზაციის სამეწარმეო ინიციატივაზე დამყარებული შესაბამისი დარგების შიგა ორგანიზაციული მოწყობის ახლებურად გააზრებული მოდელი გახდება საფუძველი აგრონედლეულის წარმოების, გადამამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი ციკლის შექმნისა, სადაც თითოეული სამეწარმეო რგოლი წარმოადგენს დანარჩენებთან ორგანულად ინტეგრირებულ ნაწილს. თემის თითოეული წევრი, შემოსავლების გაზრდის მიზნით დაინტერესებული იქნება აწარმოოს უფრო მეტი რაოდენობისა და მაღალი ხარისხის პროდუქცია. ამავე დროს მისი წარმომადგენლების საშუალებით აქტიურად ჩაერთოს გადამამუშავებელი საწარმოო პროცესების ტექნიკურ-ტექნოლოგიურ სრულყოფაში, საბოლოო პროდუქციის რეალიზაციაში და განახორციელოს ერთიანი ციკლის მონიტორინგი სამეწარმეო საქმიანობის ყველა დონეზე.

**უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ სამეწარმეო საქმიანობის დაგეგმვის, განხორციელებისა და კონტროლის ასეთი მოდელი წარმოადგენს სამეწარმეო სუბიექტის სწორად შერჩევისა და სამეურნეო რისკების მინიმიზების ყველაზე ეფექტიან საშუალებას;**

3. განხორციელებულია გადამამუშავებელ საწარმოთა ტექნიკურ-ტექნოლოგიური გადაიარაღება. ეს პროცესი უშუალოდ არის დაკავშირებული გადამამუშავებელ საწარმოთა ახლებურ საკუთრებითსა და ორგანიზაციულ მოწყობასთან. მნიშვნელოვანია, რომ ინტერესთა გათიშულობის ფონზე, ამჟამად არსებული აგროსამრეწველო სისტემის არაეფექტიანი ორგანიზაციული მოწყობა, განაპირობებს იმას, რომ ყველა ინვესტიცია თუ დახმარება, გაწეული ცალკე სოფლის მეურნეობაზე და ცალკე – გადამამუშავებელ საწარმოზე არაეფექტიანია. ახლებური საკუთრებითი და ორგანიზაციული მოწყობის არსია ის, რომ გადამამუშავებელ საწარმოებში ახალი ტექნოლოგიების შეტანა მოხდეს მასთან ფუნქციონალურად დაკავშირებული რგოლის – სათემო კავშირის მიერ, რომელიც აწვდის მას ძირითად ნედლეულს. ეს არის უმნიშვნელოვანესი ელემენტი

სასოფლო-სამეურნეო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის აუცილებელ დონისძიებათა შორის.

ამდენად, გადამამუშავებელი საწარმო პასუხისმგებელი ხდება მასთან ფუნქციონალურად დაკავშირებული რგოლის – თემის წინაშე, რომელიც თავისი წარმომადგენლების საშუალებით, კონტროლს გაუწევს როგორც აგროპროდუქციის (ნედლეულის) წარმოების, ასევე მისი გადამამუშავებისა და რეალიზაციის პროცესს.

**დღეისათვის, გადამამუშავებელ საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილის ძირითადი საშუალებები მოცდენილია, მოძველებულია და ხშირ შემთხვევაში მის მეპატრონეებს არ გააჩნიათ ან სახსრები, ან ინტერესი როგორც მათი ტექნიკური განახლების, ასევე ნედლეულის, ენერგომატარებლების და სხვა კომპონენტების შესაძენად. ასეთ პირობებში ისინი თანახმა იქნებიან აღნიშნულ პროექტებში მონაწილეობა მიიღონ იმ პირობით, თუ:**

– ძირითადად გარედან მოხილული სახსრებით (ან გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტის გამოყენებით) მოხდება მათი საწარმოების ტექნიკურ-ტექნოლოგიური გადაიარაღება, კონკურენტუნარიანი საქონლის წარმოება, სარეალიზაციო ბაზრების მოპოვება და, შესაბამისად, მაღალი კომერციული შედეგის მიღება;

– თემის სამეწარმეო მობილიზაციითა და გადამამუშავებელ საწარმოთა ახალი ორგანიზაციული და საკუთრებითი მოწყობით გაიზრდება ფერმერების დაინტერესება სოფლის მეურნეობის ნედლეულის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად გაზრდის როგორც გადამამუშავებელ საწარმოთა წარმადობას, ასევე მათ მესაკუთრეთა მოგებასაც;

4. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამეწარმეო საქმიანობის დაგეგმვისა და წარმატებით განხორციელების ძირითად პირობას მზა პროდუქციის რეალიზაცია წარმოადგენს, რადგან კონკრეტული ბიზნესის წარმოების პერსპექტივა მისი კომერციული შედეგიდან გამომდინარეობს. სამწუხაროდ, დღეისათვის საქართველოს აგროსასურსათო სექტორში წარმოებული პროდუქციის სარეალიზაციო ბაზრებზე მიწოდება ხდება არა სტაბილურად, არამედ იმპულსურად, რაც განპირობებულია არასტაბილური წარმოებით, პროდუქციის დაბალი ხარისხით და სხვა. ამან თანდათან გამოიწვია ტრადიციული გარე და შიგა ბაზრების დაკარგვა, რის გამოც აუცილებელია,

თემის სამეწარმეო მობილიზაციის სხვა ძირითად ღონისძიებებთან ერთად, მოხდეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მარკეტინგული სისტემის ჩამოყალიბება. ამ საკითხის მოგვარებაში მნიშვნელოვანი როლი შეიძლება შეასრულოს შესაბამისი სპეციფიკის არასამეწარმეო, ადგილობრივმა და საერთაშორისო სამარკეტინგო ორგანიზაციებმა, სამთავრობო და კერძო სტრუქტურებმა.

წარმოდგენილი პროგრამის სიცოცხლისუნარიანობისა და ფუნქციონირების შეფასების ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს ის დადებითი ეკონომიკურ-ფისკალური ეფექტი, რომელიც მიიღება კონკრეტული სამეწარმეო პროექტის განხორციელებით, რადგან მხოლოდ მეწარმეობაზე ორიენტირებული საქმიანობით არის შესაძლებელი პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების გარკვეული ნაწილის აკუმულირება გაფართოებულ აღწარმეობაზე. მის გარეშე კი, სამეურნეო სისტემის განვითარება და, შესაბამისად, თანმდევი ეფექტების მიღწევა შეუძლებელია. სწორედ ამიტომ, თემის სამეწარმეო მობილიზაციის პროექტებს გააჩნია რეალური სიცოცხლისუნარიანობისა და მდგრადი განვითარების ობიექტური საფუძვლები.

სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი:

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის განვლილმა ორმა ათწლეულმა პრაქტიკულად აშკარა გახადა, რომ **სოფლის მოსახლეობის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, მასობრივი უმუშევრობისა და სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა, მხოლოდ ე.წ. კომერციალიზაციით, ვერ განდება დაჩქარებული ეკონომიკური აღმავლობის საფუძველი. შესაბამისად, დაუშვებელი იყო და არის მხოლოდ ამ საწყისებზე სოფლის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის აგება, რაც პრაქტიკულად ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის არ არსებობასა და პროცესების თვითდინებაზე მიშვებას ნიშნავს.**

ქართული სოფლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად აძლიერებს სახელმწიფოს მხრიდან ამ სფეროს დახმარების მოტივაციას, რათა ამოქმედდეს ის ფუნქციები, რომლებიც არ არის უზრუნველყოფილი თვითრეგულირების საბაზრო ბერკეტებით. მხოლოდ ამ ორი მექანიზმის ოპტიმალური და ბალანსირებული მოქმედებით მიიღწევა ფინანსური სტიმულირების ეფექ-

**ტიანი მართვა, რომელიც დაფინანსების (დაკრედიტების) ყველა სუბიექტის სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური და გარანტირებული რეალიზაციის საფუძველია<sup>1</sup>.**

საბიუჯეტო სახსრების აგრარულ სექტორში განთავსებას შედავათიან პირობებში და მის კონტროლს სახელმწიფო ახორციელებს **კომპლექსური მიდგომების** საფუძველზე, რაც გამოიხატება იმით, რომ პროექტმა შეძლებისდაგვარად უნდა მოიცავს სოფლის მოსახლეობის საერთო ინტერესთა და პრობლემათა მთლიანი სისტემა (არა მარტო უშუალოდ სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლები და გადამამუშავებელი საწარმოები, არამედ არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული სუბიექტებიც, როგორცაა: სოფლად ტურიზმის განვითარება, საცალო ვაჭრობა, ხალხური რეწვის საწარმოები, სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო თუ სოციალურ-კულტურული მომსახურება და სხვა). სოფლის ფინანსური მხარდაჭერისთვის ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ინფრასტრუქტურას, რომელიც მოიცავს მარეგულირებელ სტრუქტურებს, კომერციულ ცენტრებსა და სააგენტოებს, საგარანტიო ფონდებს, კოოპერატივებს, ასოციაციებს, კავშირებს, საკონსულტაციო-სასწავლო ცენტრებს და სხვ. სამწუხაროდ, ამჟამად ჩვენთან სრულფასოვნად არ გამოიყენება ზემოჩამოთვლილი არცერთი ფორმა.

სათემო ორგანიზაციებს შეუძლიათ აღძრან საზოგადოებრივი აქტივობა იმ სფეროებში, რომლებიც უადრესად მნიშვნელოვანია სახელმწიფოსათვის და სადაც ამგვარი აქტივობის ინტენსიური განვითარება ბუნებრივად ჯერჯერობით არ არის მოსალოდნელი. ამ ტიპის ორგანიზაციის მუშაობის სტილი მოქნილია და დღევანდელი მოთხოვნილებების შესაბამისი. სახელმწიფომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ეს ძალა, როგორც რეალურად მოქმედი ძლიერი ელემენტი და სანდო პარტნიორი მწვავე პრობლემების გადაჭრისას. ამიტომ, მიმდინარე პერიოდში, მწარმოებლურ ძალთა კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის გათვალისწინებით, სოფლის მეურნეობისათვის ფინანსური დახმარებისა და კომპლექსური ზემოქმედების სუბიექტის განსაზღვრისას, სხვადასხვა ორგანიზაციულ

<sup>1</sup> პაატა კოლუაშვილი, საქართველოს აგრარულ სექტორს განვითარების სტრატეგია ესაჭიროება. ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №11, 2010.

ფორმას შორის, სათემო კავშირებს პრიორიტეტული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

დასასრულ, თემის სამეწარმეო მობილიზაციის განხორციელების შედეგად მკვეთრად გაიზრდება სოფლის მოსახლეობის შემოსავლები და გაუმჯობესდება საერთო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ამიტომ, ამ პროექტს ექნება მაგალითის ძალა სხვა თემებისთვისაც.

**Cooperation – the Way of Georgian Village Revival**

*Paata Koghuashvili*

The paper concerns the development of voluntary cooperation between the people living in rural areas, integration in processing enterprises (creation of united system of production, processing and realization of agricultural products) and regulation of existing main socio-economic and technical and technological problems. The article provides arguments to prove the objective necessity of realization of the idea as well as economic mechanism of its realization and expected synergistic socio-economic impacts. Establishment of new forms of economy, based on social solidarity is especially noticeable, which automatically leads to employment of the people living in rural areas, increase of their income, rise of authority of agricultural labor and complex and accelerated development of a village.



ჯემალ ხარიტონაშვილი  
ეკონომიკის დოქტორი,  
ივანე ჯავახიშვილის თსუ  
ასოცირებული პროფესორი

გონებრივი გენეტიკური კავშირურობის გამოკვლევა მეცნიერული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი აქტუალური თემაა. ამ მხრივ გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს დ. იუმის შეხედულებები.

დ.იუმი ფილოსოფიის ისტორიას უფრო ეკუთვნის, ვიდრე ეკონომიკას. მიუხედავად ამისა, მან საფუძველი ჩაუყარა აზრთა ანალიტიკურ მიმართულებას, რომელიც ეკონომიკური თეორიის მთავარი მიმდინარეობის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი გახდა.

დ. იუმმა გამოაქვეყნა მხოლოდ რამდენიმე ეკონომიკური ნარკვევი. მათ შორის უმნიშვნელოვანესი ეხება საგარეო ვაჭრობას, ფულს, სარგებლის ნორმას. ეს საკითხები მას განხილული აქვს 1752 წელს გამოქვეყნებულ წიგნში “პოლიტიკური საუბრები”. როგორც ფრანგი ეკონომისტები - შ. ჟიდი და შ. რისტი აღნიშნავენ, აღნიშნული საკითხების შესწავლაში დ. იუმმა შეიტანა გამჭრიახობა, ორიგინალობა, სიღრმე და სიცხადე.<sup>1</sup>

დ. იუმი, როგორც ორიგინალური მოაზროვნე, ეკონომისტებს შორის თვალსაჩინო ადგილს იკავებს. თუმცა, ორიგინალურად მოაზროვნე დ. იუმი ხანდახან მერკანტილისტების შეცდომებს

<sup>1</sup> Ш. Жидь и Ш. Ристь. История экономических учений. М., 1918, с. 29.

იმეორებდა. მან ვაჭრები განიხილა, როგორც “ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო ფენა” და “წარმოების მამოძრავებელი ძალა”.<sup>1</sup>

მიუხედავად ამისა, დ. იუმი ერთ-ერთ დამსახურებას წარმოადგენდა ის, რომ ის მერკანტილიზმის აშკარა კრიტიკით გამოვიდა. ის გამოდიოდა სავაჭრო ბალანსის წინააღმდეგ და ამტკიცებდა ოქროსა და ვერცხლის საზღვარგარეთ გატანის სარგებლიანობას.<sup>2</sup> დ. იუმი იყო თავისუფალი ვაჭრობის ინიაციატორი.<sup>3</sup>

როგორც ა. ანიკინი მიუთითებს, – დ. იუმი გზას უკაფავდა ა. სმითს, რომელთანაც მას მეოთხედი საუკუნის მეგობრობა აკავშირებდა. დ. იუმის მცირე მოცულობის ბრწყინვალე ფარმის ესეებში შეჯამებულია სმითამდელი ეკონომიკური აზრის ზოგიერთი მიღწევა მერკანტილიზმთან ბრძოლაში. მათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს აზრის მომზადებაში ა. სმითის “ხალხთა სიმდიდრისათვის”.<sup>4</sup>

დ. იუმმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ა. სმითზე, მაგრამ, შემდეგ ა. სმითმა გაასწრო დ. იუმის ლიბერალიზმს. ა. სმითმა სრულიად უარყო დ. იუმის პოზიცია, რომელიც კანონიერად მიიჩნევდა ზოგიერთ მფარველობით ბაჟს.

დ. იუმმა შექმნა ფულის თავისი რაოდენობრივი თეორია, რომელიც უშუალოდ მიმართულია მონეტარული და მერკანტილისტური სისტემების წინააღმდეგ. მართალია, ამ თეორიას დ. იუმამდე იცავდნენ ფრანგი შ. მონტესკიე, ინგლისელები ჯ. ლოკი და ვანდერლინტი, მაგრამ დ. იუმმა ამ თეორიას მწყობრი ხასიათი მისცა, ნიჭიერად დააღაგა და თავისი ავტორიტეტით საგრძნობლად შეუწყო ხელი მის განვითარებას.<sup>5</sup> პროფ. გრ. თოდუა აღნიშნავს, რომ “ფულის რაოდენობრივი თეორია იუმის ეკონომიკურ შეხედულებათა ღერძია”.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ა. სილაგაძე, ეკონომიკური დოქტრინები, თბ., 2010, გვ. 130-131.

<sup>2</sup> ჯ. ხარიტონაშვილი, ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები, ნაწილი I, თბ., 1997, გვ. 60.

<sup>3</sup> Ш. Жидь и Ш. Ристь. История экономических учений. М., 1918, с. 29.

<sup>4</sup> ა. ანიკინი, მეცნიერების სიტაბუკე, თბ., 1989, გვ. 146.

<sup>5</sup> ჯ. ხარიტონაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 60.

ფულის რაოდენობრივი თეორია ხსნის როგორ განისაზღვრება ფასების დონე და რატომ იცვლება დროში. რაოდენობრივი თეორიის თანახმად, ეკონომიკაში არსებული ფულის რაოდენობა ფულის ღირებულებას განსაზღვრავს, ფულის რაოდენობის ზრდა კი ინფლაციის ძირითადი მიზეზია. ფულის ზრდის ტემპი განსაზღვრავს ინფლაციის დონეს.<sup>2</sup> მოგვიანებით მას მხარს უჭერდა ცნობილი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი მილტონ ფრიდმანი, რომლის აზრით, “ინფლაცია ყველგან და ყოველთვის მონეტარული მოვლენაა”.<sup>3</sup> როგორც ცნობილი თანამედროვე ამერიკელი ეკონომისტი გრეგორი მენქიუ აღნიშნავს, ამ თეორიას ხშირად “კლასიკური” ეწოდება.<sup>4</sup> მიუხედავად ამისა, გ. მენქიუ დ. იუმს მხოლოდ „ცნობილ ფილოსოფოსს”<sup>5</sup> უწოდებს ?!

ცნობილია, რომ დ. იუმი გამოდიოდა მერკანტილისტების წინააღმდეგ. განვითარებული მერკანტილიზმის წარმომადგენლები (თ. მენი, ა. სერა, ი. პოსოშკოვი) გამოდიოდნენ აქტიური სავაჭრო ბალანსის მოთხოვნით და ემხრობოდნენ ფულის რაოდენობის ზრდას ქვეყანაში, რაც მიანდათ წარმოებისა და მომიჯნავეს გაფართოების პირობად. დ. იუმი არ ეთანხმებოდა ამ მოთხოვნას. ეს თეორია შემდგომში გამოყენებულ იქნა სხვა ეკონომისტების მიერ.

თანამედროვე მონეტარისტები მ. ფრიდმანის მეთაურობით დარწმუნებულნი არიან, რომ ფულად-საკრედიტო პოლიტიკა დიდად განსაზღვრავს ეკონომიკური აქტივობის დონეს. ისინი ფულის მიწოდებაში ხედავენ ერთადერთ ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს წარმოების, დასაქმებისა და ფასების დონეს. მონეტარისტთა აზრით, ფულის მიწოდების გადიდება ზრდის მოთხოვნას აქტივების ყველა სახეობაზე – რეალურსა და ფინანსურზე. აგრეთვე, წარმოების მიმდინარე მოცულობაზე. ამის შემდეგ, სრული დასაქმების პირობებში,

<sup>1</sup> გრ. თოდუა, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწილი I, თბ., 2004, გვ. 480.

<sup>2</sup> გ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ., 2008, გვ. 633.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 630-633.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 630.

<sup>5</sup> იქვე.

ფასები ყველა ფაქტორზე იზრდება. გარდა ამისა, მონეტარისტები ფულის მომიჯნავეს სიჩქარეს სტაბილურად თვლიან იმ გაგებით, რომ მისი რყევები მცირეა და ის არ იცვლება ფულადი მიწოდების ცვლილებების პასუხად. მრიგად, ფულის მიწოდების ცვლილება ნაწინასწარმეტყველებ ზეგავლენას ახდენს ნომინალური წყა =PQ-ის დონეზე. უფრო კონკრეტულად, M-ის ზრდა გამოიწვევს P-ს ან Q-ს გაზრდას, ან როგორც P, ასევე Q გარკვეული კომბინაციით გაიზრდება: M-ის შემცირება საწინააღმდეგო შედეგს მოგვცემს.

მონეტარისტების მიხედვით, თუმცა, M-ის შეცვლას შეუძლია გამოიწვიოს წარმოებისა და დასაქმების რეალური მოცულობის მოკლევადიანი ცვლილება, რამდენადაც ბაზარი ეგუება ამ ცვლილებას, გრძელვადიან პერსპექტივაში M-ის ცვლილება ზემოქმედებს ფასების დონეზე. ამ საქმეში მონეტარისტების მიერ ფულის მიწოდების ცვლილება განიხილება როგორც ფაქტორი, რომელიც უშუალოდ ზემოქმედებს ერთობლივი მოთხოვნის ცვლილებაზე, რომელიც ცვლის წყა-ს. გარდა ამისა, მონეტარისტების აზრით, ერთობლივი მოთხოვნის ცვლილება გავლენას ახდენს ნომინალურ წმინდა ეროვნულ პროდუქტზე გრძელვადიან პერსპექტივაში ძირითადი ფასების დონის ცვლილების და არა წარმოების რეალური დონის ცვლილების სახით.

დ. იუმის ნაშრომებში შეინიშნება მსჯელობა სარგებლის შესახებ. იგი მოითხოვდა სარგებლის დაბალი დონის დაწესებას. მისი აზრით, სარგებლის დაბალი დონე ვაჭრობისა და მრეწველობის აღმავლობის მაჩვენებელია.<sup>1</sup>

დ. იუმის აღნიშნულ აზრს აგრძელებენ შემდეგი პერიოდის ეკონომისტები. ცნობილი ინგლისელი ეკონომისტის ჯ. კეინის აზრით, ინვესტიციების გადიდებით მწარმოებლები დაინტერესებული არ არიან იმიტომ, რომ მოგების ნორმა დაბალია და, მაშასადამე, დამატებითი კაპიტალდაბანდებები სასურველ მოგებას არ იძლევა. მოგების ნორმის გადიდების ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად მას მიაჩნდა სარგებლის მაღალი ნორმა, რომელიც

<sup>1</sup> Д. Юм. Малые произведения, М., 1996, с. 99.

მოგების ნორმის ანუ ინვესტიციების “სახდვრითი ეფექტიანობის” შემცირების პირობებშიც კი სტაბილური რჩება.

სტოკჰოლმის, ანუ შვედური სკოლის თეორეტიკოსმა ე. ლინდალმა განიხილა სარგებლის განაკვეთის ცვლილებების გავლენა ფასებისა და დასაქმების დინამიკაზე. მან მიმდევრობითი ანალიზის მეთოდის გამოყენების საფუძველზე დაასკვნა: მნიშვნელოვანი უმუშევრობის არსებობის პირობებში სარგებლის განაკვეთის შემცირებას მასტიმულირებელი ზემოქმედება შეუძლია მოახდინოს წარმოებაზე. ე. ლინდალის მიხედვით, სარგებლის განაკვეთი სახელწიფომ უნდა შეამციროს. აქედან გამომდინარე, ის მხარს უჭერს სახელმწიფოს ეკონომიკური როლის გაძლიერებას.<sup>1</sup>

ე. ლინდალის გარდა, სხვა შვედ ეკონომისტებსაც ეკონომიკური რეგულირების მთავარ იარაღად საბაზრო განაკვეთზე სასხესო სარგებლის ზემოქმედება მიაჩნდათ.<sup>2</sup>

XX საუკუნის 30 წლებში გუნარ მიუნდალმა გამოსცა წიგნი “ფულადი წინასწორობა”, რომელშიც დაწვრილებითაა განხილული ეს საკითხები.<sup>3</sup>

აღნიშნული საკითხების განხილვაც კი საკმარისია დავასკვნათ, რომ დ. იუმს გააჩნდა საკმაოდ ორიგინალური მიგნებები ეკონომიკურ თეორიაში, რის გამოც იგი საპატიო ადგილს იკავებს ეკონომიკური აზრის ისტორიაში.

<sup>1</sup> E. Lindahl, Pennigpolitikes model, Malmo, 1930.

<sup>2</sup> Всемирная история экономической мысли, т. 4, М., 1990, с. 518.

<sup>3</sup> G. Myrdal, Monetary Equilibrium, L., 1939.

**David Hume (1711-1776) at the Beginning  
of Economic Thinking  
(300 years since his birth)**

*J. Kharitonashvili*

D. Hume as an original thinker holds a prominent position among economists. One of the outstanding facts regarding D. Hume is that he expressed critics of mercantilism. D. Hume was the initiator of free trade. D. Hume created his own quantitative theory of money. According to this theory the amount of money existing in the economy defines the value of the money and the increase of the volume of money is the main cause of inflation.

D. Hume discussed the issue of interest rates and required imposing low level of interest rates. He regarded that high level of interest rate was one of the factors that hindered the increase of profit, which remains stable even in case of reduction of interest rates or the “Investment Effectiveness”. The ideas of D. Hume were lately used by other economists.

**ლოკალიზაცია და გლობალიზაცია -  
ბანკოთმარების რეგულატორები**

დავით დარსაგვილიძე  
**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ დოქტორანტი**

თანამედროვე საინფორმაციო, სატელეკომუნიკაციო და სატრანსპორტო ტექნოლოგიების განვითარებამ დააჩქარა და ეფექტიანი გახადა ინფორმაციის, საქონლისა თუ მომსახურების, ფინანსური, ადამიანური თუ სხვა სახეობის კაპიტალის გადაადგილება მსოფლიოს მასშტაბით<sup>1</sup>. გაძლიერდა ქვეყნებს შორის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები, ჩამოყალიბდა მსოფლიოს მართვის ახალი სისტემები, განვითარების ახლებური მიდგომები და მიმართულებები. ამასთან, განვითარების დადებით ფაქტორებთან ერთად, წარმოიქმნა გლობალური საფრთხეები, როგორც განვითარებადი, ასევე განვითარებული ქვეყნებისათვის. აშკარა გახდა, რომ გლობალიზაციამ თავისი გავლენის სფეროში ბუნებრივად მოაქცია ყველა ღია ეკონომიკური სივრცე. სწორედ ამიტომ, ამ ფენომენმა უდიდესი ყურადღება მიიპყრო და კვლევის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თემად იქცა.

გლობალიზაციის არაერთი განმარტება არსებობს. მათ შორის, პროფესორ ა. აბრალავას მონოგრაფიაში ერთობ საინტერესოა განხილული აღნიშნული ფენომენი. მასში გლობალიზაციის განმარტება ფართო გაგებითაა წარმოდგენილი: “გლობალიზაცია წარმოადგენს ქვეყნებსა და რეგიონებს შორის ურთიერთგავლენისა და ურთიერთდამოკიდებულების გაძლიერების პროცესს, რომელიც არღვევს ენობრივ, ტერიტორიულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ფსიქი-

<sup>1</sup> კვარაცხელია დ. გლობალიზაციის ტენდენციები, შრომების კრებული - „გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური განვითარება: გამოწვევები და შესაძლებლობები“, თბ., 2008, გვ. 22.

კურ ბარიერებს და მიმართულია კულტურულ-ცივილიზაციური ერთობისა და რეგულირების ზეეროვნული სისტემის შექმნისაკენ<sup>1</sup>. საინტერესოა პროფესორ გ. თოდუას განმარტებაც, მსგავსად სხვა არაერთი ქართველი თუ უცხოელი ავტორისა, იგი ხაზგასმით მიუთითებს ძლიერი სახელმწიფოების გავლენის დომინანტ მნიშვნელობაზე გლობალიზაციის ფორმირების პროცესში: “გლობალიზაცია არის ერთიანი მსოფლიოს ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც პლანეტარული მოვლენების გავრცელების ინტერესებიდან გამომდინარე ხორციელდება განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ-კულტურულ ღირებულებათა ნებაყოფლობითი გავრცელებით განვითარებადი და ჩამორჩენილი ქვეყნების მრავალფეროვან სივრცეში<sup>2</sup>. გლობალიზაციის ფართო გაგების პარალელურად, მისი ეკონომიკური ჭრილით განხილვა ერთობ საგულისხმოა: პროფესორ რ. გოგოხიას აზრით, “მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია ნიშნავს მსოფლიოს მომცველი ეკონომიკური ურთიერთობების ქსელის წარმოშობასა და განვითარებას. უფრო კონკრეტულად, გლობალიზაცია არის სახელმწიფოებს შორის საქონლისა და მოსახურების, წარმოების ფაქტორების, მათ შორის, განსაკუთრებით – შრომის, კაპიტალის და ცოდნის თავისუფალი მოძრაობა<sup>3</sup>. მოცემული დეფინიციები, ვფიქრობ, საკმარისია აღნიშნული ტერმინის ზოგადი განმარტებითი საზღვრების აღსაქმელად და არ შეეცდები სხვა ავტორების მიდგომების საფუძველზე ამ საკითხის უფრო ფართოდ განხილვას. ამასთან, აღნიშნული საკითხი საკმაოდ ვრცლად არის შესწავლილი არაერთ სამეცნიერო თუ სასწავლო ლიტერატურაში, ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა პროფესორ ე. ეთერიას შრომები<sup>1</sup>. ყურადღებას უფრო შევაჩერებ ისეთ ფენომენზე, როგორც არის ლოკალიზაცია, თუ რას გულისხმობს, როგორ უპირისპირდება თუ

<sup>1</sup> აბრადავა ა. ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია. თბ., 2005, გვ. 17-18.  
<sup>2</sup> თოდუა გ. გლობალიზაცია, როგორც თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის საყოველთაო არსი, ჟურნ. “ეკონომიკა და ბიზნესი”, 2011, №1 გვ.15.  
<sup>3</sup> გოგოხია რ. შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მოდელური, განვითარების ტენდენციები. თბ., 2004, გვ. 24.

ავსებს ის გლობალიზაციას და რა შედეგები მოაქვს მას, როგორც განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს მამოძრავებელ ბერკეტს.

ტერმინის მნიშვნელობიდანვე გამომდინარე, ადვილად დავასკვნით, რომ ლოკალიზაცია ადგილთან მჭიდრო კავშირს, ადგილის უპირატესობებზე ხაზგასმას გულისხმობს და შინაარსობრივად, გარკვეული თვალსაზრისით, უპირისპირდება გლობალიზაციას, რომელიც გლობალურ მასშტაბთან და არა კონკრეტულ ადგილთანაა დაკავშირებული.

გლობალიზაციის განვითარებასთან ერთად აქტუალური გახდა ლოკალიზაციის საკითხი და მისი, როგორც ადგილის კონკურენტუნარიანობის დაცვის მექანიზმის ჩამოყალიბება. გახსნილმა ეკონომიკურმა საზღვრებმა და ეკონომიკის მართვის ბერკეტების მსოფლიოს მასშტაბით გაშუქებით გადანაწილებამ ცხადყო, რომ ნებისმიერი ტერიტორია დაუცველი აღმოჩნდება გლობალიზაციის პირისპირ, თუ ის არ შექმნის იმ მექანიზმს, რაც მას გლობალურ სივრცეში კონკურენტულ უპირატესობებს მიანიჭებს. სხვა სიტყვებით, მოცემულ ადგილს სხვა ტერიტორიებისაგან განსხვავებით, ისეთ კომპეტენციებს შესძენს, რითაც თავის ნიშანს მსოფლიო ბაზარზე ადვილად არ დაკარგავს, ვერ მოხდებოდა სხვა ადგილის იაფი სამუშაო ძალის თუ სხვა შეფარდებითი უპირატესობების გამო, მათ ტერიტორიაზე ოპერირებადი ეკონომიკური სუბიექტების რელოკაცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გარკვეულმა ტერიტორიებმა (რეგიონებმა თუ მეტროპოლიებმა) შეიძინეს უფრო მკაფიოდ გამოკვეთილი სპეციალიზაცია და შესაბამისად, გლობალური ეკონომიკის სპეციფიკური სეგმენტების მართვის ფუნქციები. განვითარებულმა ტერიტორიებმა ძალაუფლების შესანარჩუნებლად თუ თავიანთი პოზიციების განსამტკიცებლად, დაიწყეს შემტევი და დამცავი მექანიზმების შექმნა, რაზეც, ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფოს შედარებით მოუქნელი ინსტიტუციური მექანიზმი,

<sup>1</sup> ეთერია ე. გლობალიზაციის თანამედროვე კონცეფციების შედარებითი ანალიზი, შრომების კრებული „გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური განვითარება: გამოწვევები და შესაძლებლობები“, თბ., 2008, გვ.11-20.

ცენტრალიზებულად მართული პოლიტიკით, სათანადოდ ვერ პასუხობდა და არაკონკურენტულ პირობებში აქცევდა სახელმწიფოს იმ ტერიტორიებსაც კი, რომლებიც დამოუკიდებლად უკეთ გაართმევდნენ თავს მსოფლიო ბაზრის მიერ შემოთავაზებულ გამოწვევებს.

თანდათან ცხადი გახდა, რომ ქვეყნებმა თავიანთი კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, მათსავე რეგიონებსა და ბუნებრივად შექმნილ ეკონომიკურ სივრცეებს გადასცეს მეტი თავისუფლება განვითარების ვექტორის შერჩევის თვალსაზრისით, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო.

ამას მოჰყვა, ასევე მსოფლიოში სახელმწიფოთა დემოკრატიული განვითარების პრინციპების საყოველთაოდ მიღების ტენდენცია თუ აუცილებლობა, რაც უპირატესად ქვევიდან (პირველადი მმართველი ინსტიტუციური პლაცდარმიდან) ზევით (ცენტრალურისკენ) მართულ პოლიტიკას მოიაზრებს, ძლიერი თვითმმართველობისა და ბუნებრივად წარმოქმნილი ეკონომიკური სივრცეების თვითმყოფადი მართვის პოზიციების განმტკიცებას და მათი კომპეტენციების ზრდას გულისხმობს.

სწორედ ამ და სხვა მრავალმა ფაქტორმა განაპირობა ლოკალიზაციის მნიშვნელობის ზრდა და განვითარების საუკეთესო მექანიზმის, ცოდნაზე დაფუძნებული ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების წინ წამოწევა. როგორც მ.პორტერი აღნიშნავს, მსოფლიოს მართვის ბერკეტებმა, თანდათან ეროვნულიდან რეგიონულ დონეზე გადაინაცვლა და ადგილის მიერ კონკურენტული უპირატესობის მისაღწევად მაღალი კომპეტენციების მქონე სპეციალიზებული ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება გახდა მნიშვნელოვანი. თანდათან გამოიკვეთა ეკონომიკურად თვითმყოფადი ტერიტორიები, რომლებმაც შექმნეს ცოდნასა და გამოცდილებაზე დაფუძნებული ეკონომიკური კავშირები და კლასტერული მეურნეობები. სწორედ მათ ხელში მოექცა ადგილობრივი კომპეტენციები: უნიკალური ბიზნესურთიერთობები, ცოდნასა და მოტივაციაში არსებული კონკურენტული უპირატესობები, რაც

ნაკლებად შესაძლოა გაიმეოროს კონკურენტმა.<sup>1</sup>

წინ წამოიწია, ასევე, მდგრადი განვითარების საკითხმა, მას შემდეგ, რაც განვითარებულმა თვითმმართველობებმა გაიმყარეს კონკურენტული პოზიციები და შექმნეს ადგილობრივი განვითარებისთვის ერთგვარი დაცვის ნაციონალური მექანიზმი. შემდეგ კი, უფრო ფართო მასშტაბით დაიწყო მათ გარშემო ტერიტორიების განვითარების პოლიტიკაზე ზრუნვა, რადგან მდგრადი განვითარებისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია მოსახლდრე ტერიტორიების განვითარება. ამ პოლიტიკამ განაპირობა საერთაშორისო დონორი რეგიონული და ქსელური ორგანიზაციების როლის გაძლიერება.

უფრო მეტი სივრცე გაჩნდა კონსენსუსისა და მდგრადი განვითარებისთვის, სოციალურ-კულტურულ ფენებს შორის დიალოგისა და საერთო პრობლემატური საკითხების რეგულირების დასაწყებად. განვითარებადმა ტერიტორიებმა თანდათან დაიწყეს პარტნიორების ძიება და განვითარების თანამედროვე ტექნოლოგიების ტრანსფერი და ადაპტაცია სხვადასხვა ადგილის თავისებურების გათვალისწინებით.

განვითარებული ტერიტორიების გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით, სულ უფრო აქტუალური გახდა ადგილობრივი განვითარების საკითხები: ადგილობრივი (თვითმმართველობა, აგლომერაცია, მეტროპოლია, რეგიონი) სტრატეგიული დაგეგმვა, ინოვაციური სისტემები, კლასტერები, ადგილობრივი კონკურენტუნარიანობა, მართვის საინფორმაციო ტექნოლოგიები და სხვა.

აღნიშნულ საკითხებში მდიდარი გამოცდილება როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით, ჩამოუყალიბდა დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებს. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ევროკავშირმა, მსოფლიოს საფინანსო თუ დონორმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა, მსოფლიოში აპრობირებული წარმატებული ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თეორიებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით, შეიმუშავეს

<sup>1</sup> Porter M. Clusters and the New Economics of Competition, Harvard Business Review, Nov-Dec, 1998, p. 78.

სისტემური პოლიტიკა, რის მიხედვითაც მათ ეტაპობრივად დაიწვეს ამ გამომცდლების ტრანსფერი მსოფლიოს მასშტაბით როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში სოციალურ-ეკონომიკური უთანაბრობის აღმოსაფხვრელად და ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად.

დღეს მეტად აქტუალურია მოცემული საკითხის კიდევ უფრო სიღრმისეულად შესწავლა და მისი პრაქტიკაში დანერგვა. საქართველოში ადგილობრივი განვითარების მექანიზმები, სამწახაროდ, პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით, ნაკლებადაა დანერგილი და თეორიულად მხოლოდ უმნიშვნელო ოდენობით თუ შეისწავლება ცალკეული მეცნიერის მიერ, მაშინ როცა სწორედ მასზეა უმთავრესად დამოკიდებული დემოკრატიული ადგილობრივი განვითარების პროცესის რეალიზება, საზოგადოების მხრიდან ქვემოდან ზევით მართული განვითარების პროცესის ხელშეწყობა, სამოქალაქო საზოგადოებისა და ძლიერი სოციალური კაპიტალის ჩამოყალიბება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ლოკალიზაცია ადგილის აბსოლუტურ და შეფარდებით უპირატესობებზე დაყრდნობით შექმნილი კონკურენტული უპირატესობების სამოქმედო სივრცეა, სადაც ადგილზე ოპერირებადი ეკონომიკური სუბიექტების ურთიერთქმედების საფუძველზე ყალიბდება ლოკალური გარემო განვითარებისათვის. მოცემული ადგილი, ინოვაციაზე დაფუძნებული ზომიერი პოლიტიკის შემთხვევაში, გლობალიზაციის დადებითი ფაქტორების გონივრულად ათვისების საშუალებას იძლევა და განვითარების დემოკრატიული ვექტორის მართებულ კურსს განსაზღვრავს. განვითარებული ლოკალიზაცია არის სივრცე, რომელიც ადგილობრივი განვითარებით დაინტერესებულ სუბიექტებს (სთეიქჰოლდერებს) საშუალებას აძლევს იმოქმედონ ერთი სახელით, შექმნან მაღალსპეციალიზებული პროდუქცია და უნიკალურ კომპეტენციებზე

<sup>1</sup> Porter M. Location, Competition, and Economic Development: Local Clusters in a Global Economy, Economic Development Quarterly, Feb., 2000, Vol.14 Issue1, p. 15; Sölvell Ö., Lindqvist & C. Ketels . The Cluster Initiative Greenbook, Stockholm, 2003, Ivory Tower, p. 18-20; Sölvell Ö. Clusters Balancing Evolutionary and Constructive Forces, Stockholm, Jan., 2009, Ivory Tower, p. 24-28.

დაფუძნებული კონკურენტუნარიანი პოზიციებით მიიღონ სასურველი სარგებელი მსოფლიო ბაზარზე. ამ სახეობის ლოკალიზაციას ხშირად ქალაქებს, მეტროპოლიებს, მცირე რეგიონებს (არა სახელწიფოებისგან შემდგარ დიდ გაერთიანებებს), თუ სხვა აგლომერაციული ტიპის ძლიერ თვითმმართველობებს უწოდებენ, რომელთა კონკურენტუნარიანობა დაფუძნებულია ადგილობრივ კლასტერულ მეურნეობებზე. პროფესორ მ. პორტერის თაოსნობით, არაერთი მეცნიერის ნაშრომში დეტალურადაა განხილული კლასტერების კონკურენტუნარიანობისა და მისი განვითარების შესახებ ძირითადი საკითხები<sup>1</sup>.

ლოკალიზაცია არის გლობალიზაციის საპირისპირო ფენომენი. იგი იცავს განვითარების პროცესს გლობალიზაციის უარყოფითი ფაქტორების გავლენისგან და განვითარების წონასწორობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს. თუ განვითარების პროცესს წარმოვადგენთ როგორც სასწორს, მაშინ ერთ ჯამზე მოთავსდება გლობალიზაცია, ხოლო მეორეზე - აუცილებლად ლოკალიზაცია. მისი წონასწორობაც სწორედ ამ ორი ფენომენის გავლენასა თუ სიძლიერეზე იქნება დამოკიდებული.

ქვეყნების გლობალიზაციაში ჩართულობის ხარისხის შესასწავლად არსებობს მანვენებელთა სისტემები თუ ინდექსები (KOF-ის ინდექსი<sup>1</sup>, კერნის გლობალიზაციის ინდექსი<sup>2</sup>, Ernst & Young გლობალიზაციის ინდექსი<sup>3</sup> და ა.შ.). რაც შეეხება ლოკალიზაციას, მისი შესწავლა განსხვავებული ჭრილით ხდება, უფრო ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს, მსხვილ ქალაქებს, რეგიონებსა თუ აგლომერაციებს მოიცავს და უმთავრესად ადგილის კონკურენტუნარიანობის საკითხთან არის დაკავშირებული. ლოკალიზაციის ინდექსების შესწავლისას გამოიყოფა ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და სხვა ტიპის ფაქტორები, საქმიანი აქტივობის

<sup>1</sup> <http://www.globalization.kof.ethz.ch/>

<sup>2</sup> <http://www.atkearney.com/index.php/Publications/globalization-index.html>

<sup>3</sup> ERNST & YOUNG, Winning in polytechnic world, Globalization and the changing world of business, 2011, p. 23-27.

გეოგრაფიული ზონები, ინოვაციური სისტემები, კლასტრები და ადგილის განვითარებასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტები. შესაბამისად, ჩამოყალიბდება ინდექსთა ჯგუფები, რომელის გამოყენებითაც გამოითვლება აგრეგირებული ინდექსები.


საქართველოს გლობალიზების ხარისხის შესწავლა ერთობ მნიშვნელოვანია. ამ მხრივ, გარკვეული სამეცნიერო შრომები არსებობს კიდევ. გლობალიზაციის კოფ-ინდექსის 2010 წლის რეიტინგის მიხედვით საქართველო 69-ე ადგილზეა<sup>1</sup>. რაც შეეხება ლოკალიზაციის მაჩვენებლებს, საქართველოს შემთხვევაში ერთობ ძნელია ადეკვატური მაჩვენებლის მოპოვება, რადგან ამ ტიპის ინდექსები ჯერ კიდევ მხოლოდ სახელმწიფოს მასშტაბით გამოითვლება (იგულისხმება კონკურენტუნარიანობის ინდექსი, ბიზნესის წარმოების ინდექსი და სხვ.). დღეისათვის, ჯერ-ჯერობით მხოლოდ თბილისში მიიღო მონაწილეობა ქალაქების კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთ საერთაშორისო რეიტინგში. ჟურნალის – “FDI Magazines, European Cities and Regions of the future 2010/11”, დანახარჯების ეფექტიანობის რეიტინგში, თბილისი მეოთხე ადგილზე, ხოლო უცხოური პირდაპირი ინვესტიციების სტრატეგიებში – მეხუთე ადგილზე მოხვდა<sup>2</sup>. ეს მაჩვენებლები საწყის ეტაპზე ერთობ მისაღებია, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის საკმარისი ლოკალიზაციის ხარისხის, თუნდაც კონკურენტუნარიანობის კომპონენტით, განსაზღვრის თვალსაზრისით და უფრო აქტიური ბენჩმარკინგია საჭირო საერთაშორისო მასშტაბის თბილისის როგორც ადგილის შესაძლებლობების, კონკურენტუნარიანობის იდენტიფიცირებისათვის.

გარდა ამისა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლოკალიზაციისა და გლობალიზაციის განხილვისას მეტად მნიშვნელოვანია ორივე ფენომენის არა მარტო როგორც საპირისპირო მოვლენის შესწავლა, არამედ როგორც ერთმანეთის მაკომპლემენ-

<sup>1</sup> ლეკაშვილი ე., ისაკაძე თ. გლობალიზაციის თანამედროვე პროცესში საქართველოს ადგილის განსაზღვრის საკითხისათვის, ჟურნ. “ეკონომიკა და ბიზნესი”, 2011, №1, გვ. 29.

<sup>2</sup> FDI Magazines, European Cities and Regions of the future 2010/11, p. 37.

ტირებელი მხარეების შეჯერებაც, და განვითარების ვექტორის მიმართულების დასადგენად, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების სათანადოდ გაანალიზება და დაჯგუფება – “სვოტ” ანალიზი (იხ. სურათი).



დაბოლოს, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ საკმაოდ ანაშრომები, რომლებშიც განვითარების პროცესში რეგიონალიზმი და გლობალიზაცია არამარტო შეპირისპირების, არამედ ურთიერთშეხვედრის ასპექტითაა განხილული<sup>1</sup>. ეს, საბოლოო ანგარიშით, განვითარების მეტნაკლებად სრულყოფილი სურათის წარმოდგენის შესაძლებლობას ქმნის და შეამცირებს ტენდენციურ თუ სუბიექტურ მიდგომას გლობალიზაცია-ლოკალიზაციის ფენომენის მიმართ.

<sup>1</sup> ეთერია ე. რეგიონული ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში, თბ., 2005. გვ. 29.

**Globalization and Localization - Development Regulators**

**D. Darsavelidze**

The article discusses the issue of globalization and localization, as development regulators, correlation between their scopes and basis of formation. The paper proves the necessity of strengthening localization process vs. globalization. The ability of localization to reduce the negative influence of globalization is highlighted. Therefore, the article presents the importance of the study of globalization and localization level of the place through benchmarking and SWOT analysis. Finally, the paper concludes, that localization and globalization should be learnt not as confronting, but as dialectically inter-related and enriching contradicting unity.

**გლობალიზაციის არსი, სტრუქტურა და  
კირითაღი მიმართულებები**

ნატო ჩაღუნელი

**ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
ოსუ დოქტორანტი**

საყოველთაო ჭეშმარიტებაა ის, რომ დაახლოებით XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, საზოგადოებრივი განვითარება მიმდინარეობს გლობალიზაციის ფონზე, რომლის მოქმედების სფეროშიც მსოფლიო მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, ადრე თუ გვიან, ამა თუ იმ სახით, ერთეება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც ელემენტარული განათლება მაინც აქვს მიღებული, იცნობს სიტყვას – „გლობალიზაცია“. ეს სიტყვა, შედარებით განვითარებულ ქვეყნებში მაინც, „უკვე დიდი ხანია ყოველდღიური სალაპარაკო ენის განუყოფელ ნაწილად იქცა. ასე, რომ ყოფით დონეზე მაინც, უამრავ ადამიანს გააჩნია საკუთარი წარმოდგენა ამ პროცესის შესახებ და პოზიცია (დადებითი ან უარყოფითი) მის მიმართ, მაგრამ სულ სხვაგვარადაა საქმე ამ ტერმინის მეცნიერულად დასაბუთებული განმარტების თვალსაზრისით“.<sup>1</sup>

გლობალიზაცია ჩვენი ეპოქის უდავოდ საკვანძო ტერმინია, მაგრამ მისი ნათელი და ერთმნიშვნელოვანი განსაზღვრება დღემდე არაა ჩამოყალიბებული.

ბრიტანული ენციკლოპედიის თანახმად, გლობალიზაცია ესაა პროცესი, რომლის საშუალებითაც ყოველდღიური ცხოვრების გამოცდილება, რომელიც ხასიათდება საქონლისა და იდეების

<sup>1</sup> ვ. მელიქიძე, მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია. თბ., 2006, გვ. 3.

გავრცელებით, ხდება სტანდარტიზებული მსოფლიო მასშტაბით. რადიოკავშირების, ელექტრონული ვაჭრობის, მასობრივი კულტურისა და საერთაშორისო ტურიზმის განვითარების მეშვეობით, გლობალიზაცია იქცა ტენდენციად, რომელიც მიმართულია ჰომოგენურობისკენ (ერთგვაროვანი), რაც, საბოლოო ანგარიშით, ადამიანურ გამოცდილებას ყველგან გახდის არსებითად ჰომოგენურს. ეს შეიძლება გახვიადებულად მოგვეჩვენოს, თუმცა, ჰომოგენური ზეგავლენა მაინც არსებობს, რომელიც ჯერ კიდევ შორსაა ისეთი რამის შექმნისაგან, რასაც შეიძლება მსოფლიო კულტურა ეწოდოს.<sup>1</sup>

სხვა განსაზღვრებებში აქცენტი კეთდება არა პროცესზე, არამედ საერთო პრობლემებზე, რომლებიც კაცობრიობის წინაშე დგას. ასეთ შემთხვევაში გლობალიზაცია ნიშნავს საერთო, შინაარსის მიხედვით მსგავსი პრობლემების წარმოშობას მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონისათვის (მაგალითად, ეკოლოგიური, სასურსათო, დემოგრაფიული, მიგრაციული, ჯანდაცვის და ა. შ.), სახელმწიფოთა მუდმივად არმხრივ სოციალურ-ეკონომიკურ დამოკიდებულებას და საერთო ინტერესთა ზონების წარმოქმნას.<sup>2</sup>

გლობალიზაცია მრავალასპექტიანი მოვლენაა. იგი გავლენას ახდენს მსოფლიოს მთელ მოსახლეობასა და მასში მიმდინარე ყველა პროცესზე. გლობალიზაცია მოიცავს საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველა სფეროს – ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ, სოციალურ, კულტურულ და ა. შ. ურთიერთობებს. ამიტომ, გლობალიზაციის ზოგადი განმარტების ჩამოყალიბება მოითხოვს ინტერდისციპლინარულ მიდგომას. ეკონომიკის, პოლიტოლოგიის, კულტუროლოგიისა თუ სოციოლოგიის გამოყენება დაგვეხმარება გლობალიზაციის ზოგადი არსის გამოკვეთაში.

შედარებით სრულად მიგვანჩნია გლობალიზაციის შემდეგი ზოგადი განმარტება:

**„გლობალიზაცია არის ერთიანი მსოფლიოს ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც პლანეტარული მოვლენების გავრცელების**

<sup>1</sup> W. H. Depuy and a corps of eminent writers, New American edition of the Encycloaedia Britannica (1899), 1994, online - <http://www.britannica.com/EBchecked/topic/1357503/cultural-globalization>

<sup>2</sup> ა. მოვსესიანი, ს. ოგნიცევი, მსოფლიო ეკონომიკა, თარგმანი რუსულიდან შ. კეშაპიძისა, თბ., 2003, გვ. 90.

ინტერესებიდან გამომდინარე ხორციელდება განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ-კულტურულ ღირებულებათა ნებაყოფლობითი გავრცელებით განვითარებადი და ჩამორჩენილი ქვეყნების მრავალფეროვანი სივრცეებში”.<sup>1</sup> ერთიანი მსოფლიო თავისთავად წარმოგვიდგება როგორც პლანეტარული მასშტაბის, ერთიანი, მაგრამ მრავალფეროვანი სისტემა, სადაც თითოეული სახელმწიფო, თავისი ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული ინდივიდუალურობით წარმოადგენს მის შემადგენელ ნაწილს და არ მოდის წინააღმდეგობაში ერთიანი სიტემის პრინციპებთან.

აღნიშნული ერთიანი სისტემის პრინციპებს წარმოადგენს:

- ადამიანის უფლებების პატივისცემა;
- საქონლის, მომსახურების, სამუშაო ძალის და კაპიტალის

მოძრაობის ლიბერალიზაცია;

- მეწარმეობის თავისუფლება;
- ეკონომიკური განვითარების პროდუქტების სამართლიანი

განაწილება;

- მდგრადი განვითარება;
- კულტურული, ენობრივი და რელიგიური მრავალფეროვნების

პატივისცემა.

აქ ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ გლობალიზაციის პროცესში შესაძლებელია იდენტურობისა და თავისთავადობის შენარჩუნება. ამდენად, გლობალური მსოფლიოს ერთ-ერთი მახასიათებელია კულტურული, ენობრივი და რელიგიური მრავალფეროვნება.

ფრიად საყურადღებოა პროფესორ რ. გოგოხიას მოსაზრება იმის შესახებ, რომ გლობალიზაცია როგორც ობიექტური და კანონზომიერი პროცესი, „მსოფლიო კოსმოპოლიტურ გლობალიზაციასთან” არ უნდა ავურიოთ. მსოფლიო კოსმოპოლიტური გლობალიზაციის თეორიის, როგორც დანაშაულებრივი უპერსპექტივობის, მიზანია დენაციონალიზებული საზოგადოების ჩამოყალიბება ყველგვარი განსაზღვრული რელიგიურ-ენობრივი

<sup>1</sup> თოდუა გ. გლობალიზაცია, როგორც თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის საყოველთაო არსი, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი”, 2011, №1, გვ. 15.

ფასეულობებისა და კულტურულ-ისტორიული ორიენტაციის გარეშე. მსოფლიო გლობალიზაციის პროცესებში საქართველოს კანონზომიერი ჩართვა მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული და ეფექტიანი, თუ ქვეყანა მტკიცედ მოირგებს ეროვნული ეკონომიკური იდეოლოგიის სამოსელს...<sup>1</sup>

„გლობალიზაციის პროცესი გარკვეულწილად საზოგადოების განვითარების შედეგს წარმოადგენს და მისი ფესვები კაცობრიობის განვითარების ისტორიის საწყისი ეტაპებიდან მოდის. გლობალიზაციის პროცესი ვითარდებოდა ადამიანის განვითარების, გარესამყაროს შესახებ მისი ცოდნის ამადლების პარადელურად, რაც, თავის მხრივ, გლობალიზაციის ობიექტურ, გარდაუვალ ხასიათზე მიუთითებს. თუმცა, არც ობიექტურობა და არც გარდაუვალობა არ ნიშნავს პროგრესულობას. გლობალიზაცია პროგრესულია იმდენად, რამდენადაც წარმოადგენს როგორც თვით ადამიანის, ასევე გარესამყაროს შესახებ ცოდნის ამადლების განვითარების შედეგს“.<sup>2</sup>

მსოფლიოში მიმდინარე ყოველმხრივი გლობალიზაციის პირობებში კაცობრიობის წინაშე წარმოიქმნება გლობალური პრობლემები (ეკოლოგიური, ენერგეტიკული, სასურსათო, სოციალური და ა. შ.), რომელთა გადაწყვეტა მსოფლიო მასშტაბით თანამშრომლობის გადრმავებას, ყველა ქვეყნისა და ხალხის ერთობლივ მოქმედებას მოითხოვს. ეს კიდევ უფრო ხელს შეუწყობს გლობალიზაციის პროცესს, რის გამოც გლობალიზაცია შეუქცევად ხასიათს ღებულობს.

გლობალიზაციის ისტორიული საწყისი მიმდინარე დებატების საგანია. ზოგიერთი მკვლევარი გლობალიზაციის საწყისს მიაწერს თანამედროვე ერას, სხვანი გლობალიზაციას ახასიათებენ როგორც გრძელვადიან ისტორიულ ფენომენს.

ამერიკელი ჟურნალისტი, მომომხილველი და მწერალი თომას ლარენ ფრიდმენი გლობალიზაციის ისტორიას სამ ნაწილად

<sup>1</sup> რ. გოგოხია, შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მოდელები, განვითარების ტენდენციები. თბ., 2004, გვ. 36.

<sup>2</sup> ეთერია ე. გლობალიზაცია და ანტიგლობალისტური მოძრაობა. შრომების კრებული – „გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური განვითარება: გამოწვევები და შესაძლებლობები“, თბ., 2008, 44.

ყოფს: გლობალიზაცია 1 (1492-1800), გლობალიზაცია 2 (1800-2000) და გლობალიზაცია 3 (2000-დღემდე). იგი მიიჩნევს, რომ გლობალიზაცია 1 მოიცავს ქვეყნების გლობალიზაციას, გლობალიზაცია 2 – კომპანიების გლობალიზაციას და გლობალიზაცია 3 – ინდივიდების გლობალიზაციას<sup>1</sup>.

გლობალიზაციის ღრმა ისტორიული საწყისის ყველაზე დიდი დამცველი ანდრეი გუნდერ ფრანკი მიიჩნევს, რომ გლობალიზაციის ადრეული ფორმა არსებობდა მას შემდეგ, რაც გაიზარდა სავაჭრო ხაზი შუამერულ და ინდუსურ ცივილიზაციებს შორის, III ათასწლეულში ქრისტეს შობამდე. ამ იდეის კრიტიკოსები მიუთითებენ, რომ ეს ვარაუდი ეყრდნობა გლობალიზაციის მეტისმეტად უხემ დეფინიციას<sup>2</sup>.

მოვლენებს, რომლებმაც მიგვიყვანა თანამედროვე გლობალიზაციამდე, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია „გლობალიზაციის წანამდგრებს“ უწოდებს და მათ 3 ჯგუფად ყოფს: 1. ტექნოლოგიური ინოვაციები; 2. პოლიტიკური ცვლილებები; 3. ეკონომიკური პოლიტიკა.

ყოველივე ეს მიანიშნებს იმაზე, რომ გლობალიზაცია კაცობრიობის თანმიმდევრული განვითარების ისტორიულ-ლოგიკური პროცესია, რომლის ძირითადი მახასიათებლებია **ობიექტურობა, პროგრესულობა, შეუქცევადობა.**

თანამედროვე ეტაპზე შესაძლებელია მსჯელობა გლობალიზაციური პროცესების ახალ ეტაპზე, რომლის მახასიათებლებია:

➤ ჯერ ერთი, სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური საქმიანობის გავრცელება პოლიტიკურ საზღვრებს გარეთ ისე, რომ გადაწყვეტილებები და მოვლენები მსოფლიოს ერთ რომელიმე რეგიონში გავლენას ახდენს მსოფლიოს სხვა რეგიონში მცხოვრებ საზოგადოებასა და ინდივიდებზე;

➤ მეორე, ტრანსპორტისა და კომუნიკაციის უახლეს საშუალებათა გამოყენებით გლობალური ურთიერთქმედების არეალებისა და პროცესების ტემპის ზრდის დაჩქარება;

<sup>1</sup> იხ. <http://en.wikipedia.org/wiki/Globalization>

<sup>2</sup> იქვე.

➤ ზოგიერთი ლოკალური მოვლენის ზეგავლენა გლობალურ პროცესებზე, და პირიქით, გლობალური პროცესების აღბეჭდვა ლოკალური მოვლენების მიმდინარეობაზე, რაც მსოფლიოს წარმოაჩენს ერთიანი სოციალური სივრცის სახით;

➤ მესამე, თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ეროვნული ეკონომიკა არ არის დამოუკიდებელი და აღარ მოქმედებს მხოლოდ ეროვნულ ტერიტორიულ სივრცეში – გლობალიზაცია შლის ზღვარს საშინაო და საგარეო სპექტრებს შორის, რაც, თითქმის, ურთიერთშერწყმულია.<sup>1</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ გლობალიზაცია არ არის უბრალოდ ურთიერთდაკავშირებული სამყარო. მიმდინარე პროცესები, ფაქტობრივად, შლის ჩვენს წარმოდგენაში ერი-სახელმწიფოების საზღვრებს როგორც ეკონომიკურს, ასევე პოლიტიკურს. ეს კონცეფცია მიგვითითებს კარდინალურ ცვლილებებზე სოციალურ და ეკონომიკურ სფეროში. დღეს უკვე სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური საქმიანობა ორგანიზებულია და მიმდინარეობს არა მხოლოდ ლოკალურ ან ეროვნულ დონეებზე, არამედ – ტრანსნაციონალურ და გლობალურ დონეებზე. გლობალიზაციის შედეგად აღინიშნება ცვლილებები სოციალურ-პოლიტიკური წყობასა და ცხოვრების ყველა სფეროში მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონსა და კონტინენტზე. აქედან გამომდინარე, შეიძლება განვასხვავოთ გლობალიზაცია სხვა სივრცეში ლიმიტირებული პროცესებისაგან, როგორცაა, მაგალითად, ინტერნაციონალიზაცია და რეგიონალიზაცია.

გლობალიზაციის საფუძველს ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს. ინტერნაციონალიზაცია ნიშნავს ურთიერთდამოკიდებულების ზრდას ეროვნულ და სუვერენულ სახელმწიფოებს შორის, მაშინ როდესაც გლობალიზაციის პირობებში იშლება ზღვარი საშინაოსა და საგარეოს შორის.


გლობალიზაცია ნიშნავს ტრანსკონტინენტურ და ტრანსრეგიონულ ურთიერთობებს, ხოლო რეგიონის შიგნით მიმდინარე პროცესები არის რეგიონალიზაცია. ჩრდილო ამერიკას, ევროკავშირსა და აზიას – ამ სამ ეკონომიკურ ბლოკს შორის მიმდინარე

<sup>1</sup> იხ. ვ. მელიქიძის დასახ. ნაშრომი, გვ. 9.

ეკონომიკური და ფინანსური ურთიერთობები გლობალიზაციის, ხოლო ამ ბლოკებს შიგნით მიმდინარე პროცესები კი – რეგიონალიზაციის მიმანიშნებელია.

გლობალიზაცია მრავალი მიმართულებით განვითარებადი პროცესია. დღეს მსჯელობენ იდეოლოგიურ, ინსტიტუციონალურ, მეცნიერებისა და ინოვაციების, სამხედრო, პოლიტიკის, ეკონომიკის და ა. შ. გლობალიზაციაზე (იხ. სქემა 2). თითოეული მათგანი წარმოადგენს ერთი მოვლენის განსხვავებულ განშტოებას, ანუ მათი ძირი საერთოა.

გლობალიზაციის ძირითადი მიმართულებები  
სქემა 2



იდეოლოგიურ გლობალიზაციაში იგულისხმება ლიბერალური ფასეულობების – თავისუფლების, თანასწორობის, ასევე საკუთრების მსოფლიო მასშტაბით გავრცელება. აღნიშნულმა ფასეულობებმა პირველად უბიძგა მსოფლიოს გლობალურ აღქმას. ,,დღეს საგანმანათლებლო სისტემების, მასობრივი ინფორმაციული საშუალებების და გლობალური საინფორმაციო სისტემების მეშვეობით ეს გლობალიზაციის იდეოლოგია წარმატებით ინერგება საზოგადოებრივ შემეცნებაში“<sup>1</sup>

ინსტიტუციონალური გლობალიზაცია ვლინდება იმით, რომ

მთელ მსოფლიოში იცავენ საბაზრო თამაშის და საზოგადოებრივი ქცევის ერთიან წესებს, რომელთაც ინსტიტუტებს უწოდებენ და რის შედეგადაც მიმდინარეობს ფორმალური (კანონები, ნორმატივები) და არაფორმალური (ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, ქცევის დაუწერელი წესები) ინსტიტუტების გლობალიზაცია.

„გლობალიზაციის პროცესმა მოიცვა სახელმწიფოს ისეთი სპეციფიკური ფუნქციებიც, როგორც თავდაცვა და უსაფრთხოება. დღეს ძალიან ცოტა ქვეყანა თუ მოიძებნება, რომელიც თავდაცვის სტრატეგიად ნეიტრალიტეტს ან მხოლოდ საკუთარი ძალის იმედად ეყრდნობა ირჩევს. ახლა მთავარი როლი გლობალური და რეგიონული უშიშროების ინსტიტუტებს ენიჭება. სამხედრო შეიარაღებისა და აღჭურვილობის წამოება გახდა ერთ-ერთი ინტერნაციონალიზებული სფერო, სადაც სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო და სამოქალაქო საწარმოების მჭიდრო თანამშრომლობა აღინიშნება“.<sup>2</sup> ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სახეზეა ერთგვარი **სამხედრო გლობალიზაცია**. ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება, იმით, რომ ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი (ნატო) ევროპაში თავდაცვისა და უსაფრთხოების საყოველთაო, გლობალურ ორგანიზაციად იქცა.

**პოლიტიკურ გლობალიზაციაში** იგულისხმება მსოფლიო პოლიტიკური სისტემის ერთიანი, საერთო საფუძვლების ჩამოყალიბების პროცესი, რაც ვლინდება მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მისწრაფებაში დანერგოს დემოკრატია, დაიცვას ადამიანის უფლებები და სხვა ზოგადსაკაცობრიო ფასეულობები. ამასთან, გლობალური ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა მოითხოვს უფრო მსხვილი პოლიტიკური ერთეულების ჩამოყალიბებას. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ევროკავშირი, რომელიც უახლოვდება ერთიან კონფედერაციულ სახელმწიფოს. ევროკავშირის ამოძრავებს სურვილი, ხელი შეუწყოს ჰუმანური და პროგრესული ფასეულობების დამკვიდრებას და უზრუნველყოს, რომ კაცობრიობამ ისარგებლოს უზარმაზარი მიმდინარე გლობალური ცვლი-

<sup>1</sup> ა. მოვსესიანი, ს. ოგნივცევი, მსოფლიო ეკონომიკა, თრაგმანი რუსულიდან შ. ვეშაპიძისა, თბ., 2003, გვ. 60.

<sup>2</sup> ზ. დავითაშივილი, ნაციონალიზმი და გლობალიზაცია, თბ., 2003, გვ. 221.

ლებებით. ევროპელები ერთად უფროხილდებიან ფასეულობათა მდიდარ მემკვიდრეობას: ადამიანის უფლებების პატივისცემას, სოციალურ სოლიდარობას, თავისუფალ მეწარმეობას, ეკონომიკური განვითარების პროდუქტების სამართლიან განაწილებას და ა. შ. ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიაში ჩამოყალიბებულია ყველა ის უფლება, რომლებსაც დღეს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები და მათი მოქალაქეები აღიარებენ. ამის მხოლოდ ერთ მაგალითად ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოში სიკვდილით დასჯის გაუქმება გამოდგება. ამასთან, ევროკავშირი ახორციელებს საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას. 1999 წლამდე ევროკავშირის საბჭომ 70 საერთო პრინციპი მიიღო საგარეო პოლიტიკის საკითხებთან (დაწვებული ბალკანეთისა და აღმოსავლეთ ტიმორის მოვლენებით და დამთავრებული ატომური იარაღის გავრცელების აღკვეთითა და ტერორიზმთან ბრძოლით) დაკავშირებით. წევრ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ მიღებული საერთო პრინციპების შესრულება, რასაც პრეზიდენტი ქვეყანა უზრუნველყოფს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და სხვა საერთაშორისო ფორუმების მეშვეობით. იმავე პერიოდში ევროკავშირის საბჭომ შეიმუშავა და შეათანხმა 50 საერთო დონისძიება, მათ შორის, აფრიკასა და სხვა ტერიტორიებზე ნადმების უვნებელყოფა და კრიზისულ ადგილებში, მაგალითად, ბალკანეთსა და ახლო აღმოსავლეთში ევროკავშირის საგანგებო წარმომადგენლების გაგზავნა. 1999 წელს ამსტერდამის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ ევროკავშირის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს უფრო ხანგრძლივ პერსპექტივაზე გამიზნული საერთო სტრატეგია გარკვეული ქვეყნების თუ რეგიონებისთვის. 1999 წელს მიღებული იქნა საერთო სტრატეგია რუსეთისა და უკრაინისათვის, ხოლო 2000 წელს - ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებისათვის<sup>1</sup>. საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში სწრაფად ყალიბდება ევროპის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა.

გლობალიზაციის პროცესმა ყველაზე აშკარად ეკონომიკაში

ინინა თავი. თვით ტერმინს – „გლობალიზაცია”, თავდაპირველად ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა და სხვადასხვა პროდუქტის ბაზრების შერწყმას გულისხმობდა. მხოლოდ შემდეგ მიიღო მან უფრო ფართო მნიშვნელობა და ერთიანი მსოფლიო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და „უსაზღვრო მსოფლიოს” აღმნიშვნელ ცნებად იქცა. მიუხედავად ამისა, ახლაც, გლობალიზაციაზე მსჯელობისას, ძირითადად **ეკონომიკურ გლობალიზაციას** გულისხმობენ და ამ მოვლენის დასახასიათებლად ეკონომიკური პარამეტრები მოყავთ ხოლმე.

მარტივი განმარტებით, ეკონომიკის გლობალიზაცია გლობალური ეკონომიკური სისტემის ფორმირების პროცესია, ხოლო, თავის მხრივ, გლობალური ეკონომიკა არის ერთიანი, პლანეტარული მასშტაბის ეკონომიკური სისტემა, რომელიც შედგება კომპლექსურად ურთიერთდამოკიდებული ეროვნული ეკონომიკებისაგან. აღნიშნული კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება ცვლის მსოფლიო ეკონომიკის ფუნქციონირების ხასიათს და წარმოშობს გლობალურ ეკონომიკას, სადაც არ არის სახელმწიფოებრივი საზღვრები და ეროვნული სახელმწიფო აღარ არის ერთადერთი მთავარი მოთამაშე.

ამრიგად, თუ ყოველივე ზემოთქულს შევაჯამებთ, დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ გლობალიზაცია არის ერთიანი მსოფლიოს ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც ხორციელდება განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ-კულტურულ ფასეულობათა ნებაყოფლობითი გავრცელებით განვითარებადი და ჩამორჩენილი ქვეყნების მრავალფეროვან სივრცეებში. ერთიანი მსოფლიო თავისთავად წარმოგვიდგება როგორც პლანეტარული მასშტაბის, ერთიანი, მაგრამ მრავალფერო-

<sup>1</sup> იხ. ვეროკომისია, ვეროკავშირი და მსოფლიო, თბ., 2009, გვ. 8.

ვანი სისტემა, სადაც თითოეული სახელმწიფო, თავისი ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული ინდივიდუალურობით წარმოადგენს მის შემადგენელ ნაწილს და არ მოდის წინააღმდეგობაში ერთიანი სიტემის პრინციპებთან. აღნიშნული ერთიანი სისტემის პრინციპებია: ადამიანის უფლებების პატივისცემა; მეწარმეობის თავისუფლება; ეკონომიკური განვითარების პროდუქტების სამართლიანი განაწილება; მდგრადი განვითარება; კულტურული, ენობრივი და რელიგიური მრავალფეროვნების პატივისცემა.

გლობალიზაციის მახასიათებლებია: პროგრესულობა, ობიექტურობა, შეუქცევადობა და ისტორიულ-ლოგიკურობა. გლობალიზაციის საფუძველს ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს.

შეიძლება გამოიყოს გლობალიზაციის შემდეგი ძირითადი მიმართულებები: იდეოლოგიური, ინსტიტუციონალური, სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური გლობალიზაცია.

## The Essence, Structure and Main Directions of Globalization

*N. Chaduneli*

It is a widely recognized fact, that nearly since the second half of the twentieth century the social development of the world has been going on in conjunction with the globalization process. Undoubtedly, Globalization is a key term within our epoch, but a clear and unambiguous definition of this term has not been established yet.

A comparably complete definition of globalization can be formulated as follows: **Globalization is a process of formation of the united world, which is carried out by spreading of economic, political, social and cultural values of the developed countries to diverse areas of the developing and backward countries.** The united world itself is presented as a planetary-scale, unified, but diverse system, where each state, with its political, economic and cultural individuality, is integral part of this system without contradiction with the principles of the common system. The principles of the unified system are: respect for human rights; freedom of entrepreneurship; fair distribution of products of economic development; sustainable development; respect of cultural, religious and language varieties.

We can identify the following characteristics of globalization: objectivity, irreversibility, progressivity and historical-logicality.

The main trends of globalization are: ideological, institutional, political, military and economic globalization.

## ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების კენიზიანურ მოღვაწეობა კილევ ერთხელ ბარკოზის საკითხისათვის

მაღსაზ ჩიქობავა

ოსუ ასოცირებული პროფესორი,  
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

სახელმწიფო რეგულირების პრაქტიკა, რომელიც „რეგულირებადი კაპიტალიზმის“ თეორიას ეფუძნება, დამუშავებულია კენიზის მიერ, რომლის ძირითადი ნაშრომი - „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“, 1936 წელს გამოქვეყნდა. ამ პერიოდში დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკა მთელი ისტორიის მანძილზე ყველაზე ღრმა ეკონომიკურ კრიზისს განიცდიდა. აქედან წარმოიშვა იმ საშუალებების მოძიების პრაქტიკული საჭიროება, რომელიც შესაძლებელს გახდიდა ღრმა რყევების გარეშე დინამიკურ საზოგადოებრივ კვლავწარმოებას.

ეკონომიკის განვითარების ძირითადი ფაქტორი, კენიზის მიხედვით, „ეფექტიანი მოთხოვნაა“, რაც შედეგადად პირადი და საწარმოო მოხმარებისაგან. ფაქტორთა ასეთი არჩევანი, რაც გავლენას ახდენს ეკონომიკური განვითარების დინამიკაზე, შემთხვევითი არ ყოფილა. XX საუკუნის 30-იანი წლების შუა პერიოდში, დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკა ცდილობდა უმძიმესი კრიზისიდან თავის დაღწევას. როგორც ცნობილია, კაპიტალიზმის დროს ეკონომიკური კრიზისი საქონლის, კაპიტალისა და სამუშაო ძალის ჭარბწარმოების კრიზისია, ე.ი. ერთობლივი მიწოდების გადამეტება ერთობლივ მოთხოვნაზე.

გააკრიტიკა რა კლასიკური სკოლის კონცეფცია, რომლის თანახმადაც მიწოდება ავტომატურად წარმოშობს მოთხოვნას (სეის კანონი), კენიზმა სრულიად ლოგიკურად ივარაუდა, რომ შემოსავ-

ლების გენერირების უზრუნველსაყოფად აუცილებელია მოთხოვნის სტიმულირება, იმ ფაქტორებზე ზემოქმედება, რომლებიც ახდენს ეფექტიანი მოთხოვნის ფორმირებას და განსაზღვრავს ეროვნული შემოსავლის ნაზრდს.

რაზეა დამოკიდებული ეფექტიანი მოთხოვნა და როგორაა შესაძლებელი მისი რეგულირება? როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეფექტიანი მოთხოვნის ერთ-ერთი შემადგენელია პირადი მოხმარება. ეს უკანასკნელი, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია დასაქმების დონეზე და ამიტომ, უმუშევრობა ის ერთ-ერთი ფაქტორია, რომელიც წინ ედგება ეფექტიანი მოთხოვნის ფორმირებას. რითი განსაზღვრება დასაქმების დონე? - ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის მიხედვით, დასაქმება დამოკიდებულია შრომის ზღვრულ მწარმოებლურობაზე (რომელიც განსაზღვრავს შრომაზე მოთხოვნას) და რეალური ხელფასით (რომელიც განსაზღვრავს შრომის მიწოდებას) გამოსატულ შრომის ზღვრულ სიმძიმეზე.

კეინზმა უარყო ეს პოსტულატები. მისი აზრით, დასაქმების დონე დამოკიდებულია მოხმარებასა და ინვესტიციებზე მოსალოდნელ დანახარჯებზე. მან აღნიშნა, რომ “შემოსავლების ზრდასთან ერთად მოხმარების დონე იზრდება, მაგრამ არა იმავე ზომით, როგორც შემოსავლებისა”.<sup>1</sup> ეს უკავშირდება ე.წ. ‘ძირითად ფსიქოლოგიურ კანონს’<sup>2</sup>, რომლის არსია ის, რომ ადამიანები მიდრეკილნი არიან გაზარდონ მოხმარება, მაგრამ არა იმ ზომით, რა ზომითაც იზრდება მათი შემოსავლები. ამით ვლინდება ადამიანთა ბუნებრივი მიდრეკილება დაზოგვისადმი.

უნდა აღინიშნოს, რომ კეინზმა თავისებურად განმარტა რეალურ სინამდვილეში არსებული კანონზომიერება. ეროვნული შემოსავლის ზრდის კვალობაზე მასში მოხმარების წილი შედარებით მცირდება. ეს ხდება, უპირატესად, ექსტენსიური ეკონომიკური ზრდისა და მრეწველობის საბაზისო დარგების ფორმირების პირობებში. ამასთან, კეინზის აზრით, რაც უფრო მდიდარია საზოგადოება, მით უფრო მაღალია დაზოგვისადმი მიდრეკილება და ნაკლებია მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება. ამას მივყავართ წარ-

<sup>1</sup> Дж. М. Кейнс. *Общая теория занятости, процента и денег. М., 1978, с. 83.*

<sup>2</sup> იქვე.

მოებული პროდუქციის მოცულობისა და დასაქმების მასშტაბების შეზღუდვამდე. ამგვარად, პრობლემის არსი შემდეგია: როგორ უნდა განხორციელდეს სრული დასაქმებისა და ეკონომიკური ზრდის ერთმანეთთან შეთავსება?

ამ კითხვაზე პასუხი ემყარება დასაქმებას, მოხმარებასა და ინვესტიციებს შორის ფუნქციონალური დამოკიდებულების განსაზღვრას. ჩათვალია რა, რომ დასაქმება წარმოადგენს მოხმარებისა და ინვესტიციების ფუნქციას, კეინზმა ივარაუდა, რომ მოხმარების ფუნქცია მდგრადია და ამიტომ, სახელმწიფოს ყურადღება მიმართული უნდა იყოს ინვესტიციების სტიმულირებაზე.

ამგვარად, მოსახლეობის არასაკმარისი მოთხოვნა, რომელიც ჩამორჩება შემოსავლების ზრდას, კომპენსირებული უნდა იქნეს საინვესტიციო მოთხოვნის ზრდით. ინვესტიციების ნაზრდი დამოკიდებულია ორ ფაქტორზე – მოგების მოსალოდნელ ნორმასა და საბანკო პროცენტის განაკვეთის სიდიდეზე. აქედან გამომდინარეობს საინვესტიციო მოთხოვნის რეგულირების მონეტარული და ფისკალური ინსტრუმენტები. რა როლი აკისრია ამ ინსტრუმენტებს ინვესტიციებისა და დასაქმების ზრდის სტიმულირებაში?

მოგების ნორმისა და მოთხოვნის გადიდება შესაძლებელია ფულადი (ნომინალური) ხელფასის შემცირების ხარჯზე. ამ კონცეფციას ემხრობოდა კლასიკური თეორია. ხელფასის შემცირება იწვევს ფასების შემცირებას და რეალური შემოსავლების გადანაწილებას დაქირავებული მუშაკებიდან მეწარმეების და მეწარმეებიდან რანტიეების სასარგებლოდ. მთლიანობაში ეს გადანაწილება ამცირებს მოხმარებისადმი მიდრეკილებას. თუმცა, ეს ამადლებს კაპიტალდაბანდების ზღვრულ ეფექტიანობას. გარდა ამისა, ფასებისა და ფულადი შემოსავლების შემცირება, თავის მხრივ, ამცირებს ნაღდ ფულზე მოთხოვნას, რაც იწვევს საპროცენტო განაკვეთის შემცირებას და ინვესტიციების წახალისებას.

ეს გზა, რომელიც მოქნილი ხელფასის პოლიტიკის სახელითაა ცნობილი, ფულადი ხელფასის ერთეულით გამოსატული ფულის რაოდენობის ცვლილების ხერხია. მისი პრაქტიკული რეალიზაცია დემოკრატიულ საზოგადოებაში ფრიად პრობლემურია. მხოლოდ ავტორიტარულ საზოგადოებაშია შესაძლებელი ხელფასის სიდიდის

რეგლამენტირება. საბაზრო ეკონომიკურ სისტემაში ერთგვაროვანი რეგლამენტირება და, მით უფრო, ფულადი ხელფასის შემცირება შეუძლებელია. ხელფასის ეტაპობრივი შემცირება ცალკეული მეწარმეების მხრიდან აწყდება პროუკავშირებთან ბრძოლას. გარდა ამისა, მოქნილი ხელფასის პოლიტიკის შედეგი შეიძლება იყოს „ფასების უკიდურესი არამდგრადობა, შესაძლოა, იმდენად მნიშვნელოვანი არამდგრადობა, რომ ყოველგვარი საქმიანი გათვლები სრულიად უაზრო იქნება“<sup>1</sup>. ეს კი, საბოლოოდ, უარყოფითად აისახება საინვესტიციო მოთხოვნაზე.

მოქნილი ხელფასის პოლიტიკის უარყოფითი შედეგები შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული მოქნილი მონეტარული პოლიტიკით. ფულის რაოდენობის ცვლილება ღია ბაზარზე ფულად-საკრედიტო ოპერაციების, სააღრიცხვო განაკვეთების რეგულირების, სავალდებულო რეზერვების ნორმის დახმარებით, კეინზის აზრით, სახელმწიფოს გამგებლობაშია. ფულის რაოდენობის ზრდა, რომელიც გამოხატულია ხელფასის ერთეულით, ამ უკანასკნელის შემცირების გარეშე, გამოიწვევს საპროცენტო განაკვეთის შემცირებას, ფასებისა და ინვესტიციების ზღვრული ეფექტიანობის ზრდას. ყველაფერი ეს სტიმულს მისცემს საინვესტიციო მოთხოვნას და დასაქმების ზრდას. გარდა ამისა, დეპოზიტებზე არსებული პროცენტების შემცირება ხელს შეუწყობს მოხმარების ზრდას, რადგანაც ბანკებში ფულადი ანაბრების არსებობა ნაკლებად მიმზიდველი იქნება.

თუმცა, ყველა ეს ღონისძიება შეიძლება არასაკმარისი იყოს ეფექტიანი მოთხოვნისა და სრული დასაქმების მისაღწევად. მოთხოვნისა და დასაქმების ზრდის მიზნით კეინზი გვთავაზობს აქტიური ფისკალური პოლიტიკის გატარებას.

აქტიური საინვესტიციო საქმიანობის რეალიზაცია მოითხოვს ეროვნული შემოსავლის გადანაწილებას სახელმწიფოს სასარგებლოდ საგადასახადო განაკვეთების ზრდით. ამ გზით ამოღებული ფულადი საშუალებები, რაც სხვა შემთხვევაში გაზრდიდა ბანკებში არსებულ დეპოზიტებს, სახელმწიფომ საინვესტიციო მოთხოვნის გაფართოებასა და დასაქმების ზრდას უნდა მოახმაროს.

<sup>1</sup> Дж. М. Кейнс. Общая теория занятости, процента и денег. М., 1978. с. 339.

უშუალოდ სამეწარმეო საქმიანობის გარდა, კეინზი სახელმწიფოს რეკომენდაციას აძლევდა განეხორციელებინა, აგრეთვე, მრეწველობის არარენტაბელური დარგების, კომუნალური მეურნეობის, შემწვობების გადახდის საბიუჯეტო დაფინანსება. ამასთან, სახელმწიფო ხარჯებს კეინზი არ ზღუდავდა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლითი ნაწილის მასშტაბებით და უშვებდა დეფიციტური დაფინანსების შესაძლებლობასაც. მას ესმოდა, რომ ეს ინფლაციას გამოიწვევდა, მაგრამ თვლიდა, რომ ინფლაციის ტემპები დარეგულირდებოდა სახელმწიფოს მიერ, რადგანაც ის განსაზღვრავს ბიუჯეტის დეფიციტისა და ფულადი ემისიის ზომებს.

მოთხოვნის საბიუჯეტო გაფართოება უმუშევრობის შემცირების ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის გარდა, ხელს უწყობს სოციალური წინააღმდეგობების სიმწვავის მოხსნას. ამასთან, სახელმწიფო ხარჯების აუცილებლობისა და ეფექტიანობის დასასაბუთებლად წარმოების მოცულობაზე, შემოსავლებსა და დასაქმებაზე მისი ზემოქმედების თვალსაზრისით, კეინზმა შემოუშვა „შულტიპლიკატორის“ თეორია.

კეინზის კონცეფცია საფუძვლად უდევს სახელმწიფო რეგულირების ხანგრძლივ პრაქტიკას, რომლის პარამეტრებსა და მიმართულებებს თავისებურებები გააჩნდა სხვადასხვა ქვეყანაში და საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური ტენდენციის ზემოქმედებით მოდიფიკაციას განიცდიდა.


რეგულირების კეინზიანური მოდელის ანალიზიდან გამომდინარე, აღვნიშნავთ, რომ მისი ძირითადი შტრიხებია:

- ეროვნული შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილის გადანაწილება სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით;
- სახელმწიფო მეწარმეობის ფართო ზონის შექმნა სახელმწიფო და შერეული საწარმოების ფორმირების საფუძველზე;
- ფისკალური და მონეტარული რეგულატორების ფართოდ გამოყენება ეკონომიკური კონიუნქტურის სტაბილიზაციის მიზნით, ციკლური რყევების შთანთქმა, ზრდის მაღალი ტემპებისა და დასაქმების მაღალი დონის მხარდაჭერა.

ჩვენი აზრით, კეინზიანური მოდელი არ ითვალისწინებს მთავარ მომენტს: კაპიტალიზმის პირობებში ერთობლივი მოთხოვნისა

და ერთობლივი მიწოდების ტოლობის მიღწევის არა თუ პრაქტიკულ, არამედ თეორიულად შეუძლებლობასაც კი. ამის სადემონსტრაციოდ განვიხილოთ კაპიტალის წრებრუნვა მოსახლეობისათვის საქონლისა და მომსახურების წარმოების სტრუქტურაში. სახელმწიფო სექტორისგან აბსტრაგირება მოვახდინოთ. განვიხილოთ ჩაკეტილი ეკონომიკური სისტემა – მარტივი მოდელი. გარეგნულად წრებრუნვას ექნება ისეთი ფორმა, როგორც სქემაზეა წარმოდგენილი.

**წრებრუნვა საქონლისა და მომსახურების წარმოების სტრუქტურაში**



ერთი შეხედვით, ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ამ წრებრუნვაში არსებობს რაოდენობრივი დისპროპორცია, რომელიც წრებრუნვის ფულად მაგისტრალში „საცობად“ გადაიქცევა.

ფირმები ერთობლივი ძალისხმევით აწარმოებენ საბოლოო პროდუქტებს, გააქვთ საქონლისა და მომსახურების ბაზარზე სარეალიზაციოდ და დებულობენ ამონაგებს ფულადი ფორმით. შინამუშრუნეობები ფირმებს აწვდიან სამუშაო ძალას, სანაცვლოდ დებულობენ ხელფასს, რითაც ყიდულობენ სამომხმარებლო საქონელს.

დაეუშვათ, ქვეყნის მთელი კაპიტალი გაერთიანებულია ერთ დიდ ფირმაში ერთობლივი კაპიტალის სახით, რომელიც აწარმოებს საბოლოო საქონელს. იმავდროულად აღნიშნული ფირმა აწარმოებს წარმოების საშუალებებს, ნედლეულს, ენერჯიას, მასალებს და მაკომპლექტებელ დეტალებს. საბოლოო საქონლის ფასი, რომელიც ამ

ფირმის მიერაა გამოშვებული, განისაზღვრება ფორმულით: ფასი = ხელფასი + მოგება. მაშასადამე, ფირმა ყიდულობს მხოლოდ ერთ რესურსს - შრომას. დანარჩენს აწარმოებს მისი შიგა ქვედანაყოფები. ერთობლივი კაპიტალის ფირმისათვის არ არსებობს რენტა და პროცენტები. ყველაფერი იფარება მოცემული ფირმის შიგნით. დაეუშვათ, ერთობლივი კაპიტალის ფირმა ყიდულობს შრომას, იხდის ხელფასს 10 მლრდ ლარის ოდენობით წელიწადში და გეგმავს 20%-იანი მოგების მიღებას. ერთობლივი კაპიტალის ფირმას საქონლისა და მომსახურების ბაზარზე გააქვს 12 მლრდ ლარის საქონელი და მომსახურება. ეს ერთობლივი მიწოდებაა.

მაგრამ მომხმარებლები შინამუშრუნეობებია. მათ შეუძლიათ მაქსიმუმ 10 მლრდ ლარის დახარჯვა, რაც მათ მიერ ხელფასის სახით მიღებული განკარგავდი შემოსავალია. ამგვარად, 2 მლრდ ლარის საბოლოო საქონლის რეალიზაცია ვერ მოხდება. კაპიტალის წრებრუნვაში წარმოიშობა „საცობი“ - მიწოდების სიჭარბე. პრობლემა კიდევ უფრო ღრმავდება იმით, რომ შინამუშრუნეობა მოლიანად არ ხარჯავს ხელფასს მიმდინარე მოხმარებაზე, არამედ მის ნაწილს ზოგავს. თუ ეს უკანასკნელი შემოსავლის 10%-ია, მაშინ „საცობის“ სიდიდე გაიზრდება 30 მლრდ ლარამდე.

მაშასადამე, 12 მლრდ ლარის ოდენობის ერთობლივი მიწოდების საერთო მოცულობიდან, 30 მლრდ ლარი არარეალიზებული რჩება – მიწოდება აჭარბებს მოთხოვნას 25%-ით. თუ ერთობლივი კაპიტალის ფირმა შეამცირებს გამოშვების მოცულობას და სამუშაო ადგილებს, ამით გადახდილი ხელფასების მოცულობა და შესაბამისად, ერთობლივი მოთხოვნაც შემცირდება, რაც ისედაც არასაკმარისია. ამგვარად, ჭარბწარმოების კრიზისი კიდევ უფრო გაღრმავდება.

კაპიტალის წრებრუნვაში აღნიშნული დისპროპორციის პრობლემა კეინზის მიხედვით შემდეგნაირად „წყდება“: პოტენციური ფულადი მოგება გადაეცემა დაქირავებულებს, მაგრამ მხოლოდ გაცვლის მეშვეობით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პოტენციური ფულადი მოგება იცვლება შრომაზე, რომელიც გამოიყენება ინვესტირების პროცესში, შრომაზე, რომელიც მოცემულ პერიოდში არ მონაწილეობს საბოლოო პროდუქტის მიმდინარე წარმოებაში.

საამისოდ საჭირო ფინანსური რესურსიც არსებობს, ეს არის ის 1 მლრდ ლარი, რომელიც კონცენტრირებულია დანახოვების სახით. გარდა ამისა, განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ დაქირავებული მუშაკი თავისი შრომით ყოველთვის ახდენს კაპიტალის აგანსირებას. ინვესტიციებში განხორციელებული შრომა არის ისეთი შრომა, რომელიც პოტენციური მოგების ფულად ფორმას გადააქცევს ნივთობრივ კაპიტალად, კერძოდ: შენობა-ნაგებობად, მოწყობილობებად, ნედლეულის ნატურალურ ნაზრდად, მასალებად, ენერჯიად. ერთობლივი კაპიტალის ფირმისთვის ინვესტიციებში განხორციელებული შრომა არ მონაწილეობს მოგების მიმდინარე წარმოებაში, რომელიც მოცემულ შემთხვევაში ისედაც ჭარბწარმოების პრობლემას განიცდის. ინვესტირებაში გაწეული შრომა არ იძლევა მოგებას არც კონკრეტული ფირმის კონკრეტული ინვესტირებისათვის, რადგანაც ფირმა ფულს მხოლოდ მომავალში მოგების მიღების იმედით აბანდებს.

მაგრამ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ინვესტიციებში გაწეული შრომა არ ქმნიდეს ზედმეტ პროდუქტს. ზედმეტი პროდუქტის მოგებად გარდაქმნა გაწეულია დროში, ვიდრე ახლადშექმნილი ნივთობრივი კაპიტალი მონაწილეობას არ მიიღებს საბოლოო პროდუქტის წარმოებაში. და აი, დროში ეს დაუმთხვევლობა ქმნის იმის ილუზიას, რომ თითქოს ერთობლივი მოთხოვნა უტოლდება ერთობლივ მიწოდებას და ჭარბწარმოების კრიზისიც დაძლეულია. **მაგრამ, საქმე ისაა, რომ ახლადშექმნილი ნივთობრივი კაპიტალი როცა მონაწილეობას მიიღებს ახალი დამატებული ღირებულების, ანუ ახალი საბოლოო პროდუქტის შექმნაში, შეუსაბამობა ერთობლივ მიწოდებასა და ერთობლივ მოთხოვნას შორის კიდევ უფრო მასშტაბური იქნება.** ამის შემდეგ ამ შეუსაბამობის „დაძლევა“ კვლავ ზემოთ აღწერილი სცენარით ხდება. თუმცა, როგორც ვნახეთ, ეს ჭარბწარმოების კრიზისის არათუ დაძლევა, არამედ მხოლოდ მისი გადავადებაა გარკვეული დროით, რაც მომავალში ამ კრიზისის გამწვავების მაპროვოცირებელია. აქედან გამომდინარე, ერთობლივ მიწოდებასა და ერთობლივ მოთხოვნას შორის შესაბამისობის დამყარება, კეინზის თეორიის მიხედვით, შეუძლებელია.

ამასთან, წარმოების პროცესში შექმნილი ერთობლივი ზედმეტი

პროდუქტი მიემართება გაცვლის სფეროში, საბოლოო პროდუქტის წრებრუნვის სფეროში, სადაც ის გარდაიქმნება ერთობლივ მოგებად და უკვე აღნიშნული მოგების მითვისება ხდება ერთობლივი კაპიტალის ფირმის მიერ. მითვისებული მოგება მიემართება საერთო ქვაბში – ერთობლივი კაპიტალის ფირმის ქვედანაყოფის შიგნით წრებრუნვის სფეროში. ეს ქვედანაყოფები იყოფენ ერთობლივ მოგებას წარმოების ფასების მოგების საშუალო ნორმის ფორმირების კანონის საფუძველზე. საბოლოო პროდუქტის წრებრუნვის სფეროში მიმდინარეობს მოგების მითვისების პროცესი ერთობლივი კაპიტალის მიერ, ხოლო ამ უკანასკნელის შიგნით წრებრუნვის სფეროში ხდება მითვისებული მოგების განაწილება.

ინვესტირების დროს ზედმეტი პროდუქტის წარმოების პერიოდის მოგებად გარდაქმნის პერიოდთან დაუმთხვევლობა, ზედმეტი პროდუქტის მოგებად გარდაქმნის დროში ჩამორჩენა, ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ მოხდეს კაპიტალის წრებრუნვაში წარმოშობილი „თრომბული საცობის“ გაწოვება. პირველადი ინვესტიციების არსია ის, რომ ერთობლივი კაპიტალის ფირმა შინამეურნეობისგან სესხულობს დანახოვებს, ამით იძენს მისი ფულის მართვის უფლებას და გადააქცევს კაპიტალის მატერიალურ ფორმად, ფაქტობრივად ითვისებს კაპიტალს.

ჩვენს მარტივ მაგალითში ერთობლივი კაპიტალის ფირმა შინამეურნეობისგან სესხულობს დანახოვებს 1 მლრდ ლარის ოდენობით, მიმართავს მას პირველად ინვესტიციებზე და ხელახლა დაქირავებულ მუშაკებს უხდის ხელფასს 1 მლრდ ლარის ოდენობით. შინამეურნეობის შემოსავალი იზრდება 1 მლრდ-ით: 0,1 მლრდ ლარს ის კვლავ ზოგავს, ხოლო 0,9 მლრდ ლარს ხარჯავს მოხმარებაზე. ერთობლივი მოთხოვნა იზრდება 0,9 მლრდ ლარით და ამცირებს ერთობლივ მიწოდებასთან მის ჩამორჩენას იმავე ოდენობით. ერთობლივი კაპიტალის ფირმამ მიიღო პოტენციური მოგება, რომელიც ჩაიღო 0,9 მლრდ ლარის საქონელსა და მომსახურებაში. საბოლოოდ, პირველადი ინვესტიციების შედეგი ასე გამოიყურება: კაპიტალმა მიითვისა 1,9 მლრდ ლარი: 1 მლრდ – სესხის მატერიალურ ფორმად გარდაქმნის სახით და 0,9 მლრდ – დამატებით რეალიზებული საქონლისა და მომსახურების შედეგად. ქვეყანაში

იზრდება დასაქმება და შინამეურნეობის შემოსავალი. სახეზეა ღირებულებითი ნაზრდი საბოლოო პროდუქტის ბრუნვის სფეროში, ასევე ერთობლივი კაპიტალის ფირმის შიგა ქვედანაყოფში ბრუნვის ნატურალური ნაზრდი. აღსანიშნავია საწარმოო სიმძლავრეების მატება, რომელსაც ძალუძს მომავალში მოგვეცეს საბოლოო პროდუქტის ბრუნვის სფეროში ნატურალური ნაზრდი.

მაშასადამე, პირველადი ინვესტიცია არა მარტო გაიწოვს „საცობს“ კაპიტალის წრებრუნვაში, არამედ გამოიწვევს გამოშვების მოცულობის მულტიპლიკატორულ ნატურალურ ნაზრდს. მულტიპლიკატორის ეფექტის მოქმედება საშუალებას იძლევა ეფექტიანად დაიძლიოს მიწოდების სიჭარბე, რაც რეალურად უდევს საფუძვლად ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში დღემდე არსებული ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებას.

პირველადი ინვესტიციები წარუმატებელიც რომ აღმოჩნდეს და გამოიწვიოს ინვესტორის გაკატრება, საბოლოო პროდუქტის გამოშვების მოცულობა სხვა ფირმებში მაინც გაიზრდება მულტიპლიკატორის ეფექტით, რითაც უზრუნველყოფილი იქნება საქონელბრუნვის ნატურალური ნაზრდი. ამიტომ, გარდაუვალი ხდება უწყვეტი ინვესტირება. ბუნებრივია, ისმის კითხვა: როგორ შეიძლება ამის ორგანიზება? აკი, ინვესტირებაზე გადაწყვეტილებას დებულობს კონკრეტული კერძო ფირმა. ამ ფირმას ადევნებს თავისი დაბანდებების ეფექტიანობა და არა ქვეყნის ჭარბწარმოების კრიზისი. ბუნებრივია, ის არ წავა რისკზე სხვა ფირმების გასაღების პრობლემების გამო. ასეთ შემთხვევაში, ერთ-ერთი გამოსავალია საპროცენტო განაკვეთების შემცირება. კეინზის ამ რეკომენდაციას პირდაპირ მისდევნენ განვითარებულ ქვეყნებში. მაგალითად, აშშ-ში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, თანამედროვე გლობალურ ეკონომიკურ კრიზისს თუ არ მივიღებთ მხედველობაში (თუმცა, არც ამ პერიოდში ჰქონია ადგილი განსხვავებულ პოლიტიკას), ინფლაციის დონე სტაბილურად ნარჩუნდებოდა მეოთხედი საუკუნის განმავლობაში 3%-ის ფარგლებში, ე.წ. „სანავთობო შოკების“ პერიოდების გამოკლებით, ხოლო 1992 წლიდან ისევ დაუბრუნდა იმავე 3%-იანი ნიშნულს. აშშ ფედერალური სარეზერვო სისტემა დისკონტის განაკვეთს, როგორც წესი, ინარჩუნებდა ინფლაციის მიმდინარე დონ-

ესთან შედარებით 0,5%-ით მაღლა. ამგვარად, აშშ-ში ერთობლივი კერძო კაპიტალისთვის კრედიტები ხელმისაწვდომი იყო ძალიან დაბალი ფასით: სულ რაღაც წლიური 0,5%-ით.<sup>1</sup>

მაგრამ, თუ საბოლოო პროდუქტის ბაზრებზე სიტუაცია ისეთია, რომ კერძო ინვესტორებს არ სურთ რისკზე წასვლა, ხოლო ინვესტიციებზე ფაქტობრივი მოთხოვნა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე საჭიროა მიწოდების სიჭარბის სალიკვიდაციოდ ან თუ ინვესტიციებზე მოთხოვნა არსებობს, მაგრამ ფინანსურ ინსტიტუტებს არ სურთ გარისკონ თავიანთი ფულადი რესურსებით, მაშინ ინვესტირების რისკი საკუთარ თავზე უნდა აიღოს სახელმწიფომ ფისკალური ინსტრუმენტების დახმარებით. შინამეურნეობის შემოსავლის ნაწილი გადასახადებით უნდა იქნეს მობილიზებული ბიუჯეტში, ხოლო აქედან სახელმწიფო დაკვეთების მეშვეობით უნდა წარიმართოს ინვესტიციებში. კერძო ფირმას უნდა მიეცეს როგორც საკუთარი პროდუქციის გაყიდვის, ასევე მოგების მიღების გარანტია, მოხდეს ინვესტირების სტიმულირება. ეს კიდევ არაფერი, უნდა მოხდეს ამ ინვესტიციების ბიუჯეტიდან ავანსირება. კეინზი „ახალ კურსთან“ დაკავშირებით რეკომენდაციას აძლევდა პრეზიდენტ რუზველტს, რომ ბიუჯეტიდან დაფინანსებულიყო საზოგადოებრივი სამუშაოები. ენთუზიაზმით აღვსილი ის თავაზობდა ხეოფსის პირამიდების აგებასაც კი. თუმცა, რეალური კაპიტალიზმი სხვა გზით წავიდა. კერძოდ, პირამიდების აგების ნაცვლად, არნახულად გაიზარდა სამხედრო ხარჯები: 1950 წელს აშშ-ს სახელმწიფო დაკვეთა შეადგენდა 50 მლრდ დოლარს, ხოლო 1997 წელს მან 1,5 ტრლნ დოლარს მიაღწია.<sup>1</sup> აი, რას აცხადებენ ამასთან დაკავშირებით ამერიკელი ეკონომისტები:

„დანახარჯების მულტიპლიკატორის პრაქტიკაში მოქმედების ილუსტრაცია შეიძლება მოვახდინოთ აშშ ბიუჯეტში სამხედრო ხარჯების ცვლილებების ეკონომიკაზე გავლენის მაგალითზე. XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში პრეზიდენტ რეიგანის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება თავდაცვის სახელმწიფო ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდის შესახებ. 1979 წელს ეს ხარჯები 271 მლრდ დოლარს (უცვლელი ფასებით) შეადგენდა, ხოლო 1987

<sup>1</sup> Пол А. Самуэльсон, Вильям Д. Нордхаус. Экономика. М., 2000. с. 504.

წელს - 409 მლრდ დოლარამდე გაიზარდა და მან აშშ-ის მშპ-ის 7,5% შეადგინა...

მულტიპლიკატორის თეორიის შესაბამისად, 80-იანი წლების დასაწყისში სამხედრო სექტორის გაფართოებას ძლიერი გავლენა უნდა მოეხდინა ეკონომიკაზე და ეს მართლაც მოხდა. სამხედრო საჭიროებებზე ხარჯების ზრდამ აშშ, ფაქტობრივად, გამოიყვანა 1981-1982 წლების ეკონომიკური კრიზისიდან და ხელი შეუწყო 80-იანი წლების შუა პერიოდში საქმიანი აქტივობის გამოცოცხლებას. ერთ-ერთ საგაზეთო სტატიაში აღინიშნა, რომ ყოველი კარგად ანაზღაურებადი სამუშაო ადგილი თავდაცვის სექტორში შესაძლებლობას იძლევა შეიქმნას სხვა სამუშაო ადგილები „საწარმოების მიერ, რომლებიც აწარმოებენ დაწყებული სპეციალური დანიშნულების ლითონის ნაკეთობებს, სპორტული კოსტიუმების ქიმწმენდით დამთავრებული და კომპანიების მიერ, რომლებიც ამზადებენ მუყაოს კოლაფებს ღვეხელებისთვის, რომლის შექმნაც შეუძლია ამა თუ იმ პირს საკუთარი ოფისისკენ მიმავალ გზაზე. „ცივი ომის“ დამთავრებისთანავე მულტიპლიკატორი ამუშავდა უკუმიმართულებით. ბიუჯეტის შემცირებამ თავისი წვლილი შეიტანა მორიგი ციკლური ვარდნის განვითარებაში 90-იანი წლების დასაწყისში“.<sup>1</sup>

ერთი სიტყვით, თუ კერძო სექტორი არ მიდის რისკზე, მაშინ ეს რისკი თავის თავზე უნდა აიღოს სახელმწიფომ. ამას ადასტურებს შემდეგი მონაცემები: 1950 წლისათვის აშშ სახელმწიფო ვალი 267 მლრდ დოლარს, 1997 წელს – 5370 მლრდ დოლარს, ხოლო 2010 წლისათვის მშპ-ის თითქმის ტოლ სიდიდეს შეადგენდა<sup>1</sup>.

კეინზმა თავისი ნაშრომი - „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“, როგორც აღვნიშნეთ, გამოაქვეყნა 1936 წელს. ჩერჩილის მიერ „ცივი ომის“ გამოცხადებამდე ის წარმოადგენდა მხოლოდ აშშ-ის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის პრაქტიკაში მიმდინარე ეკონომიკური პოლიტიკის თეორიული დასაბუთების საშუალებას. 1946 წელს, როდესაც მეორე მსოფლიო ომის დამთავრებასთან ერთად გამწვავდა უმუშევრობის პრობლემა, აშშ-ში მიღებულ იქნა კანონი დასაქმების შესახებ, რომელიც პირდაპირ ავალდებულებს ფედერალურ მთავრობას ეკონომიკაში ჩარევას. თვით სპეციალური

<sup>1</sup> [www.gpoaccess.gov/eop/](http://www.gpoaccess.gov/eop/)

ტერმინიც კი იქნა შემოდებული ეკონომიკურ თეორიაში – დისკრეციული ფისკალური პოლიტიკა, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა სახელმწიფოს მიერ გადასახადებითა და სახელმწიფო ხარჯებით შეგნებული მანიპულირება დასაქმების ზრდის, ინფლაციაზე კონტროლისა და ეკონომიკური ზრდის სტიმულირების მიზნით. სახელმწიფო რეგულირების კეინზის მიერ შემოთავაზებულმა მოდელმა შესაძლებელი გახადა შერბილებულიყო ციკლური რყევები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ორი ათწლეულის განმავლობაში. სახელმწიფო რეგულირების ინსტრუმენტები ომის შემდგომი სამეურნეო განვითარების ობიექტური ტენდენციის კალაპოტში ჯდებოდა, მაგრამ, XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისიდან, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მეორე ეტაპის დაწყების კვალაზაზე, ადგილი ჰქონდა ამ ტენდენციების სერიოზულ ცვლილებებს და გამოვლინდა სახელმწიფო რეგულირების შესაძლებლობებსა და ობიექტურ ეკონომიკურ პირობებს შორის შეუსაბამობა. ამგვარად, ჭარბწარმოების ეკონომიკური კრიზისის დაძლევა კეინზის კონცეფციის ფარგლებში შეუძლებელი გახდა.

1979-1982 წლების კრიზისი, II მსოფლიო ომიდან 2008 წლამდე (თანამედროვე გლობალური ეკონომიკური კრიზისის დაწყებამდე), არსებული ციკლური განვითარების კრიზისებიდან არა მარტო ყველაზე ღრმა, არამედ სახელმწიფო რეგულირების კეინზიანური მოდელის კრიზისიც იყო. შედეგად, სახელმწიფო რეგულირების სისტემა კარდინალურად გარდაიქმნა და ჩამოყალიბდა სახელმწიფო რეგულირების ახალი, ნეოკონსერვატიული მოდელი. თუმცა, ვერც ამ მოდელმა გაართვა თავი კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობის დაძლევის ამოცანას, რასაც თანამედროვე მსოფლიოს განვითარების ტენდენციები ადასტურებს.

### Regarding the Issue of the Keynesian Model of State Regulation of Economy

M.Chikobava

<sup>1</sup> Пол А. Самуэльсон, Вильям Д. Нордхаус. Экономика. М., 2000. с. 612-634.

<sup>1</sup> [www.census.gov/prod/www/statistical-abstract.html](http://www.census.gov/prod/www/statistical-abstract.html)

The article considers the issue of possibilities to overcome basic contradictions of capitalism by using the Keynesian model of state regulation of economy. It is shown that by means of Keynesian model of state regulation of economy, which is still used today for managing the economies of developed countries, it's impossible to achieve macroeconomic balance not only practically, but also theoretically.

It is also stated in the article, that overcoming of the main contradictions of capitalism was impossible on the basis of alternatives of Keynesian theory, such as neoconservative and neoliberal concepts. Current global economic crisis proves this.

საქართველოსა და გერმანიის  
მოსახლეობის სტრუქტურის  
შეღარებიანი ანალიზი

ნონა ზელიბაშვილი  
ოსუ დოქტორანტი,

მოსახლეობის სტრუქტურის ანალიზი გულისხმობს მნიშვნელოვანი დემოგრაფიული მონაცემების განხილვას, რამაც გენდერულ ფაქტორთან ერთად, უნდა მოიცვას დასაქმებაც. გარდა ამისა, ანალიზისთვის შეიძლება საყურადღებო იყოს ისეთი ასპექტებიც, როგორცაა: განსახილველი პირების ასაკი, ოჯახური მდგომარეობა, ეროვნება და სხვ.

მკვლევარები მოსახლეობის სტრუქტურულ ანალიზს განმარტავენ, როგორც „მოსახლეობის დაყოფა ცალკეულ ატრიბუტებად და მათ შორის არსებული დამოკიდებულებების ანალიზს“<sup>1</sup>.

მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების განვითარებისა და სივრცობრივი განაწილების შედარებით, ვიღებთ ინფორმაციას სხვადასხვა დემოგრაფიული, სოციალური და ეკონომიკური ტენდენციების განვითარების შესახებ, ეს შესაძლებლობას იძლევა გაკეთდეს პროგნოზები სოციალური დაცვის სისტემის ჩამოყალიბებისა და ფინანსური პოლიტიკის ამოცანების განსაზღვრასთან დაკავშირებით.

წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია მეთოდი, რომელიც სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობასთან მიმართებით, სოციალური განსხვავებების წარმოჩენას ემსახურება. მიღებული შედეგები ცხადყოფს საქართველოსა და გერმანიაში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, სიცოცხლის ხანგრძლივობის დამოკიდებულებას შემოსავლებზე; კერძოდ, რაც უფრო მაღალია შემოსავლები, მით უფრო დიდია ხანგრძლივი სიცოცხლის პერსპექტივა. მამრობით სქესში ეს განსხვავება კიდევ უფრო მკვეთრად გამოხატული, მდედრობით სქესთან შედარებით.

<sup>1</sup> Bähr, J. (2000): Bevölkerungsgeographie. - In: Müller, U., Nauck, B., Diekmann, A. (Hrsg.): Handbuch der Demographie, Bd. 2. Berlin u.a. TX. 882.

გერმანიის მოსახლეობის სტრუქტურა (2008 წ.) ცხრილი 1.

მოსახლეობის ასაკობრივი ჯგუფი	ასაკი	მამაკაცი	ქალი	სრული რაოდენობა	%-ის მოცულობა მოსახლეობის მთლიანობაში
1	0 წელიდან 4 წლამდე	1 167,6	1 677,4	2 845,0	4,2
2	5-9	1 206,0	1 800,0	3 006,0	4,3
3	10-14	2 041,6	1 937,1	3 978,7	4,9
4	15-19	2 256,6	2 103,9	4 360,5	5,9
5	20-24	2 456,2	2 403,6	4 859,8	6,1
6	25-29	2 522,1	2 461,1	4 983,2	6,1
7	30-34	2 304,7	2 328,0	4 632,7	5,7
8	35-39	2 057,1	2 156,4	4 213,5	5,7
9	40-44	3 611,5	3 441,4	7 052,9	9,6
10	45-49	3 507,5	3 366,6	6 874,1	9,4
11	50-54	2 976,6	2 904,9	5 881,5	7,9
12	55-59	2 629,7	2 702,5	5 332,2	6,9
13	60-64	2 079,0	2 129,7	4 208,7	5,6
14	65-69	2 466,6	2 675,0	5 141,6	6,9
15	70-74	2 079,6	2 402,5	4 482,1	5,9
16	75-79	1 274,3	1 729,6	3 003,9	3,7
17	80 წელი და მეტი	1 203,0	2 796,1	4 000,1	5,0
	ჯამი	40 004,5	41 010,0	81 014,5	100

მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის საილუსტრაციოდ, სტატისტიკაში გამოიყენება გრაფიკული თვალსაჩინოების ფორმა, რომელსაც „ასაკობრივი პირამიდა“ უწოდებენ. XX საუკუნეში მას

ჯერ კიდევ კლასიკური პირამიდის ფორმა ჰქონდა, დღეისათვის ის უფრო „ქარისგან აბურძენილ ნაძვს“ ჰგავს, როგორც ეს მოსახლეობის სტატისტიკისმა – პოლ ფლასკემპერმა აღწერა.<sup>1</sup>

საქართველოსა და გერმანიის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა ჩვენ მიერ განხილულია 2008 წლისთვის, გერმანიის სტატისტიკის ფედერაციული უწყებისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის გამოთვლებზე დაყრდნობით. ასევე გამოვიკვლიეთ, როგორ იცვლება მოსახლეობის რაოდენობა და ასაკობრივი სტრუქტურა დემოგრაფიული ფაქტორების – შობადობისა და მოკვდაობის – გავლენით. აღნიშნულ ფაქტორებს განვიხილავთ აგრეთვე სქესთან მიმართებით.

მოსახლეობის სტრუქტურული ცვლილებები და განსხვავებები განსახილველ ქვეყნებს შორის განსაკუთრებით ნათლად ჩანს ყველაზე ახალგაზრდა და ყველაზე ხანდაზმული ჯგუფების განხილვისას (ცხრილი 1,2, დიაგრამა 1).

მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ანალიზი გვიჩვენებს, თუ როგორ ვითარდება დამოკიდებულება ახალ და უფროს თაობებს შორის. დღესდღეობით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ისევე როგორც სხვა მაღალგანვითარებული ქვეყნების უმეტესობა, ხასიათდება შედარებით სუსტად წარმოდგენილი ახალგაზრდა თაობით, ანუ დაბალი წილობრივი მაჩვენებლით. სიცოცხლის ხანგრძლივობა იზრდება, შედეგად ხდება გადანაცვლებები მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაშიც, უფროსი თაობის სასარგებლოდ. ამჟამად გერმანიაში ცხოვრობს გაცილებით მეტი 65 წელს გადაცილებული ადამიანი, ვიდრე 15 წლის და მასზე უმცროსი ასაკის.

2008 წლის ბოლოს გერმანიაში ახალგაზრდების (15-დან 25 წლამდე) წილი შეადგენდა 11,6%-ს, მათ შორის მამაკაცი იყო 5,7% და ქალი – 5,9%. მოზრდილების (25-იდან 65 წლამდე) წილად მოდიოდა 62,9%, ხოლო ასაკოვანი ადამიანები (65-იდან ზემოთ) შეადგენდნენ მოსახლეობის 20,4%-ს; მოსახლეობის 5% კი ხანდაზმულები იყვნენ (80 წელზე მეტი ასაკის).


<sup>1</sup> Gutberger, Hansjörg. Bevölkerung, Ungleichheit, Auslese: Perspektiven sozialwissenschaftlicher. VS Verlag für Sozialwissenschaften, Wiesbaden, 2006., IX. 45.

ცხრილი 2.

მოსახლეობის ახაკობის რეკონსტრუქციის	ახაკი	მამაკაცი	ქალი	თირველი ხედი	% მოსახლეობისა და მოსახლეობის მნიშვნელობა
1	5 წელზე ქვემოთ	124,2	100,2	224,2	5,2
2	5-10	129,7	111,2	239,1	5,7
3	10-15	147,7	137,4	285,1	6,9
4	15-20	158,9	130,2	309,2	8,2
5	20-25	162,0	171,2	339,2	8,7
6	25-30	165,2	165,2	339,9	7,2
7	30-35	152,0	137,7	309,7	7,4
8	35-40	144,2	125,9	309,2	6,0
9	40-45	144,0	122,4	306,4	6,2
10	45-50	135,4	107,1	299,2	7,1
11	50-55	129,2	111,7	281,0	6,5
12	55-60	111,7	105,0	246,7	5,2
13	60-65	100,2	82,0	142,2	3,6
14	65-70	86,7	125,0	211,7	5,0
15	70-75	79,2	106,4	179,9	4,3
16	75-80	66,2	84,2	136,7	3,2
17	80 წელზე და მეტი	39,7	30,9	114,2	2,8
	ჯამი	1934,4	2.022,9	4147,2	100

საქართველოში, 2005 წლიდან, მოსახლეობაში ახალგაზრდების წილის მკვეთრი ზრდით აღინიშნა. 2008 წლისთვის ახალგაზრდების (15-დან 25 წლამდე) წილი შეადგენდა მთელი მოსახლეობის 17,6%-ს, მოზრდილებისა (25-იდან 65 წლამდე) – 51,5%-ს, ასაკოვანი ადამიანებისა (65-იდან ზემოთ) – 12,9%-ს; ხოლო მოსახლეობის 2,8% ხანდაზმულები იყვნენ (80 წელზე მეტი ასაკის).

საქართველოსა და გერმანიის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა<sup>1</sup> (2008 წ. %, %)



რადგანაც მამაკაცების სიცოცხლის საშუალო ასაკი ნაკლებია ქალებთან მიმართებით, სქესთა შორის დამოკიდებულება ასაკთან ერთად იცვლება. მაშინ, როდესაც 50 წლამდე ასაკის გერმანელი მამაკაცები ჭარბობენ ქალებს, 40-დან 50 წლის ასაკამდე შუალედში კი მამაკაცებისა და ქალების რაოდენობა თითქმის ერთმანეთის ტოლია, ხოლო 50 წლის ზემოთ ასაკობრივ ჯგუფებში ქალები დომინირებენ. 60-იდან 70 წლის ასაკამდე კატეგორიაში ქალების წილი 52%-ს შეადგენს. უფრო მაღალ ასაკობრივ ჯგუფებში, კერძოდ, 70-80 წლის ასაკში ქალების წილი 58%-ია და 80 წლის ასაკში და ზემოთ – 70%-იც კი. შობადობის კლებამ გამოიწვია ის, რომ 1972 წლიდან მოყოლებული, შობადობა ჩამორჩებოდა სიკვდილიანობას.<sup>2</sup>

25-იდან 30 წლის ასაკამდე კატეგორიებში საქართველოს მოსახლეობაშიც გერმანიის მსგავსი ტენდენცია შეიმჩნევა: 30-35 წლის ასაკში ქალები შეადგენენ მოსახლეობის 51%-ს, მომდევნო ასაკობრივ ჯგუფებშიც განუხრელად იზრდება ქალების წილი და 80 წლის ასაკში უკვე 78%-ს აღწევს (ცხრილი 3,4, დიაგრამა 2,3).

<sup>1</sup> მონაცემთა ბაზა – გერმანიის სტატისტიკის ფედერალური უწყება; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საკუთარი გამოთვლები.


<sup>2</sup> Statistisches Bundesamt Deutschland. Auszug aus dem Datenreport 2008, Bevölkerung. გვ. 13.

მამაკაცების ასაკობრივი სტრუქტურა გერმანიასა და საქართველოში, 2008წ.

ცხრილი 3.

ასაკობრივი ჯგუფი	ასაკი	გერმანია		საქართველო	
		აბს.	პ.	აბს.	პ.
1	0-4 წლის ბავშვი	1 767,8	4,4	264,0	6,0
2	5-10	1 505,0	4,9	123,9	6,0
3	10-15	1 044,8	5,0	111,7	7,1
4	15-20	1 255,8	5,7	105,9	8,9
5	20-25	1 456,3	6,2	102,0	9,7
6	25-30	1 223,1	6,3	105,3	10,0
7	30-35	1 311,7	5,9	122,0	11,2
8	35-40	1 057,1	7,1	111,6	11,0
9	40-45	1 611,5	9,0	111,0	12,9
10	45-50	1 507,5	9,7	125,1	11,5
11	50-55	1 274,6	11,1	129,3	14,1
12	55-60	1 059,7	11,6	111,7	15,4
13	60-65	1 079,0	11,3	86,1	13,2
14	65-70	1 422,6	14,1	106,7	14,1
15	70-75	1 079,8	11,2	73,5	13,5
16	75-80	1 271,3	13,2	52,5	11,5
17	80 წლის და მეტი	1 122,0	13,1	31,7	1,6

მამაკაცების ასაკობრივი სტრუქტურა გერმანიასა და საქართველოში (%).  
 დიაგრამა 2



როგორც დიაგრამა 2 გვიჩვენებს, მამაკაცთა ასაკობრივ ჯგუფებში სრულიად განსხვავებული განვითარების ტენდენციებია განსახილველ ორ ქვეყანაში. აქ მხოლოდ ერთი გამონაკლისი შეინიშნება: მერვე ასაკობრივ კატეგორიაში 35-40 წლებს შორის მონაცემები საქართველოსთვის და გერმანიისთვის ფაქტობრივად ერთნაირია – 7,0% და 7,1%. 20-30 წლის ასაკში სიჭარბე შეინიშნება საქართველოს მოსახლეობაში – 8,7% და 8,0%, გერმანიისა კი – 6,2% და 6,3%. და პირიქით, გერმანიისთვის იკვეთება ანალოგიური სურათი უფრო მაღალ ასაკობრივ კატეგორიაში, კერძოდ, ასაკობრივ ჯგუფებში – 9 და 10: მამრობითი სქესის მოსახლეობა 40-50 წლის ასაკში – 9,0% და 8,7%, საქართველოში 6,9%-სა და 7,5%. ამ ასპექტით გერმანიისთვის დამახასიათებელია ევროპის სხვა მაღალ-განვითარებული ქვეყნების მსგავსი, შედარებით უნიფიცირებული განვითარების ტენდენცია.


ქალების ასაკობრივი სტრუქტურა გერმანიასა და საქართველოში, 2008წ.

ცხრილი 4.

ასაკობრივი ჯგუფი	ასაკი	გერმანია		საქართველო	
		აბ.	%	აბ.	%
1	5 წლის ქვემოთ	1 877,4	4,1	110,3	4,3
2	5-10	1 310,0	4,3	111,2	4,3
3	10-15	1 227,1	4,8	127,4	8,5
4	15-20	2 120,9	5,2	120,0	7,3
5	20-25	2 408,0	5,7	177,3	7,2
6	25-30	2 481,1	5,3	185,0	7,2
7	30-35	2 221,0	5,0	157,7	8,3
8	35-40	2 750,4	8,0	155,9	8,7
9	40-45	2 441,4	3,2	182,4	7,0
10	45-50	2 220,0	3,1	173,1	7,3
11	50-55	2 221,3	7,0	151,7	8,8
12	55-60	2 712,3	8,5	125,0	3,9
13	60-65	2 149,7	5,1	22,0	2,8
14	65-70	2 875,0	8,4	125,0	3,4
15	70-75	2 442,3	5,3	104,0	4,8
16	75-80	1 720,3	4,1	24,2	2,7
17	80 წლის და უფრო	2 720,1	8,7	20,9	2,5

ქალების ასაკობრივი სტრუქტურა გერმანიასა და საქართველოში (%)

დიაგრამა 3



დიაგრამა 3 გვიჩვენებს დამოკიდებულებას საქართველოსა და გერმანიის მდედრობით მოსახლეობას შორის. 10 წლის ასაკამდე და 40 წლის ზემოთ კატეგორიებში დამოკიდებულება თითქმის გაწონასწორებულია. თუმცა, მე-3 და მე-7 ასაკობრივ ჯგუფებს შორის სრულიად განსხვავებული სურათია: 15 და 35 წლებს შორის ნათლად შეინიშნება სიჭარბე საქართველოს მოსახლეობის მდედრობით ნაწილში. თვალშისაცემია ასევე განსხვავება მე-17 ასაკობრივ ჯგუფში, სადაც გერმანელი ქალების რიცხვი სჭარბობს ქართველი ქალების რიცხვს 3,2%-ით (6,7% და 3,5%).

განვითარებად ქვეყნებში სულ უფრო მეტ პოპულარობას იძენს ოჯახის დაგეგმვის პოლიტიკურად მართვადი სისტემა, რისი შედეგიცაა შობადობის მნიშვნელოვანი კლება, რაც განვითარებული ქვეყნებისთვის ტიპური მოვლენაა.<sup>1</sup> დღესდღეობით, განვი-

<sup>1</sup> Engelhardt, Henriette. Zum Wandel der Korrelation von Fertilität und Frauenerwerbstätigkeit in Raum und Zeit: Eine empirische Analyse unter Berücksichtigung der Effekte ausgewählter sozialer Indikatoren. Zeitschrift für Familienforschung, 21. Jahrg., Heft 3/2009.


თარებულ ქვეყნებში შობადობის ნორმა საშუალოდ შეადგენს 2,8 ბავშვს ერთ ქალზე, რაც იმ ნორმაზე დაბალიც კი არის, რომელიც აუცილებელია მოსახლეობის არსებული რაოდენობის შესანარჩუნებლად. მაგრამ, საქართველო შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც გამონაკლისი. დამოკიდებულება, ერთი მხრივ, შობადობის ნორმასა და ფერტილურობას, და მეორე მხრივ, მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ს შორის, განვითარებადი ქვეყნებისგან განსხვავებულადაა წარმოდგენილი; კერძოდ, ამ ცვლადებს შორის არსებობს უარყოფითი დამოკიდებულება, ისევე, როგორც ეს განვითარებულ ქვეყნებშია. 1970 წლიდან 2004 წლამდე პერიოდში შობადობა საქართველოში შემცირდა 2,7-იდან 1,6-მდე. თუმცა, ცხოვრების ხარისხი საქართველოში გაცილებით დაბალია, ვიდრე მაღალგანვითარებულ ქვეყნებში. გაეროს განვითარების პროგრამის გამოკვლევების თანახმად (United Nations Development Programme)<sup>1</sup>, 2010 წელს, საქართველო მიაკუთვნეს მაღალი ადამიანური განვითარების მქონე ქვეყნების კატეგორიას. საქართველო, იმავე 2010 წელს, ადამიანური განვითარების ინდექსის (HDI- Human Development Index) მიხედვით, 74-ე ადგილზეა (გერმანია – მე-10 ადგილი); ეს მნიშვნელოვანი წინსვლაა საქართველოსთვის უკანასკნელი 12 წლის მანძილზე, რადგანაც 1998 წლიდან 2010 წლამდე ქვეყანამ 108-ე ადგილიდან 74-ზე გადაინაცვლა (იხ. დიაგრამა 4).

ჯანდაცვის, ჰიგიენის, კვების, საცხოვრებელი და სამუშაო პირობების გაუმჯობესებისა და, აგრეთვე, გაზრდილი მატერიალური კეთილდღეობის შედეგად, გერმანიაში სიცოცხლის მოსალოდნელმა ხანგრძლივობამ, უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში, საგრძნობლად იმატა. სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდას, ჩვეულებისამებრ, თან სდევს ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილება, რაც ხშირად შობადობის გრძელვადიანი შემცირებით გამოიხატება. სტატისტიკა მოწმობს, რომ 60 წელს ზემოთ ასაკის ადამიანთა რიცხვმა აბსოლუტური და შედარებითი ზრდა განიცადა გერმანიაში; უკანასკნელ წლებში არსებობს პენსიის გაცილებით მეტი პოტენციური მიმღები და საპენსიო პერიოდი გაცილებით დიდხანს გრძელდება. შეიძლება ითქვას, რომ დემოგრაფიული ცვლილებები არის და რჩება გამოწვევად სოციალური დაცვის სისტემებისთვის.<sup>2</sup>

<sup>1</sup> United Nations Development Programme – UNO, [www.un.org](http://www.un.org).  
[http://www.bpb.de/wissen/370UAU.0.0.Die\\_soziale\\_Situation\\_in\\_Deutschland.html](http://www.bpb.de/wissen/370UAU.0.0.Die_soziale_Situation_in_Deutschland.html)  
<sup>2</sup> bpb. Bundeszentrale für politische Bildung. Zahlen und Fakten. Entwicklung der Lebenserwartung.

ადამიანური განვითარების ინდექსის ტენდენციები საქართველოში 1970-2010 წწ.

დიაგრამა 4



2008 წლისთვის გარდაცვლილთა რიცხვმა გერმანიაში 24%-ით გადააჭარბა ახალშობილთა რიცხვს: გარდაიცვალა 844 439 კაცი და მხოლოდ 682 514 ბავშვი დაიბადა. ამგვარი განვითარებით ხასიათდება, პირველ რიგში, გერმანული მოსახლეობა. რაც შეეხება გერმანიაში მცხოვრებ სხვა ეროვნების წარმომადგენლებს, ისინი გამოირჩევიან უფრო მაღალი შობადობით, სიკვდილიანობასთან შედარებით.

საქართველოში ცოცხლად დაბადებულთა რიცხვმა 2008 წელს შეადგინა 56 565, ხოლო გარდაცვალებულთა რიცხვმა – 43 011, ანუ ახალშობილთა რიცხვი უფრო მაღალი იყო, ვიდრე გარდაცვლილთა რიცხვი. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში, მსგავსი ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდა.

2008 წელს, სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობა გერმანიაში მამრობითი სქესისთვის 77,17 შეადგენდა, ხოლო მდედრობითი სქესისთვის – 82,40-ს. საქართველოში კი – მაშ-

რობითი სქესისთვის – 69,3 და მდედრობითისთვის – 79,0 დონეზე. საქართველოში უკანასკნელი წლების გარკვეულმა ეკონომიკურმა წინსვლამ ყველა დემოგრაფიული მახვენებლის ცვლილებაში იჩინა თავი. შედეგად, შეიცვალა ასაკობრივი სტრუქტურაც, დამოკიდებულება ახალგაზრდა და უფროს თაობებს შორის და სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობაც მნიშვნელოვნად გაიზარდა. მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, მოსალოდნელი სიკვდილიანობა საქართველოში ჯერ კიდევ საგანგაშო ნიშნულზე რჩება. ის 2009 წლისთვის ყოველ 1000 კაცზე შეადგენდა: დაბადებიდან 15 წლამდე – 39-ს, 15-60 წლის ასაკში – 136-ს, 60 წლის ზემოთ – 170-ს. სიკვდილის შემთხვევა (ორივე სქესისთვის) შეადგენდა საქართველოში – 258-ს, გერმანიაში – 4,2-ს. სიკვდილიანობის ნორმა ასევე მაღალი იყო საქართველოში – 11,9, თუმცა, ის არცთუ ისე შორსაა გერმანიის იდენტური მახვენებლისგან, რომელიც 10,377-ს შეადგენდა.<sup>1</sup>

**Comparative Analysis of the Population Structure of Georgia and Germany**

N. Gelitashvili

The analysis of the age structure means the study of important demographic data. Together with gender factors it should also include employment and other economic aspects. Other important factors for the analysis may be: famili conditions, age (of family members) and nationality. This publication presents the methodology, which serves to show social differencies regarding the life expectancy. The results demonstrate the dependence of life expectancy on income level. Particularly, the higher the income is, the longer life expectancy is expected. Such tendency is more sharply revealed in males.

In developing countries politically managed system of family planning becomes more and more popular. The consequence of such policy is the essential reduction of the birth-rate. That is usual for developed countries, but we can consider Georgian example as an exception. The dependence between birth-rate and GNP per capita is presented differently in comparison with other countries. Here we observe negative correlation between two variables just like it is in developed countries.

<sup>1</sup> (UNO, Selected Demographic Indicators: Mortality, 2005-2010).

**Концентральные подходы к управленческому анализу как к функции управления предприятием**

Аббасова С. А.  
Доцент Азербайджанского Государственного  
Экономического университета, к.э.н.

Вхождение наших предприятий и организаций в мировое экономическое сообщество и, вместе с тем, необходимость достижения одной из главных целей деятельности - получение и максимизация прибыли как надёжного источника благосостояния, обуславливают целесообразность адаптации к требованиям рыночной экономики, особенно в области методов управления предприятием, организации бухгалтерского учёта и анализа.

С другой стороны, с развитием производства возрастает сложность управления им, что ведёт к необходимости разделения труда в сфере управления, выделения некоторых его функций в относительно самостоятельные участки управления. Происходит специализация управленческой деятельности по видам. Соответствующий процесс специализации характерен и для учётно-аналитической работы.

Как показывает практика, ярко выраженная самостоятельность, независимость в принятии решений по управлению, ориентация на конечные результаты деятельности, проявляющаяся сегодня у отечественных организаций, обуславливает поступательное движение экономики к развитому рынку, порождает потребность в дифференциации учёта на управленческий и финансовый и соответственно, развивающиеся на их базе внутренний управленческий и внешний финансовый анализ, как это имеет место в зарубежных странах с развитой рыночной экономикой.

Наряду с этим, одной из предпосылок развития управленческого и финансового анализа является изучение и освоение богатого опыта отечественной учётно-аналитической и экономической школы, с

одной стороны, и изучение и разумное применение западных теорий и методов управления с другой.

Однако при ссылке на зарубежный опыт не будем забывать о том, что для нас ведение управленческого учета связано как с изучением теоретических западных концепций и адаптивным переносом их на отечественную теорию и практику, так и прежде всего, с законодательным закреплением возможности самостоятельной организации внутреннего учета на предприятиях. Управленческий учёт, как мы полагаем, может «набрать темпы» лишь в условиях развитой рыночной экономики, ориентируясь на улучшение конечных результатов, законодательно закреплённых внутренней организацией рынка. При этом на наш взгляд, нельзя ограничивать рассмотрение проблемы управленческого учёта только производственным учётом. Проблема значительно шире: с управленческим учётом связаны управленческий анализ, контроль, планирование и управление на предприятии, экономика предприятия, математические методы, статистика. Учитывая это, можно утверждать, что речь должна идти об адаптации западного управленческого учёта, в том числе и управленческого анализа, к нашей теории и практике.

По нашему мнению, в настоящее время очень высока тенденция к преимущественной замене производственного учёта управленческим. Важная роль в этом принадлежит и теоретической подготовке экономистов (в том числе специалистов по бухгалтерскому учёту и аудиту, менеджменту, калькулированию себестоимости, анализу и т. д.).

В связи с этим, в экономической литературе идут дискуссии о том, что производственный учет является “базой” управленческого учета. В его состав, кроме учетной, плановой и контрольной, входит аналитическая функция. Ее реализация возложена на управленческий анализ, являющийся одним из видов экономического анализа. Наряду с этим, вопросы, касающиеся содержания управленческого анализа, его места в системе экономического анализа, функций и задач остаются до настоящего времени недостаточно исследованными.

<sup>1</sup> Л. Т. Гиляровская «Экономический анализ». – М., ЮНИТИ, 2004, с. 107.

Проф. Л. Т. Гиляровская управленческий анализ выделяет как вид экономического анализа.<sup>1</sup> При этом в качестве классификационного признака берётся тип использованной информации. Л. Т. Гиляровская предполагает, что деление бухгалтерского учета на финансовый и управленческий дает основание применять аналогичный подход к классификации экономического анализа. Основываясь на таком суждении, основной задачей внешнего (финансового) анализа можно определить оценку финансового состояния и выявление возможностей повышения эффективности функционирования коммерческой организации в целом. На наш взгляд, при всей важности этого вида анализа, основной его недостаток заключается в отсутствии оперативности. Он не позволяет руководителям сразу же оценить достигнутые результаты, рассчитать эффективность деятельности отдельных структурных подразделений, оперативно использовать полученную информацию в управленческих целях. Эти задачи должны решаться путём проведения внутреннего (управленческого) анализа. Так, известный ученый И. Шер указывал, что калькуляционная бухгалтерия должна обращать внимание “...не только на вопросы, касающиеся настоящего положения предприятия, но также на числовые данные для решения вопроса о тех или иных хозяйственных изменениях и реформах. Например: целесообразно ли для данного промышленного предприятия перейти от продажи оптовикам внутри страны к непосредственному экспорту, или целесообразно ли заменить двигательную паровую силу – электрической? Выгодно ли введение того или иного предмета торговли, замена одной рабочей машины другой, расширение предприятия, открытие отделения, расходование больших средств на рекламу?” Думаем, что в современных организациях подобные задачи могут быть реализованы в системе управленческого анализа – внутреннего экономического анализа, направленного на оценку как прошлых, так и будущих результатов хозяйственной деятельности структурных подразделений организации.

Основываясь на вышесказанном, рассмотрим далее концепции управленческого анализа, являющегося одним из элементов управленческого учёта.

Следует отметить, что в последнее время устоявшееся представление о внутрихозяйственном анализе как способе выявления резервов и о методах их мобилизации, претерпело существенное изменение. Изменилась точка зрения на его предназначение, цель проведения и сферы влияния, на его роль в разработке и обосновании целесообразности новых управленческих решений по поводу оптимизации использования производственных ресурсов и повышения эффективности хозяйственной деятельности. Всё чаще внутрихозяйственный анализ на предприятиях стали называть управленческим анализом. В связи с этим особо нужно подчеркнуть связь управленческого анализа с менеджментом, результатом конкретной управленческой деятельности которого является управленческое решение. А выработка управленческого решения, как известно, составляет одну из главных задач процесса управления предприятием. Абсолютно ясно, что управленческое решение – это результат проведенного анализа, прогнозирования, экономического обоснования и, в конечном счёте, выбора оптимального варианта из нескольких имеющихся альтернатив развития событий. Помимо того, принятие многих важных решений, требующих комплексной оценки, осуществляется именно на основе управленческого анализа «затраты – объёмы - прибыль». Вместе с тем, практически каждое решение требует обработки массива данных. Фиксирует и накапливает их управленческий учет. Он также решает задачи первичной сортировки и систематизации данных, распределения их по объектам и функциям управления. Отсюда необходимым условием проведения управленческого анализа является рационально организованный управленческий учет. Поэтому разрабатываемое организационно-экономическое обеспечение управленческого анализа обязательно должно включать либо весь механизм управленческого учета, либо его основные элементы. Выбор элементов управленческого учета определяется приоритетом целей управленческого анализа, основными среди которых являются: определение стратегии деятельности предприятия и оптимальное планирование его будущих операций; использование ресурсов с максимальной прибылью либо с минимальными затратами; оценка эффективности работы

предприятия в целом и его отдельных бизнес-направлений; снижение уровня субъективности процесса принятия управленческого решения. Очевидно, что управленческий учёт и его важнейшая составная часть - управленческий анализ - становятся фундаментом стратегического и финансового менеджмента, его информационной базой и поддержкой. Отсюда, эффективность их организации и претворения в жизнь во многом зависит от того, насколько они адаптированы к реальным потребностям организации. Грамотная организация управленческого учёта и анализа на предприятии возможна лишь в том случае, когда чётко сформулированы управленческие потребности предприятия. А это, как известно, является прерогативой менеджмента.

Вместе с тем, изучение как зарубежной, так и отечественной литературы по учёту, анализу, менеджменту показывает, что в современный период актуальным становятся процессы интеграции бухгалтерского управленческого учёта и менеджмента, которые образуют взаимодействие двух концепций. Проф. Вахрушина М. А. вполне обоснованно, на наш взгляд, отмечает: «Взаимодействие менеджмента как концепции управления и управленческого учёта как концепции информационной поддержки управления создаёт возможность снижения риска принятия ошибочных управленческих решений. В этой связи, представляется целесообразным привлекать менеджеров к процессу формирования учётной политики предприятия, знание которой позволит управляющим не только принимать эффективные управленческие решения, но и оценивать их экономические последствия».<sup>1</sup> И, действительно, чем более совершенной является поставленная в организации система бухгалтерского управленческого учёта и анализа, тем легче менеджерам управлять прибылью. Отметим, что исторически роль учета и анализа в системе управления неправомерно принижалась. В классификационных группировках функций управления часто выделялись такие функции, как планирование, организация, регулирование, координация, стимулирование, контроль, а учет и анализ включались в состав контрольной функции. Однако, уяснив

<sup>1</sup> Вахрушина М.А. Теория и практика бухгалтерского управленческого учета. Дисс. на соиск. ученой степени доктора экон. наук.: - М., 2002. с. 102.

важность и заслуженное значение учетно-аналитической информации в процессе принятия управленческих решений, отдельные специалисты старались исправить сложившееся положение. В частности, правильно отметив несовершенство классификационных группировок функций управления, проф. А.С. Бородкин предложил включить в состав управления в качестве самостоятельных функций учет и экономический анализ, подчеркивая их важность и отмечая значительно более широкий диапазон содержания и функционирования экономического анализа по сравнению с такой функцией как контроль на предприятии.

Справедливости ради, следует отметить, что в настоящее время в условиях формирования рыночных отношений, роль учета и анализа в управлении хозяйственной деятельностью объективно повышается, поскольку учетно-аналитическая информация обеспечивает систему управления необходимыми данными и позволяет принять эффективные управленческие решения. Возрастание роли анализа как средства управления производством в последнее время обусловлено разными обстоятельствами, но прежде всего, необходимостью повышения эффективности производства, в связи с ростом ограниченности ресурсов и стоимости сырья, повышением науко- и капиталоемкости производства и созданием новых форм производства. Отсюда следует, что управленческие решения должны быть основаны на точных расчетах, глубоком и всестороннем экономическом анализе. Кроме того, управленческий анализ интегрирует три вида внутреннего анализа: ретроспективный, оперативный и перспективный, каждому из которых присущи свои задачи. А в целом, как уже отмечалось выше, управленческий анализ направлен на выявление внутренних ресурсов и возможностей предприятия, на оценку текущего состояния бизнеса, выявление стратегических проблем, имеющих на конкретном предприятии.

Известно, что наличие эффективной системы управления определяет успех деятельности любой организации. При этом критерием эффективности, как уже отмечалось выше, выступает принятое управленческое решение. По скорости его принятия и

качеству содержания можно оценить мобильность и эффективность этой системы. С другой стороны, для отслеживания тенденций развития и совершенствования системы управления, регулирования и прогнозирования бизнес-процессов и других составляющих организационной структуры предприятия в современных условиях необходим надежный и методически обеспеченный инструмент. Таким инструментом, несомненно, является управленческий анализ, который необходим для того, чтобы постоянно обеспечивать информацией процесс контроля за рациональностью функционирования всей хозяйственной системы по выполнению обязательств производства и реализации продукции, выявлению и мобилизации текущих внутрипроизводственных резервов снижения затрат на производство продукции, роста его доходности, а также выявлению проблем стратегического характера. И так, необходимость проведения управленческого анализа на предприятиях диктуется следующими факторами:

- во-первых, реализация эффективного менеджмента в целом и разработка стратегии развития предприятия требуют осуществления такого важного этапа управленческого цикла, как управленческий анализ, в результате чего выявляется как оценивает предприятие себя и своих конкурентов; каким требованиям рынка оно придает большое или, наоборот, слишком малое значение;
- во-вторых, чтобы определить, перспективна ли стратегия предприятия с точки зрения главных факторов успеха и движущих сил развития отрасли; насколько эта стратегия адекватна соотношению конкурентных сил в отрасли?
- в-третьих, с помощью управленческого анализа выявляются резервы и неиспользованные возможности предприятия, определяются направления адаптации внутренних возможностей предприятия к быстро меняющимся условиям внешней среды;
- в-четвёртых, изменением парадигмы управления а именно: постепенным переходом от производственной к маркетинговой ориентации управления в сочетании с изменением логики планирования «от ресурсов – к стратегии». Именно такая логика планирования, по нашему мнению, адекватна условиям деятельности

предприятий в современных условиях ограниченности ресурсов, когда исходной точкой разработки стратегии предприятия и планирования его деятельности должен стать анализ внутренних возможностей и ресурсов;

и, наконец, в-пятых, управленческим анализом пользуются внешние инвесторы при определении позиции предприятия в различных рейтинговых оценках.

Как же обстоят дела в реальных условиях деятельности наших предприятий сегодня? Как правило, существующие системы управления как крупных, так средних и малых предприятий требуют периодического пересмотра и анализа выявленных управленческих проблем. Как свидетельствует практика, такой регулярный анализ проводится редко. Поводом для обсуждения большинства управленческих вопросов служат случайно обнаруженные острые проблемы, которые, по сути, связаны со сферой управления (чаще всего поводом являются недостатки в поведении определенных групп персонала, вопросы, связанные с конфликтами, текучесть кадров и т.д.) Наблюдения автора показывают, что на большинстве из исследуемых предприятий практически не уделяется внимание оценке и структуризации проблем управления. Если и применяются какие-либо приемы управленческого анализа, то они, как правило, охватывают краткосрочный и среднесрочный периоды планирования и, в основном, носят тактический характер. Не отслеживаются взаимосвязи между изучаемыми проблемами, менеджеры зачастую не считают нужным применять экспертные методы решения управленческих проблем. Причинами такого отношения к управленческому анализу могут быть его трудоемкость; нехватка квалифицированных специалистов, владеющих значительным количеством разных методик анализа, сочетающих специфику анализируемого предприятия с практическим их использованием. В этой связи целесообразным было бы на начальном этапе развития управленческого анализа на предприятиях разработать упрощенные и доступные методики его проведения. Представляется, что такие методики следует разрабатывать применительно к типовому предприятию с учетом сферы его бизнеса. В методиках должна

быть стандартная часть, содержащая базовое организационно-экономическое обеспечение управленческого анализа предприятия. В этой части должны быть представлены основные понятия, методы и направления управленческого анализа, отражено его функциональное строение, дана детализация его целей, подцелей, функций и задач. Уровень управления отражает внутренние проблемы предприятия: стоимость и эффективность использования материальных, финансовых и трудовых ресурсов производства, проходящих стадии снабжения и производства, измерение затрат, формирование центров производства продукции, ее цену, качество, конкурентоспособность, сферу реализации, т.е. все те моменты, от которых зависят конечные результаты деятельности - выручка от реализации продукции и прибыль. Поэтому управленческий анализ рассматривается как одна из наиболее важных составляющих анализа деятельности любого предприятия, охватывающего управленческие проблемы. И в состав базовой методики рекомендуется включить также алгоритм проведения анализа выявленной управленческой проблемы. Его целесообразно осуществлять в несколько этапов, в которых будет дана оценка текущей деятельности, мотивации персонала и состояния бизнеса, в целом, выявление проблем предприятия стратегического характера и др., также связанных с управленческим анализом.

Как уже отмечалось выше, управленческий анализ направлен на подготовку аналитической информации, необходимой и достаточной для принятия конкретного управленческого решения. Разновидности управленческих решений, учитывающие их назначение и временной аспект обуславливают содержание управленческого анализа, которое, на наш взгляд, может выражаться в следующих функциях:

• функция оценки – служит для выявления отличия достигнутого на сегодняшний момент состояния объекта анализа от желаемого путём сравнения его параметров. При этом объектом управленческого анализа могут быть: управленческая проблема и ее разновидности (организация, расширение производства, перепрофилирование и пр.); управленческое решение (при этом анализируется его эффективность, прогнозируются последствия); система управления предприятием и ее отдельные элементы.

- диагностическая функция – включает детализированное выявление признаков несоответствия объекта анализа установленным критериям и определение причин несоответствия;

- поисковая функция – необходима для выявления резервов повышения эффективности управленческой системы и производства в целом.

- целевая функция (или функция обоснования) – включает обоснование принимаемых управленческих решений по переводу объекта анализа в желаемое состояние.

Итак, управленческий анализ представляет собой не только вид экономического анализа, но и один из элементов управленческого учёта. Объектами последнего, а следовательно, и самого управленческого анализа выступают прошлые и будущие результаты функционирования сегментов бизнеса, которые как известно, являются основной информационной единицей управленческого учёта, выделяемой для получения отчётной и прогнозной информации. Поэтому от того, как будет решён вопрос о сегментации бизнеса, зависит последующее успешное функционирование всей системы управленческого учёта, в том числе и управленческого анализа.

Как следует из изложенного ранее, управленческий учет и анализ связаны с изучением первичной информации о ресурсах и результативными показателями первого порядка: продукцией и затратами. Однако, только управляя ими, можно влиять на формирование итогов второго порядка — финансовых результатов. Объекты же управленческого учета и анализа гораздо шире, чем только учет и анализ затрат. Это позволяет сформулировать задачи управленческого анализа в системе управления, основными из которых являются:

- обеспечение управленческого аппарата предприятия информацией, необходимой для управления и контроля за деятельностью организации;

- оценка места предприятия на рынке данного товара, включающая определение организационно-технических возможностей предприятия, выявление конкурентоспособности продукции и

емкости рынка;

- анализ ресурсных возможностей и внутренних резервов увеличения объема производства и продаж за счет лучшего использования всех производственных и финансовых ресурсов;

- оценка возможных результатов производства и реализации продукции и пути возможного на данный момент ускорения этих бизнес-процессов;

- принятие решения по ассортименту продукции и его обновлению, а также качеству продукции на предприятии;

- выработка стратегии управления затратами на производство по отклонениям, по центрам возникновения затрат, центрам их ответственности;

- анализ взаимосвязи объема продаж, затрат и прибыли с целью управления безубыточностью производства.

Таким образом, перед предприятиями сегодня стоят актуальные и достаточно серьезные задачи в области управления и для успешной их реализации необходимо иметь основательно организованный управленческий анализ, который необходим на всех стадиях подготовки и принятия управленческого решения, особенно на этапах формирования цели, выработки решения, отбора лучшего его варианта и при обсуждении результатов реализации решения. Наряду с вышесказанным, следует отметить, что при проведении управленческого анализа необходимо учитывать следующие обстоятельства. Дальнейшее развитие бизнеса и предпринимательства в стране, как правило, сопровождается расширением и развитием действующих производств, остановкой неперспективных и неприбыльных сегментов, появлением новых направлений и сфер деятельности. Следовательно, не исключено, что изменения, происходящие в бизнесе, могут, а в некоторых случаях, должны сопровождаться соответствующими изменениями в задачах, системе методов, применяемых для проведения управленческого анализа. Ясно, что чем в большей степени руководитель организации ориентирован на достижение результата, а в этом и есть основная цель управленческого учета и анализа, в такой же степени он нуждается в обратной связи. Отсюда, экономический анализ в

процессе управления выступает как элемент обратной связи между управляющей и управляемой системами, которая представляет собой процесс информирования заинтересованных руководителей о соответствии фактических результатов деятельности ожидаемым или желаемым. Информация обратной связи, как правило, проходит через систему внутренней управленческой отчетности, которая является неотъемлемой частью более общей системы внутреннего контроля организации, информирующей об эффективности деятельности центра ответственности. Внутренняя управленческая отчетность составляется прежде всего для управляющего, несущего ответственность за достижение целей, и уже потом — для руководителей отдельных подразделений. По нашему мнению, внутренняя управленческая отчетность является, наряду с планом счетов управленческого учета, основным элементом, тем фундаментом, на котором держится вся управленческая структура. Наряду с этим, управленческий анализ, как и управленческий учет, призван обеспечить управленческий аппарат организации, предприятия информацией, необходимой для управления и контроля за деятельностью организации и помогающей управленческому аппарату в выполнении его функций. Его объектами является прошлая и будущая деятельность сегментов бизнеса (т.е., как было показано выше, хозяйственные процессы по производству и реализации продукции; использованию всех видов ресурсов, формированию финансовых ресурсов и их расходованию под воздействием объективных и субъективных факторов с целью поиска резервов снижения затрат на производство продукции и др.). В процессе внутрихозяйственного анализа даются обоснования принятия управленческих решений, обеспечивающих на должном уровне поддержание конкурентоспособности продукции и повышение эффективности хозяйственной деятельности.

С развитием бизнес-процессов всё более востребованными становятся разнообразные интеллектуальные системы, позволяющие, в частности, анализировать результаты финансово-хозяйственной деятельности предприятия, оценивать её финансовое состояние, осуществлять экспертизу инвестиционных проектов, управлять бизнес-процессами и моделировать их. Изучение зарубежной

литературы и ознакомление с учётно-аналитической практикой стран с развитой рыночной экономикой показывает, что всё большее значение приобретают приёмы стратегического учёта и анализа: функциональный учёт затрат (ABC), система «таргет-костинг» (ТС), стратегическое управление затратами (SCM). Но исключительную важность и перспективность для развивающейся рыночной экономики приобрёл анализ, основанный на концепции стратегических бизнес-единиц. При этом деление организации (предприятия) на стратегические бизнес-единицы и определение, насколько их перспективные возможности соответствуют потребностям рынка, является важнейшим этапом этого вида стратегического анализа.

Таким образом, рассмотрение важнейших концепций управленческого анализа как функции управления позволяет изучить прошлую, текущую, а главное, будущую деятельность сегментов бизнеса, основанную на прогнозировании их доходов, расходов и финансовых результатов при выборе той или иной хозяйственной тактики и в целом выяснить, каким является наш бизнес сегодня и каким мы хотим его видеть в обозримом будущем.

Перед предприятиями сегодня стоят актуальные и достаточно серьезные задачи в области управления и для успешной их реализации необходимо иметь рационально организованные управленческий учёт и анализ, который необходим на всех стадиях подготовки и принятия управленческого решения, особенно на этапах формирования цели, выработки решения, отбора лучшего его варианта и при обсуждении результатов реализации решения. В этой связи в статье рассмотрены важнейшие концепции управленческого анализа как функции управления, факторы, обусловившие необходимость его проведения в предприятиях, сформулированы его основные задачи, функции. Это позволяет обосновать и доказать незаменимую роль управленческого анализа, основанного на прогнозировании доходов, расходов и финансовых результатов при выборе той или иной хозяйственной тактики и направленного на изучение прошлой, текущей, а главное будущей деятельности сегментов бизнеса.

**Conceptual Approaches to the Managerial Analysis,  
as a Company Management Function**

S. A. Abbasova

**Nowadays, the issues of management are quite actively discussed in business. For achieving the goals, it's very important to have well organized managerial accounting and analysis, which requires selection of the best options on each stage of discussion and decision making. The article includes critical aspects of management analysis, their practical application, the main objectives and responsibilities. All this proves the importance of managerial analysis for forecasting revenues, costs and financial results.**

კონცეპტუალური მიდგომები მმართველობითი ანალიზის, როგორც საწარმოს მართვის ფუნქციისადმი

აბასოვა ს. ა.

ამჟამად ბიზნესში საკმაოდ სერიოზულად განიხილება მენეჯმენტის საკითხები. მიზნების განხორციელებისათვის საჭიროა კარგად ორგანიზებული მენეჯერული აღრიცხვა და ანალიზი. ზემოაღნიშნული თხოულობს საუკეთესო ვარიანტების შერჩევას გადაწყვეტილებების განხილვისა და მიღების ეტაპებზე. სტატია მოიცავს მენეჯმენტის ანალიზის კრიტიკულ ასპექტებს, მის პრაქტიკულ გამოყენებას, მთავარ ამოცანებსა და ვალდებულებებს. ეს კი ადასტურებს მმართველობითი ანალიზის აუცილებელ როლს შემოსავლების, დანახარჯებისა და ფინანსური შედეგების პროგნოზირებისას.

ს ი ლ ა რ ი ბ ე ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ე შ ი

ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ ა ლ ა რ ე ა ლ ო ბ ა  
(შ ე ლ ა რ ე ბ ი თ ი ა ნ ა ლ ი ზ ი)

ირაკლი მაკალათია  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
ოსუ დოქტორანტი

დღეისათვის სიღარიბე, შემოსავლების უთანაბრობა და უმუშევრობა ქართული საზოგადოების წინაშე მდგარი უმძიმესი პრობლემებია. ღარიბ ოჯახებს სხვებზე მეტად ემუქრებათ უსახლკარობა, ნარკომანია, ოჯახის წევრებს შორის ძალადობა, ჯანმრთელობის პრობლემები, უმუშევრობა და განათლების დაბალი დონე. აქედან გამომდინარე, სიღარიბე მრავალ ეკონომიკურ თუ სოციალურ უბედურებასთანაა დაკავშირებული.

სიღარიბე არის შემოსავლების უკმარისობა იმ მატერიალური და არამატერიალური საშუალებების შესაძენად, რაც მინიმალურადაა აუცილებელი ადამიანის ფიზიკური და სულიერი არსებობა-განვითარებისათვის. ღარიბ მოსახლეობას (აბსოლუტური სიღარიბის განხილვისას) მიეკუთვნებიან ის ადამიანები, რომელთაც საარსებო მინიმუმზე დაბალი შემოსავალი აქვთ. სიღარიბის დონე კი არის ღარიბი მოსახლეობის ხვედრითი წონა მოსახლეობის მთელ რიცხოვნობაში და გამოითვლება ღარიბი მოსახლეობის რიცხოვნობის შეფარდებით მოსახლეობის მოლიან რიცხოვნობასთან.

განვიხილოთ სიღარიბის დონე საარსებო მინიმუმის მიმართ, 1997 წლიდან 2003 წლამდე<sup>1</sup>. 1997 წელს მოცემულმა მაჩვენებელმა შეადგინა 44.2%; 1998 წელს \_ 45.9%; 1999 წელს \_ 51.3%; 2000

<sup>1</sup> იხ. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული – 1999 წელი, გვ.76; 2000 წელი, გვ.81; 2002 წელი, გვ. 81, 2004 წელი, გვ.87.

წელს – 51.8%; 2001 წელს – 51.2%; 2002 წელს – 52.1%; 2003 წელს – 54.5%. მოცემულ წლებში სიღარიბის დონე ზრდის ტენდენციით ხასიათდება, ხოლო ყველაზე მაღალი დონე 2003 წელს დაფიქსირდა. მოცემულ წლებში, ოფიციალური სტატისტიკით საქართველოს მოსახლეობის ნახევარი სიღარიბეში ცხოვრობდა, რაც ნათელ სურათს გვიქმნის იმ პერიოდის საქართველოს ცხოვრების დონეზე.

2005 წლის სტატისტიკური წელიწადულის მიხედვით, 2004 წელს სიღარიბის დონე შემცირდა 2.5%-ით და შეადგინა 52.0%. 2006 წელს გამოცემულ სტატისტიკურ წელიწადულში კი სიღარიბის დონის შესახებ გაჩნდა ახალი ციფრები, რომლის მიხედვითაც 2004 წლის პირველივე კვარტალში ამ მაჩვენებელმა შეადგინა 32.8%, ხოლო საშუალოდ 2004 წლისათვის სიღარიბის დონე შეადგენდა 35.7%-ს, რაც 1.5-ჯერ ნაკლებია, ვიდრე ეს ნაჩვენებია იყო 2005 წლის სტატისტიკურ წელიწადულში.

შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი  
2005-2006 წლებში (ლარი)<sup>2</sup>

წლები	2002	2003	2004	2005
საარსებო მინიმუმი (2005 წლის სტატისტიკური წელიწადის მონაცემებით)	125.4	130.7	137.1	-
საარსებო მინიმუმი (2006 წლის სტატისტიკური წელიწადის მონაცემებით)	-	-	34.3	92.6

შეგადართო 2005 წლისა და 2006 წლის სტატისტიკურ წელიწადულებში გაანგარიშებული საარსებო მინიმუმის აბსოლუტური


<sup>1</sup>საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს სტატისტიკური წელიწადული – 2005 წელი, გვ.88; 2006 წელი, გვ.69.

მნიშვნელობები. 2004 წელს სიღარიბის აბსოლუტური ზღვარი (საარსებო მინიმუმი) ერთ შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცზე გაანგარიშებით 137.1 ლარიდან 84.3 ლარამდე შემცირდა, ხოლო 52 ლარით შემცირებულ საარსებო მინიმუმთან მოსახლეობის ფაქტობრივი შემოსავლების შედარებამ კი გამოიწვია საქართველოში სიღარიბის დონის თითქმის ორჯერ შემცირება (ცხრილი 1).

2004 წლიდან სიღარიბის მაჩვენებლები გამოითვლება მხოლოდ მედიანური მოხმარების 60%-ისა და მედიანური მოხმარების 40%-ის მიმართ და არც ერთი მაჩვენებელი არ გაიანგარიშება საარსებო მინიმუმის მიმართ, რაც, თავის მხრივ, ართულებს სიღარიბის დონის, ანუ ღარიბი მოსახლეობის ხვედრითი წონის გამოთვლას მთლიან მოსახლეობაში.

სიღარიბის დონე მედიანური მოხმარების 60%-ის მიმართ  
(% ჯამთან)

დიაგრამა 1



2004-2009 წლებში სიღარიბის დონე მედიანური მოხმარების 60%-ის მიმართ მცირდება (დიაგრამა 1), რაც, ერთი შეხედვით,

დადებითი ტენდენციის მანიშნებელია, მაგრამ თუ მოცემული მაჩვენებლების განვითარების დინამიკას თვალს 2003 წლიდან მივადევნებთ, დავინახავთ, რომ 2009 წელს სიღარიბის დონე, 2003 წელთან შედარებით, მხოლოდ 1%-ით არის შემცირებული და ოპტიმიზმის მიზეზსაც ნაკლებად გვაძლევს.

შეგადართო საშუალო მომხარებლის საარსებო მინიმუმი შინამეურნეობათა შემოსავლებს მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით (ცხრილი2). შინამეურნეობების შემოსავლები (ფულადი და არაფულადი) ერთ სულზე გაანგარიშებით აჭარბებს საარსებო მინიმუმს, მაგრამ ვნახოთ რას წარმოდაგენს ეს თანხები 2000 წლის უცვლელი ფასებით, დეფლატორის გამოყენებით, რაც უდრის 1,8-ს.<sup>1</sup> 2009 წელს შინამეურნეობათა საშუალო შემოსავლები მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით შეადგენს 153,9:1,8=85,5 ლარს, ხოლო საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი 114:1,8=63,3 ლარს. თუ გავითვალისწინებთ 2009 წლის ლარის დოლარზე გაცვლის საშუალო კურსს<sup>1</sup>, მაშინ საქართველოში შინამეურნეო-

**შინამეურნეობათა შემოსავლები მოსახლეობის ერთ სულზე და საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი (ლარი)**

ცხრილი 2

წლები	შეშვარდობათა შემოსავლები მოსახლეობის ერთ სულზე	საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი
	2004	247
2005	229	219
2006	227	214
2007	152	156
2008	164	133
2009	159	114

<sup>1</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სტატისტიკური წელიწადი – 2010 წელი, გვ. 225.

ბათა საშუალო სულადობრივი შემოსავალი შეადგენს 85,5:1,67=51,2 დოლარს, ხოლო საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი – 63,3:1,67=37,9 დოლარს. თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიო ბანკის დებულებით ღარიბად ითვლება პიროვნება, რომელსაც დღეში შემოსავალი 2 დოლარზე, ხოლო დატაკად – თუ ერთ დოლარზე ნაკლები აქვს, მაშინ საქართველოში ყველა შინამეურნეობა საშუალო შემოსავლების მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით სიღარიბეშია, ხოლო საარსებო მინიმუმით სიღატაკის ზღვარზე.


განვიხილოთ საარსებო მინიმუმის ცვლილებები წლების მანძილზე (დიაგრამა 2). 1997 წლიდან 2003 წლამდე საარსებო მინიმუმი იზრდება და მაქსიმალურ მნიშვნელობას 2003 წელს აღწევს – 130,7 ლარი. მომდევნო წლიდან კი 1,6-ჯერ შემცირებული საარსებო მინიმუმი კვლავ განაგრძობს მატებას და 2010 წლისათვის უთანაბრდება 7 წლის წინანდელ მაჩვენებელს. 2009 წელს საარსებო მინიმუმმა შეადგინა 128,8 ლარი, რაც დაახლოებით 2003 წლის ნომინალური მაჩვენებლის ტოლია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ მოსახლეობის მყიდველობითუნარიანობა 2009 წელს 2000 წელთან შედარებით შემცირდა 43%-ით (1/1.768), ხოლო 2003 წელს 2000 წელთან შედარებით მყიდველობითუნარიანობა შემცირებული იყო მხოლოდ 14%-ით (1/1.158)<sup>2</sup>, ადვილი მისახვედრია, რომ 2003 წლის საარსებო მინიმუმის რეალური დირებულება მეტია 2009 წლის ანალოგიური მაჩვენებელზე. აქედან გამომდინარე, ძნელია ამტკიცო, რომ საარსებო მინიმუმის ზრდა (ხელოვნურად) დადებითი მოვლენაა და ის რეალურად ასახავს სიღარიბის ზღვარს.

<sup>1</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სტატისტიკური წელიწადი, 2010 წელი, გვ. 230.

<sup>2</sup> საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს სტატისტიკური წელიწადი – 1999 წელი, გვ.73; 2000 წელი, გვ.80; 2002 წელი, გვ. 80; 2004 წელი, გვ.85; 2007 წელი, გვ.69; 2010 წელი, გვ.51.

**შრომისუნარიანი ასაკის (15-დან 65 წლამდე) მამაკაცის საარსებო მინიმუმი (ლარი)<sup>1</sup>**

დიაგრამა 2



განვიხილოთ სიღარიბის დონის ცვლილებები ქალაქ-სოფლის ტერიტორიაში (დიაგრამა 3). 2004-2009 წლებში სიღარიბის დონე მედიანური მოხმარების 60%-ის მიმართ მცირდება როგორც სოფელში, ასევე ქალაქში, ამასთან მოცემული მაჩვენებელი სოფელში უფრო მაღალია, ვიდრე ქალაქში და ეს ტენდენცია ყოველ წელს გრძელდება.


2009 წელს სიღარიბის დონე სოფელში (24.3%) უფრო მაღალი იყო, ვიდრე ქალაქში (17.6%), სანაცვლოდ უმუშევრობის დონემ სოფელში შეადგინა 7.8%, ხოლო ქალაქში – 28.8%.<sup>1</sup> ცხადია, ეს ორი ფაქტი შეუსაბამობას ქმნის, ვინაიდან იმ რეგიონში, სადაც მაღალია უმუშევრობის დონე, ასევე მაღალი უნდა იყოს სიღარიბის მაჩვენებელი. ჩვენს შემთხვევაში კი მონაცემები საპირისპიროს ამტკიცებს. სოფელში, დასაქმების მაღალი დონე, მიღწეულია დასაქმებულთა რიცხოვნობის ხელოვნური გაზრდით,

<sup>1</sup> [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=145&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo)

რაც მიღებულია დასაქმებულთა შორის თვითდასაქმებულთა მაღალი ხვედრითი წონის არსებობით, რომელთა უმეტესობაც რეალურად არც არის დასაქმებული. სოფელში დასაქმებულ ადამიანებში თვითდასაქმებულების წილი შეადგენს 82.5%-ს, ანუ 863 300 დასაქმებულში უმეტესობა ოჯახში უსასყიდლოდ მომუშავე წევრები არიან.

**სიღარიბის დონე ქალაქისა და სოფლის ტერიტორიაში<sup>1</sup> (მედიანური მოხმარების 60%-ის მიმართ)**

დიაგრამა 3



ქვეყანაში სიღარიბის დასაძლევად, მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა უნდა წარიმართოს როგორც სოციალური, ასევე ეკონომიკური სიღარიბის დონის შემცირებით.

სოციალური სიღარიბე მოიცავს მოსახლეობის იმ კატეგორიას, რომელთა ოჯახებში კმაყოფილება მყოფთა დიდი რიცხვია, აქვთ, არადამაკმაყოფილებელი ჯანმრთელობა, მარტოხელებია, ხანდაზმულებია და როგორც წესი ნაკლებად არიან დასაქმებულები. სოციალური სიღარიბის დასაძლევად სახელმწიფომ უნდა გაატაროს მოქნილი საპენსიო სისტემა.

ეკონომიკურ სიღარიბეში ძირითადად ერთიანდებიან უმუ-

<sup>1</sup> [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=187&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=187&lang=geo)

შევრები. ამ კატეგორიის სიღარიბის დასაძლევად კი უნდა შეიქმნას სამუშაო ადგილები. ცხადია, სახელმწიფო თავად ვერ შექმნის სამუშაო ადგილებს, მაგრამ შეუძლია სამეწარმეო აქტივობა გაზარდოს სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებით.

სახელმწიფომ, რომლის ეკონომიკურ გეგმებში შედის უმუშევრობასთან ბრძოლა, დახმარების ხელი უნდა გაუწოდოს დამკვირვებლებს, რომლებსაც საკუთარი წარმოებისა თუ ბიზნესის გაფართოების შემდეგ, საშუალება ექნებათ უფრო მეტი ადამიანი დაასაქმონ, ვიდრე ამას დღეს ახერხებენ.

**Poverty in Georgia: Statistics and Reality  
(comparative analysis)**

**Irakli Makalatia**

The article "Poverty in Georgia: Statistics and Reality (comparative analysis)" considers the dynamics of statistical indicators showing the level of poverty.

The article presents the changes of living wage according to different years and explains the reason for poverty reduction. Living wage of an average consumer is compared with the household income per capita and appropriate conclusions are made. Read phonetically Dictionary

Development of poverty level in urban and rural areas is also discussed in the article. While reviewing the rate of unemployment the error of this indicator revealed.

As a result of the research, conducted in the article, modern picture of poverty has revealed and main ways for reducing poverty have been suggested.



**საბანკო რისკების მართვის თავისებურ  
რეზიუმე პოსტკრიზისულ პერიოდში**

დავით ნარმანია,  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ  
ასოცირებული პროფესორი,  
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,

მსოფლიო ფინანსური კრიზისი, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, საქართველოშიც ყველაზე მეტად საბანკო სექტორს შეეხო. ამაზე 2008-2009 წლების მრავალი ნეგატიური ფაქტორი მეტყველებს, რომელთა შორისაა: კომერციული ბანკების საკრედიტო პოტენციალის შემცირება, ვადაგადაცილებული კრედიტების ზრდა, საპროცენტო განაკვეთის მომატება, კომერციული ბანკების მიერ ეროვნული ეკონომიკის დაკრედიტების შემცირება, ანგარიშგებითი პერიოდის ხარაღით დასრულება და ა.შ.<sup>1</sup>

გამომდინარე აღნიშნულიდან, პოსტკრიზისულ პერიოდში საბანკო რისკების მართვა მრავალი საბანკო დაწესებულების უმნიშვნელოვანეს ამოცანად იქცა. კრიზისის პერიოდში, ეფექტიანი საბანკო ზედამხედველობის განხორციელება და რეგულირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია<sup>2</sup>. მართალია, საბანკო რისკები თან ახლავს ყველა საბანკო ოპერაციას, ტრანზაქციას, ახალი საბანკო პროდუქტის განვითარებას და ა.შ., მაგრამ რისკები განსაკუთრებით მაღალია ფინანსური კრიზისის პერიოდებში. ეს გვიჩვენა არა მხოლოდ 2008 წელს დაწვეულმა მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა (ე.წ. 2008-2010 წლების კრიზისი), არამედ წინარე მსოფლიო კრიზისებმაც. XIX-XX საუკუნეებში აღმოცენებული ფინანსური კრიზისები ასოცირდება

<sup>1</sup> ნარმანია დ. გეთია შ. საქართველოს საბანკო სისტემის მდგომარეობა და ტენდენციები ფინანსური კრიზისის განვითარებიდან ერთი წლის შემდეგ, კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი, თბ., 2009 წ., გვ. 1-2.

<sup>2</sup> Kovzanadze I. Economic and Banking System Development Trends and Prospects for Countries in Transition, iUniverse, Inc., New York, 2008., p. 32.

საბანკო პანიკასა და სწორედ აქედან წარმოშობილ რეცესიებთან. სხვა სიტუაციებში წარმოშობილი კრიზისები უკავშირდება საფონდო ბირჟების ვარდნას, ე.წ. ფინანსურ ბუშტებს, სავალუტო კრიზისს და სუვერენული ვალდებულებების შეუსრულებლობას<sup>1</sup>. ასეთი იყო 2000-იანი წლების დასასრულის ფინანსური კრიზისი (The late-2000s financial crisis), რომელსაც credit crunch, ანუ საკრედიტო გადარიბება ეწოდა; 1997 წელს აღმოცენებული აზიური ფინანსური კრიზისი, რომელსაც ეწოდა devaluations and banking crises across Asia, ანუ დევალვაცია და საბანკო კრიზისი აზიის გარშემო; 1987 წლის Black Wednesday, ანუ „შავი ოთხშაბათი“ - სპეკულაციური თავდასხმები ვერაპის გაცვლითი კურსის მექანიზმის ვალუტებზე და ა.შ.

საბანკო რისკი არის საბანკო საქმიანობის სიტუაციური მახასიათებელი, რომელიც გვიჩვენებს შედეგის განუსაზღვრელობას და ახასიათებს მოსალოდნელიდან რეალური შედეგის უარყოფითი გადახრის ალბათობას<sup>2</sup>. ამ განმარტებაში ძირითადად იგულისხმება მომავალში მოსალოდნელი შედეგის მკაფიოდ დადგენის შეუძლებლობა, რის შედეგადაც შესაძლოა საბანკო დაწესებულებამ იმაზე უარყოფითი შედეგი მიიღოს, ვიდრე ეს მას აქვს განსაზღვრული. აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ საბანკო დაწესებულებებს წინასწარ აქვთ შემუშავებული საქმიანობის შედეგები (სცენარი), რომლის მიუღწევლობაც ფინანსური რისკია. შესაბამისად, საბანკო დაწესებულებები ცდილობენ განსაზღვრონ და მართონ საბანკო რისკები ისეთნაირად, რომ უარყოფითი გადახრის შემთხვევაში, შეძლონ რისკების მინიმიზება. საქართველოს ეროვნული ბანკის მიდგომით, რისკზე წასვლა თავისთავად ნეგატიური ნაბიჯი არ არის და იგი შეიძლება დაკავშირებული იყოს დამატებითი მოგების მიღებასთან<sup>3</sup>. ვინაიდან რისკების იგნორირება შეუძლებელია, კომერციული ბანკების აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს რისკების შემცირება. მასში იგულისხმება ოპტიმალური თანაფარდობის დაცვა, ერთი მხრივ, კრედიტებს, დეპოზიტებს, სხვა ვალდებულებებსა და, მეორე მხრივ, საკუთარ კაპიტალს შორის<sup>4</sup>.

<sup>1</sup> Charles P. Kindleberger and Robert Aliber. Manias, Panics, and Crashes: A History of Financial Crises, 5th ed. Wiley, 2005., p. 24-30.

<sup>2</sup> Воронин Ю.М. Управление банковскими рисками. М., 2007, გვ. 27.

<sup>3</sup> დებულება „კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე“, საქართველოს ეროვნული ბანკი, ბრძანება №71, 2008 წ. 17 მარტი, მუხლი 1.1, [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge)

<sup>4</sup> ბერიძე რ. საბანკო მენეჯმენტი, თბ., 2009., გვ. 287-288.

ყველაზე გავრცელებული მიდგომებით, საბანკო რისკები სამ ძირითად (გამსხვილებულ) კატეგორიად ერთიანდება: საკრედიტო რისკები, საბაზრო რისკები და ოპერაციული რისკები. **საკრედიტო რისკს** განეკუთვნება ბანკის კლიენტებისა და კონტრაგენტების მიერ ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული დანაკარგები; **საბაზრო რისკი** საბაზრო პროდუქტების ფასის ცვლილებით, მერყეობით და საბაზრო კონიუნქტურის ნებისმიერი სხვა ცვლილებით გამოწვეული რისკია; **საოპერაციო რისკი** კი დანაკარგის ან სანქციის რისკია, რაც გამოწვეულია პროცედურებისა და შიგა სისტემის შეუსაბამობით ან გაუმართაობით, აგრეთვე, ადამიანის მიერ დაშვებული შეცდომებით ან სხვა გარემოებებით<sup>1</sup>.

**საბანკო რისკების** რეგულირება რისკისგან ბანკის დაცვაზე მიმართული მეთოდების ერთობლიობაა. ფინანსური გლობალიზაციის პირობებში იზრდება რისკის საერთაშორისო რეგულირების მნიშვნელობა, რომლის მთავარ ამოცანას წარმოადგენს მსოფლიო საფინანსო სისტემის მყარი განვითარების ხელშეწყობა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში იცვლება საბანკო რეგულირებისა და ზედამხედველობისადმი ტრადიციული მიდგომა. საბანკო ზედამხედველობის ორგანოები სულ უფრო ნაკლებ ყურადღებას უთმობს საბანკო კანონმდებლობის შესრულების მონიტორინგს და გადადის რისკების მართვის პროცესის თვითმონიტორინგზე. მეორე მნიშვნელოვანი სიახლე თვით ინფორმაციის საჯაროობისადმი მოთხოვნების გამკაცრებაა, რაც მიმართულია აღნიშნული მონიტორინგის ფუნქციების საზოგადოებაზე გადატანისკენ<sup>2</sup>.

საბანკო სისტემის რისკების რეგულირების მექანიზმი მრავალფეროვანია და, როგორც წესი, კომპლექსურად მოქმედებს, ანუ ავსებს ერთმანეთს. საბანკო სისტემის დონეზე ძირითად მარეგულირებლებს სახელმწიფო ორგანოები (ჩვეულებრივ ცენტრალური ბანკი) და თვითრეგულირებადი ორგანოები (კომერციული ბანკების რისკების მართვის სამსახურები) წარმოადგენს. თუმცა, ბოლო პერიოდში, ბევრი ქვეყნის საბანკო სექტორმა ყურადღება გაამახვილა საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის (The Basel Committee on Banking Supervision) მიერ შემოთავაზებულ რეგულირების მექანიზმებზე,

<sup>1</sup> Raghavan R.S. Risk Management in Banks, University of Madras, India, 2003. გვ. 1-9.

<sup>2</sup> ბორჩაშვილი ბ. საბანკო რისკების მართვის თავისებურებები საქართველოში. თსუ, 2011, გვ. 27-32.

რომლის იმპლემენტაციას ქვეყნის ცენტრალური ბანკი იწყებს, ხოლო შემდეგ, მის შესრულებაზე პასუხისმგებლობა კომერციულ ბანკებს ეკისრება.

საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი, რომლის წევრია მსოფლიოს 27 ქვეყანა, საბანკო ზედამხედველობის საკითხებში რეგულარული თანამშრომლობის ფორუმაა. კომიტეტის ამოცანაა ინფორმაციის გაცემის ეროვნული საზედამხედველო საკითხების, მიდგომების და ტექნიკის შემუშავება, რათა ხელი შეუწყოს პრობლემათა საერთო გაგებას. კომიტეტი საყოველთაო გამოყენებისათვის ამუშავებს გაიდლაინებსა და საზედამხედველო სტანდარტებს. კომიტეტი ყველაზე ცნობილია კაპიტალის ადეკვატურობის საერთაშორისო სტანდარტებით, ეფექტიანი საბანკო ზედამხედველობის ფუნდამენტური პრინციპებით და ტრანსსასაზღვრო საბანკო ზედამხედველობის საერთაშორისო შეთანხმებით<sup>1</sup>. კონტაქტების კიდევ უფრო განმტკიცებისათვის, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იმართება საბანკო ხელმძღვანელების საერთაშორისო კონფერენცია (ICBS). კომიტეტის სამდივნო განთავსებულია საერთაშორისო თანამშრომლობის ბანკში ბაზელში. კომიტეტში მსამუშაოე ექსპერტები, საჭიროებისამებრ, აძლევენ რჩევებს ნებისმიერი ქვეყნის ცენტრალურ ბანკებს საზედამხედველო საკითხებში.

“ბაზელი II“, რომელიც საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის რეკომენდაციებია, 2004 წლის ივნისში გამოქვეყნდა და მას შემდეგ ბევრმა ქვეყანამ დაიწყო საკუთარი საბანკო ზედამხედველობის რეგულირების ამ ახალ პრინციპებზე გადასვლა. ფინანსური სტაბილურობის ინსტიტუტის მონაცემებით, 2015 წლამდე, დაახლოებით 95 ქვეყნის რეგულატორი ამა თუ იმ ფორმით განახორციელებს “ბაზელი II“-ს რეკომენდაციებს. საქართველოში მისი დანერგვა 2011 წლისთვისაა დაგეგმილი<sup>2</sup>.

„ბაზელი II“-საგან განსხვავებით (სადაც ყურადღება ძირითადად საკრედიტო რისკებზეა გამახვილებული), „ბაზელი II“-ის საბანკო ზედამხედველობის რეკომენდაციები ითვალისწინებს სტანდარტებისა და რეგულაციების შექმნას იმის თაობაზე, თუ რა მოცულობის კაპიტალი უნდა დაარეზერვოს საფინანსო ინსტიტუტმა რისკების

<sup>1</sup> Bank of International Settlements, Basel, Switzerland, [www.bis.org](http://www.bis.org)  
<sup>2</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი, <http://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=752>

შესამცირებლად. „ბაზელი II“ შედგება სამი ძირითადი კომპონენტისაგან:

**1. მინიმალური კაპიტალის მოთხოვნების (Minimum Capital Requirements)** ანგარიშია კრედიტორული, საბაზრო და ოპერაციული რისკების მიხედვით. აქტივებთან კაპიტალის დამოკიდებულება გაიანგარიშება რეგულირებას დაქვემდებარებული კაპიტალის და რისკით შეწონილი აქტივების გამოყენებით. მთელი კაპიტალისა და აქტივების შეფარდება (დამოკიდებულება) არ უნდა იყოს 8%ზე ნაკლები<sup>1</sup>:

<b>კაპიტალი</b>	<b>≥ 8%</b>
<b>საკრედიტო რისკი + საბაზრო რისკი + საოპერაციო რისკი</b>	

**2. ზედამხედველობის პროცესად (Supervisory Review Process)** მასში განიხილება საბანკო ზედამხედველობის ძირითადი პრინციპები, ასევე რისკების მართვის და ანგარიშების გამჭვირვალობა საბანკო ზედამხედველობის ორგანოების წინაშე. მოიცავს საკრედიტო რისკთან დაკავშირებულ საკითხებს (სტრუქტურული რისკები, დეფოლტის განსაზღვრა, საოპერაციო და კრედიტების კონცენტრაციის რისკი), ტრანსსასაზღვრო კავშირების ზრდას და ურთიერთქმედებას, ასევე დაცვის გარანტიებს<sup>2</sup>.

**3. საბაზრო დისციპლინა (Market Discipline)**, რაც ავსებს კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნებს (I კომპონენტი) და ზედამხედველობის პროცესს (II კომპონენტი). კომიტეტი მიისწრაფის საბაზრო დისციპლინის სტიმულირებისაკენ, ინფორმაციის გახსნილობის შესახებ მოთხოვნების კომპლექსის შემუშავებით, რაც საშუალებას მისცემს ბაზრის მონაწილეებს შეაფასონ ძირითადი მონაცემები კაპიტალზე, რისკიანობაზე, რისკის პროცესების შეფასებაზე და შესაბამისად, დაწესებულების კაპიტალის საკმარისობაზე. კომიტეტის აზრით, ინფორმაციის ასეთი გახსნილობა განსაკუთრებულად აქტუალურია<sup>3</sup>.

<sup>1</sup> Strengthening the resilience of the banking sector, Basel Committee on Banking Supervision, Bank of International Settlements, 2009, Part 2: The First Pillar % Minimum Capital Requirements, გვ. 12-157, [www.bis.org](http://www.bis.org)  
<sup>2</sup> Strengthening the resilience of the banking sector, Basel Committee on Banking Supervision, Bank of International Settlements, 2009, Part 3: The Second Pillar – Supervisory Review Process, გვ. 158-174, [www.bis.org](http://www.bis.org)  
<sup>3</sup> Strengthening the resilience of the banking sector, Basel Committee on Banking Supervision, Bank of International Settlements, 2009, Part 4: The Third Pillar – Market Discipline, გვ. 175-178, [www.bis.org](http://www.bis.org)

ბაზელის კომიტეტის რეკომენდაციების და მსოფლიოში გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით, **საბანკო სისტემის დონეზე საბანკო რისკების რეგულირების ძირითად მექანიზმებია:**

1. ახლად შექმნილი ბანკებისთვის კაპიტალის სავალდებულო მინიმალური დონის დაწესება;
2. მოთხოვნები კაპიტალის სტრუქტურისა და საკმარისობისადმი;
3. შიგა კონტროლისა და რისკების მართვის სამსახურების ორგანიზაციისა და საქმიანობისადმი მოთხოვნები;
4. ბანკის საერთო რისკებისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის საჯაროობის მოთხოვნა;
5. რისკების რაოდენობრივი შეფასების მეთოდებისადმი ნორმატიული მოთხოვნა და სხვა.

კომერციული ბანკების დონეზე, რისკების მართვის გარე მექანიზმების გარდა, გამოიყენება შიგა მექანიზმებიც, რასაც მიეკუთვნება რისკების შეფასების და მართვის შიგა მეთოდები და მეთოდები: ლიმიტირება, ჰეჯირება, შიგა კონტროლი და სხვა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების მიხედვით<sup>1</sup>, საბანკო სფეროს რეგულირებისათვის დადგენილია შემდეგი რისკები: საკრედიტო (თავი III), საბაზრო და საპროცენტო (თავი IV), ლიკვიდობის (თავი V), საოპერაციო (თავი VI), სამართლებრივი (თავი VII), რეპუტაციის (თავი VIII), სტრატეგიული (თავი IX) და შესაბამისობის რისკი (თავი X). წესებში საკმაოდ დეტალურად არის მოცემული თითოეული რისკის არსი და მართვის ინსტრუმენტები. აღნიშნული წესების შემუშავებას საფუძლად უდევს ბაზელის ფორმატით საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის (BIS – Bank for International Settlements) ყოველწლიური შეხვედრები, საერთაშორისო პრაქტიკა და კომერციულ ბანკებში რისკების მართვის აუცილებლობა. წესები კომერციული ბანკების მიერ რისკების ეფექტიანად მართვისა და გაკონტროლების მიზნით შეიქმნა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ბანკის მენეჯმენტს დროულად აღმოაჩინოს შესაძლო დანაკარგები და მისი უარყოფითი გავლენა ბანკის კაპიტალზე. გამომდინარე მის მიერ დადგენილი წესებიდან, 2008-2009 წლების ეროვნული ბანკის ანტიკრიზისულ პოლიტიკას ორი ძირითადი მიმართულება ქონდა:

<sup>1</sup> დებულება „კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე“, საქართველოს ეროვნული ბანკი, ბრძანება №71, 2008 წ. 17 მარტი, [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge)

- საბანკო სექტორისათვის მოკლე და საშუალოვადიანი ლიკვიდური სახსრების მიწოდება;

- გაცვლითი კურსის კონტროლი ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად<sup>1</sup>.

რისკების ზუსტად განსაზღვრის შემდეგ, კომერციულმა ბანკმა თანამიმდევრობით უნდა განახორციელოს მისი შეფასება, მონიტორინგი და კონტროლი. რისკების შეფასების მიზანია ბანკმა შეძლოს ბიზნესსაქმიანობისათვის დამახასიათებელი რისკების გაანგარიშება, რათა განისაზღვროს რისკების გავლენა ბანკის კაპიტალზე, რომელიც ამ ბიზნესსაქმიანობის ხელშესაწყობად უნდა იქნეს შენარჩუნებული. ამის პარალელურად, ბანკის მიერ რისკების მონიტორინგის ნაწილია ბანკის მიერ რისკების შეფასება, განსაკუთრებით ნებისმიერი ისეთი რისკის, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ბანკის კაპიტალზე<sup>2</sup>.

საბანკო რისკების მართვის პრობლემა ფართოდაა ასახული თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში. „რისკის“ არსი ორი კატეგორიის მეშვეობით აიხსნება: „აღბათობა“ და „განუსაზღვრელობა“ და განპირობებულია კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების ალტერნატიულობით და აუცილებლობით<sup>3</sup>.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების მიხედვით, კომერციული ბანკების რისკების მართვა უნდა განხორციელდეს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული განრიგის შესაბამისად. ამასთან დაკავშირებით, ბანკმა უნდა გაატაროს დაუყოვნებელი ღონისძიებები რისკების მართვის მომზადებასთან დაკავშირებით, მათ შორის, დაადგინოს ბანკის შიგა მდგომარეობა, რომლის შედეგები გამოყენებულ უნდა იქნეს რისკების მართვის სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად. ბანკმა რისკების მართვა უნდა განახორციელოს ეტაპობრივად ან მის გარეშე<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ფინანსური სტაბილურობის ანგარიში. 2009, საქართველოს ეროვნული ბანკი, გვ. 61, [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge)

<sup>2</sup> დებულება „კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე“. საქართველოს ეროვნული ბანკი, ბრძანება №71, 2008 წ. 17 მარტი, მუხლი 1.7, [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge)

<sup>3</sup> **ბორჩაშვილი ბ.** საბანკო რისკების მართვის თავისებურებები საქართველოში, თსუ, 2011. გვ. 16.

<sup>4</sup> დებულება „კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე“, საქართველოს ეროვნული ბანკი, ბრძანება №71, 2008 წ. 17 მარტი, მუხლი 45, [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge)

„კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე“ დებულების შესაბამისად, საქართველოს საბანკო სექტორში რისკების მართვის პროცესი მოიცავს:

**1.რისკების დადგენას,** რომლის მიზანია ბანკის მიერ საბანკო ოპერაციებისათვის დამახასიათებელი ყველა სახეობის რისკის იდენტიფიცირება, რამაც შეიძლება ბანკს ზარალი მოუტანოს;

**2.რისკების შეფასებას,** რაც გამოიყენება ბანკის რისკის პროფილის შესაფასებლად, რათა მიღებულ იქნეს რისკების მართვის გამოყენების ეფექტიანობის შესახებ სრული სურათი;

**3.მონიტორინგსა და ლიმიტებს.** რისკების ლიმიტები, როგორც რისკების მონიტორინგის ნაწილი, მინიმუმ შემდეგნაირად უნდა დადგინდეს:

- გათვალისწინებულ უნდა იქნეს ბანკის რისკების მასშტაბები ან მისგან გამოწვეული ზარალისა და რისკების მიმართ ბანკის კაპიტალის ამტანობის საზღვრები;

- გათვალისწინებულ უნდა იქნეს წარსულის გამოცდილება ზარალთან მიმართებით და ადამიანური რესურსების უნარი;

- ნებისმიერი პოზიციის დაწესებულ ლიმიტზე გადამეტების შემთხვევაში, ინფორმაცია უნდა წარედგინოს რისკების მართვის სტრუქტურულ ერთეულს, რისკების მართვის კომიტეტს და საჭიროებისას ღირექტორატს;

**4.რისკების მართვის საინფორმაციო სისტემები,** რაც მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემის ნაწილია და რისკების მართვის ეფექტიანად გამოყენების მიზნით, ბანკის მოთხოვნების შესაბამისად აუცილებლად უნდა შემუშავდეს;

**5.რისკების კონტროლი,** რაც ბანკმა უნდა დააწესოს, რათა მართოს ნებისმიერი რისკი, რომელმაც შეიძლება საფრთხის წინაშე დააყენოს ბანკის არსებობა;

**6.აქტივებისა და ვალდებულებების მართვა,** რაც ბანკმა უნდა განახორციელოს საპროცენტო, სავალუტო და ლიკვიდობის რისკების კონტროლისათვის;

**7.სტრეს-ტესტების გამოყენება,** რაც რისკების შეფასების მოდელდება<sup>1</sup>.

თუ ინსპექტირების შედეგად დადგინდება, რომ ბანკის მიერ

<sup>1</sup> დებულება „კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე“, საქართველოს ეროვნული ბანკი, ბრძანება №71, 2008 წ. 17 მარტი, [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge)

რისკების მართვა არ არის ადეკვატური ან ეფექტიანი ბანკის განსაკუთრებული რისკის პროფილისათვის, კომერციულ ბანკს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა გაუწიოს ინტენსიური ან სპეციალური ზედამხედველობა<sup>1</sup>.

საინტერესოა, რომ საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების უმეტესობა რისკების მართვის მეთოდოლოგიას საიდუმლოდ ტოვებს. ზოგიერთ მათგანს მხოლოდ რამდენიმე ზოგადი მეთოდი აქვს გამოქვეყნებული დეკლარირების დონეზე. ამ მხრივ ყველაზე ინფორმაციული, ბანკი „რესპუბლიკას“ რისკების მართვის მექანიზმებია. რისკების ეფექტიანი და საიმედო მართვისათვის ბანკი „რესპუბლიკა“ შემდეგი სახეობის რისკების მართვას აწარმოებს<sup>2</sup>:

- **საკრედიტო რისკი** ბანკის კლიენტებისა და კონტრაგენტების მიერ ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად გამოწვეული დანაკარგის რისკია. საკრედიტო რისკი შესაძლოა გაიზარდოს კონკრეტული კონტრაგენტის მასშტაბური დაკრედიტების გამო, რაც მაღალი კონცენტრაციის რისკს წარმოადგენს;

- **საბაზრო რისკი** საბაზრო პროდუქტების ფასის ცვლილებით, მერყეობითა და კორელაციით გამოწვეული რისკია;

- **საოპერაციო რისკი** (სამართლებრივი, საბუღალტრო, ეკოლოგიური, შესაბამისობისა და რეპუტაციის რისკი) დანაკარგის ან სანქციის რისკია, რაც გამოწვეულია პროცედურებისა და შიგა სისტემის შეუსაბამობით ან გაუმართაობით, აგრეთვე, ადამიანის მიერ დაშვებული შეცდომებით ან სხვა გარემოებებით;

- **საინვესტიციო პორტფელის რისკი** - ბანკის საინვესტიციო პორტფელში კაპიტალის ღირებულების მერყეობით გამოწვეული რისკია;

- **სტრუქტურული პროცენტისა და კონვერტაციის კურსის განაკვეთის რისკი** – ესაა ბანკის აქტივთა გაუფასურების ან დანაკარგის რისკია, რაც გამოწვეულია პროცენტების ან კონვერტაციის კურსის განაკვეთის ცვლილებით;

- **ლიკვიდობის რისკი** დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკია;

<sup>1</sup> დებულება „კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე“, საქართველოს ეროვნული ბანკი, ბრძანება №71, 2008 წ. 17 მარტი, მუხლი 48, [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge)

<sup>2</sup> [www.republic.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=231](http://www.republic.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=231)

• **სტრატეგიული რისკი** - სტრატეგიასთან დაკავშირებული ან შერჩეული სტრატეგიის შეუსრულებლობის რისკია;

• **ბიზნესის რისკი** - ხარჯების შემოსავალზე მეტობით გამოწვეული ზარალის რისკია.

გამომდინარე იქიდან, რომ ფინანსურ სექტორში მსოფლიო კრიზისები პერმანენტულ ხასიათს ატარებს, აუცილებელია ანტი-კრიზისული მექანიზმების მუდმივი განახლება და სრულყოფა. სა-ფინანსო სექტორში კრიზისებისადმი ყველაზე მგრძობიარე სწორედ საბანკო სექტორია. ვინაიდან კრიზისის გარეშეც ცალკეული საბანკო ოპერაცია ამა თუ იმ დოზით რისკის მომცველია, რისკების მართვა თანამედროვე საბანკო სექტორში მუდმივი პროცესი უნდა იყოს. კრიზისულ პერიოდში რისკების შემცირება და პოსტკრიზისულ პერიოდში მინიმუმ კრიზისამდელ მაჩვენებლებზე დაბრუნება, საბანკო დაწესებულებების უმთავრესი ამოცანაა.

ორწლიანი საბანკო კრიზისის შემდგომ 2010 წლიდან, საქართველოს საბანკო სექტორში დაფიქსირებული ზრდა, ერთი მხრივ, იყო საქართველოს ეროვნული ბანკის აქტიური ანტიკრიზისული პოლიტიკის, ხოლო, მეორე მხრივ, ცალკეული კომერციული ბანკების რისკმენეჯმენტის სისტემის გამართულობის შედეგი. აღნიშნულს, რასაკვირველია, მომხმარებელთა (კომერციული ბანკების კლიენტების) უკმაყოფილება სდევდა თან, რაც გამოწვეული იყო კრიზისამდელ პერიოდთან შედარებით ნაკლები კრედიტების გაცემით, საპროცენტო განაკვეთების ზრდით, კრედიტების გაცემაზე მეტი უზრუნველყოფის გარანტიების მოთხოვნით და სხვა. კრიზისულ და პოსტკრიზისულ პერიოდში ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და კომერციული ბანკების მხრიდან ნაკარნახევია ანტიკრიზისული ღონისძიებებით.

გამომდინარე იქიდან, რომ 2010 წლის წლიური და 2011 წლის I კვარტლის მაჩვენებლებით, საქართველოს საბანკო სექტორს ჯერ კიდევ არ მიუღწევია ფინანსურ კრიზისამდელ მაჩვენებლებამდე, აუცილებელია საქართველოს ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების მხრიდან რიგი ღონისძიების გატარება:

• ბაზელის კომიტეტის მიერ შემუშავებული “ბაზელი II”-ის რეკომენდაციების დანერგვა და ეტაპობრივი იმპლემენტაცია. შეცდომების დაშვებისაგან დაზღვევის მიზნით, მნიშვნელოვანია სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, რომლებმაც უკვე დაიწყეს იმპლემენტაციის პროცესი (გერმანია, ბელგია, ჩეხეთი, ესტონეთი, პო-

ლონეთი და სხვა). ვინაიდან საქართველო არ წარმოადგენს ბაზელის კომიტეტის წევრ ქვეყანას, აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული კომიტეტის სპეციალური ინიციატივა მისი არაწევრი ქვეყნების მხარდაჭერის საკითხებზე (Outreach to non-member countries);

• კომერციული ბანკების მხრიდან შიგა რეგულაციების და სტანდარტების სრულყოფა ისე, რომ რისკების მართვის მოდელებმა არ შელახოს მომხმარებელთა ინტერესები და არ შემცირდეს საბანკო სექტორისადმი ნდობა. ამასთან, ფინანსური კრიზისის შემცირებისა და ეკონომიკის აღმავლობის ადეკვატურად, აუცილებელია მათი მხრიდან ცალკეულ საბანკო პროდუქტებზე კრიზისის პირობებში დაწესებული შეზღუდვების შემსუბუქება;

• როგორც ეროვნული ბანკის, ასევე ცალკეული კომერციული ბანკების მხრიდან უნდა მოხდეს 2008-2010 წლების ფინანსური კრიზისის ანალიზი, რათა კრიზისების პერმანენტულობის პირობებში, არ განმეორდეს ადრე დაშვებული შეცდომები. ანალიზმა უნდა მოიცვას როგორც მონეტარული პოლიტიკა (რასაც ეროვნული ბანკი ისედაც ახორციელებს), ასევე კომერციული ბანკების რისკების მართვის მოდელები და მათი ეფექტიანობა. სრული სურათის დასანახად სწორედ კომპლექსური კვლევის ჩატარებაა აუცილებელი, რომელიც „კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე“ დებულების იმპლემენტაციის საკითხებსაც შეისწავლის და გახდის საჯაროს;

• პოსტკრიზისულ პერიოდში აუცილებელია დამატებითი საბანკო პროდუქტების შექმნა და რეფორმები, რაც პოსტკრიზისული რისკების შემცირებისკენ იქნება მიმართული. ერთ-ერთი ასეთია დეპოზიტების დაზღვევა, რაც გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების უმეტესობაში განხორციელდა და რისკების შემცირებისათვის მნიშვნელოვანია როგორც კრედიტორების, ასევე დეპოზიტორებისათვის<sup>1</sup>.

<sup>1</sup> Kovzanadze I. Economic and Banking System Development Trends and Prospects for Countries in Transition, iUniverse, Inc, New York, 2008, p. 36.

**Banking Risk Management Features in Post-Crisis Period**

**D. Narmania**

Banking risk is a situational characteristic of banking activities, which shows vagueness of the results and describes the probability of a negative deviation of the real expected result. There are three main categories of banking risks: credit risk, market risk and operational risk. Banking Risk adjustment is a combination of methods aimed at protecting a bank from risks.

Financial globalization has increased the importance of international regulation. Basel II is the second of the Basel Committee on Bank Supervision’s recommendations, and unlike the first accord, Basel I, which was mainly focused on credit risk, the purpose of Basel II was to create standards and regulations on how much capital should financial institutions keep in reserve in order to reduce risks. Banks need to put capital aside to reduce the risks associated with its investing and lending practices.

The risk management process in Georgia includes the following: risk determination; risk assessment; limits and monitoring; risk management information systems; risk control; asset and liability management; stress testing.

As the indicators of the banking sector for the annual 2010 and I quarter of 2011 are still below the financial indicators of the before crisis period, it is necessary that the National Bank of Georgia and commercial banks take a number of measures:

- Development and the gradual implementation of the Basel Committee recommendations (“Basel II”). To be more exact, to use special initiative for non-member countries (Outreach to non-member countries);
- Perfection of commercial banks’ internal regulations and standards, alleviation of restrictions imposed on some bank products during the crisis;
- The analysis of financial crisis of 2008-2010 by the National Bank of Georgia (NBG) and commercial banks, also analysis of implementation of regulations of NBG on “Risk Management in Commercial Banks”;
- Development of additional bank products for post-crisis period, especially deposit insurance, which is very important for commercial banks and their clients.



**საქართველოს საბიუჯეტო-საგადასახადო**

**პოლიტიკის ოპტიმიზაციის ძირითადი**

**მიმართულებები**

ნონა ქავთარაძე

**ივ. ჯავახიშვილის სახელობის**

**თსუ დოქტორანტი**

საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა ეკონომიკის მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ბერკეტია, რომლითაც სახელმწიფო ქვეყნის ეკონომიკას არეგულირებს.


საბაზრო ეკონომიკის პირობებში საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ძირითად მიზანს ბიუჯეტის როლის გაძლიერება, საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა და მისი განაწილება-გადანაწილების ეფექტიანი მექანიზმის შემუშავება წარმოადგენს, რაც, საბოლოო ანგარიშით, უზრუნველყოფს საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად გარდაქმნას.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების მიერ შემუშავებული საბიუჯეტო-საგადასახადო და მთლიანობაში ფინანსური პოლიტიკა ხასიათდებოდა, როგორც არაეფექტიანი. 2000-2003 წლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი მნიშვნელოვნად აღემატებოდა საშემოსავლო ნაწილს, რაც იწვევდა ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის სისტემატურ სეკვესტრსა და ბიუჯეტის ქრონიკულ დეფიციტს. არსებული მძიმე მდგომარეობის ნაწილობრივ გამოსწორება შესაძლებელი გახდა მხოლოდ 2004-2011 წლებში ქვეყნის საბიუჯეტო-საგადასახადო სფეროში ეფექტიანი რეფორმების გატარებით, რითაც მიღწეულ იქნა: ბიუჯეტის პროფიციტი, საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესება, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა, კორუფციისა და ჩრდილოვანი

ეკონომიკის მასშტაბების შემცირება, რაც დადებითად აისახა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეზე (იხ. გრაფიკი 1).

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები 2000-2010 წლებში<sup>1</sup>

გრაფიკი 1



მოცემული გრაფიკის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ 2000-2010 წლებში ადგილი აქვს ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და გრანტების ფაქტობრივი მობილიზების სიდიდის მნიშვნელოვან ზრდას, როგორც ლარებში, ასევე დოლარებში, განსაკუთრებით 2004-2010 წლებში.


განვითარებული ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ძირითადი წყარო გადასახადებია (დაახლოებით 69-84 %-ის ფარგლებში).

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში საგადასახადო შემოსავლების ხვედრითა წილამ 2000-2010 წლებში შეადგინა (იხ. გრაფიკი 2)

თანამედროვე ეტაპზე ქვეყნის საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას, სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებში პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებს შორის რაციონალური თანაფარდობის მიღწევა წარმოადგენს.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში საგადასახადო შემოსავლების ხვედრითი წილი 2000-2010 წლებში (%)<sup>1</sup>

<sup>1</sup> ცხრილი შედგენილია საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე.



სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებში პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების სახით მობილიზებული შემოსავლების მოცულობის ანალიზის საფუძველზე მარტივად დაგასკენით, რომ 2000-2011 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებში მნიშვნელოვნად მაღალია არაპირდაპირი გადასახადების ხვედრითი წილი. ამასთან აღსანიშნავია, რომ საგადასახადო შემოსავლებში არაპირდაპირი გადასახადების წილის ზრდის ტენდენცია დღესაც შენარჩუნებულია (იხ. გრაფიკი 3).

რაც ნამდვილად არ წარმოადგენს დადებით მომენტს და მხოლოდ დამხოლოდ მიუთითებს იმაზე, რომ გადასახადების მოელი სიმძიმე ქვეყნის ისედაც რთულ სოციალურ მდგომარეობაში მყოფ მოსახლეობას აწვება.

პირდაპირი გადასახადებიდან ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებული შემოსავლების სიდიდით აღსანიშნავია საშემოსავლო გადასახადი, რომლის წილადაც მოდის: 2000 წელს-7.2 %, 2001 წელს-2.9, 2002 წელს-2.6, 2003 წელს-2.8, 2004 წელს-1.3, 2008 წელს-26.8, 2009 წელს-25.3, 2010 წელს-24.8, 2011 წელს-25.9 %<sup>2</sup>. არაპირდაპირი გადასახადებიდან, თავისი მოცულობით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი დამატებული ღირებულების გადასახადს (დღგ) უკავია, კერ-


<sup>1</sup> გრაფიკი შედგენილია საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე.

<sup>2</sup> საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით.

ძოდ 2000-2011 წლების განმავლობაში ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების დაახლოებით 45-58 %-ის ფორმირება სწორედ დღგ-ს სახით მობილიზებული შემოსავლებით ხორციელდება, ე.ი. დღგ-ს ბიუჯეტის შემოსავლებში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია.

2000-2011 წლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებში პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების წილი (%)<sup>1</sup>

გრაფიკი 3



მიმდინარე წელს, „საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის შესაბამისად (აპრილის თვის მდგომარეობით შეტანილი ცვლილებების შესაბამისად), ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 5 650.0 მლნ ლარით განისაზღვრება, საიდანაც პირდაპირი გადასახადების წილად მოდის 37.4 %, ხოლო არაპირდაპირი გადასახადების წილად-61.9 %.

მოქმედ ბიუჯეტში, არაპირდაპირი გადასახადებიდან ყველაზე მაღალია დღგ-ს ხვედრითი წონა-47.7 %, შემდეგ მოდის აქციზი-12.6 %. რაც შეეხება პირდაპირ გადასახადებს, მათგან აღსანიშნავია საშემოსავლო გადასახადი, რომლის საშუალებითაც ფორმირდება ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების 25.9 %.

მიმდინარე პერიოდში საგადასახადო პოლიტიკისა და საგადასახადო რეფორმის მთავარ მიზანს ქვეყანაში საგადასახადო

<sup>1</sup> გრაფიკი შედგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე.

კანონმდებლობის სრულყოფა, საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაცია, საგადასახადო განაკვეთების ოპტიმიზაცია, საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესება და მოლიანობაში- საგადასახადო სისტემის სრულყოფა წარმოადგენს.

2011 წლის 1 იანვრიდან ახალი საგადასახადო კოდექსის ძალაში შესვლით, 2011 წლის 1 იანვრიდან დაწესებული საგადასახადო წლისათვის ძალადაკარგულად ჩაითვალა საქართველოს საგადასახადო კოდექსი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 41,30.12.2004, მუს. 200) და საქართველოს საბაჟო კოდექსი.

მოქმედ საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების მიუხედავად, კვლავ მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელებაა საჭირო გადასახადის რაოდენობისა და ცალკეული სახეობის საგადასახადო განაკვეთების ოპტიმიზაციის კუთხით.

აღსანიშნავია, რომ დღეს მთელს მსოფლიოში კურსი აღებულია საგადასახადო განაკვეთების შემცირებისაკენ, რადგან მსოფლიო პრაქტიკით დადასტურებულია ა. ლაფერის კონცეფციის სისწორე, რომ საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება, ეკონომიკის ზრდის სტიმულირებასთან ერთად, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ზრდასაც განაპირობებს. ეს მოვლენა ეკონომიკურ ლიტერატურასა და სამეურნეო პრაქტიკაში ცნობილია ლაფერის ეფექტის სახელწოდებით.

საქართველოში საგადასახადო განაკვეთების ოპტიმიზაციის თვალსაზრისით, პირველყოფლისა, აღსანიშნავია საშემოსავლო გადასახადი, რომლის განაკვეთმაც უკანასკნელი წლების განმავლობაში არაერთხელ განიცადა ცვლილება, კერძოდ: 2005 წლის 1 იანვრამდე მოქმედებდა საშემოსავლო გადასახადის დიფერენცირებული 12, 15, 17 და 20 %-იანი განაკვეთები, შემდგომ-2005 წლის 1 იანვრიდან ერთიანი 12 %-იანი განაკვეთი, რომელიც 2008 წლის იანვრიდან შეიცვალა 25 %-იანი, ხოლო შემდგომ 20 %-იანი განაკვეთით. საქართველოს პარლამენტის მიერ 2008 წლის 15 ივლისს შეტანილი (№206) ცვლილების შესაბამისად, საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი კვლავ შეიცვალა და იგი 15 %-იანი განაკვეთით განისაზღვრა, თუმცა, 2011 წლის 1 იანვრამდე ქვეყანაში ფაქტობრივად ერთდროულად მოქმედებდა 2 განაკვეთი-20 %-იანი და 12 %-იანი. ამასთან აღსანიშნავია, რომ 12%-იანი განაკვეთი იყო დროებითი ხასიათის და მოქმედებდა მხოლოდ 2011 წლის 1 იან-

ვრამდე, ამ განაკვეთით იბეგრებოდა იმ პირთა შემოსავალი, რაც წინა წლებში არ იბეგრებოდა სოციალური გადასახადით. დღეისათვის და მომდევნო პერიოდში 2011 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 1 იანვრამდე მოქმედებს საშემოსავლო გადასახადის ერთიანი 20 %-იანი განაკვეთი, რომელიც 2013 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 1 იანვრამდე შემცირდება 18 %-მდე, ხოლო შემდგომ უკვე—15 %-მდე.

ჩვენი აზრით, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად საშემოსავლო გადასახადის ერთიანი განაკვეთით დაბეგვრა, მართალია, ამარტივებს მის გაანგარიშებას, მაგრამ, საქართველოში დღეს არსებული სახელფასო განაკვეთების მკვეთრი დიფერენცირებულობის გამო, არასამართლიანად მიგვაჩნია მინიმალური და მაქსიმალური შრომის ანაზღაურების მქონე პირთა ერთიანი 20 %-იანი საგადასახადო განაკვეთით დაბეგვრა.

უნდა აღინიშნოს, რომ შემცირების ტენდენციით ხასიათდება ისეთი მნიშვნელოვანი გადასახადის განაკვეთი, როგორცაა დღგ, რაზეც მეტყველებს 2005 წლის 1 ივლისიდან ამ გადასახადის განაკვეთის 20 %-დან 18 %-მდე შემცირება. ამასთან აღსანიშნავია, რომ ამ ცვლილებას არ გამოუწვევია ბიუჯეტში დღგ-ს სახით მობილიზებული შემოსავლების შემცირება, პირიქით, 2005 წლიდან მოყოლებული ის მკვეთრი და სტაბილური ზრდით ხასიათდება. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, საქართველოს ხელისუფლებამ კვლავ უნდა გააგრძელოს მუშაობა ამ მიმართულებით, რათა მომავალშიც მოახდინოს აღნიშნული გადასახადის განაკვეთის 15 %-მდე ეტაპობრივი შემცირება.

საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადებიდან ასევე აღსანიშნავია საბაჟო გადასახადი, რომელიც 2011 წელს, საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსის ძალაში შესვლის შედეგად, ჩაანაცვლა იმპორტის გადასახადმა რომლის გადამხდელია ყველა ის პირი, რომელიც საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე განხორციელებს საქონლის გადაადგილებას, გარდა ექსპორტისა. აღნიშნულ გადასახადთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სახელმწიფოს მიერ ადგილობრივი წარმოების წახალისების მიზნით, საქონლის ცალკეულ სახეობაზე დაწესდეს განხორციელდეს პროტექციონისტული ბაჟები.

რაც შეეხება ადგილობრივ გადასახადებს, 2009 წლის 1 იანვრი-

დან საქართველოში მოქმედებს მხოლოდ ერთი—ქონების გადასახადი, რომელიც ჯერ კიდევ 2003 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენდა, 2005 წლის 1 იანვრიდან კი ადგილობრივი გადასახადების რიცხვს დაემატა და მან, ფაქტობრივად, მოიცვა მიწის და ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადი, რაც აღნიშნული კოდექსის ერთ-ერთ დადებით ფაქტორად იყო მიჩნეული.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ წლების განმავლობაში საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, ის კვლავ საჭიროებს არსებით კორექტივებს, რათა მან დააკმაყოფილოს ის ძირითადი კრიტერიუმები, რასაც ასე თუ ისე სრულად უპასუხებს ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების საგადასახადო სისტემა: ეკონომიკური ეფექტიანობა; ადმინისტრაციული უბრალობა; მოქნილობა; პოლიტიკური პასუხისმგებლობა; სამართლიანობა.<sup>1</sup>

ამასთან, საგადასახადო სისტემამ უნდა უზრუნველყოს ვალდებულებათა შეფარდებითი თანასწორობა, ეკონომიკური ნეიტრალურობა, ორგანიზაციული სიმარტივე, მოქნილობა და გადამხდელების მხრიდან გადასახადების გაკონტროლება.<sup>2</sup>

ჩვენი აზრით, თანამედროვე პირობებში საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფისათვის კვლავ მნიშვნელოვანი ამოცანებია გადასაწყვეტი, რომელთაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია გადასახადების მობილიზაციასთან დაკავშირებული საკითხების რაციონალურად გადაწყვეტა, რისი დაძლევაც შეუძლებელია მხოლოდ ადმინისტრაციული მეთოდების გამოყენებით.

აღსანიშნავია, რომ გადასახადების მობილიზების დონე სახელმწიფოს მდგომარეობის, მისი ეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია, რომლის საფუძველზეც ხდება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ ქვეყნის კრედიტუნარიანობის, საერთაშორისო ვალდებულებათა ლიკვიდობის მანვერებლისა და ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმების წარმატებით განხორციელების შეფასება. ამიტომ, საქართველოში გადასახადების მობილიზების

<sup>1</sup> Дж. Ю. Стиглиц, Экономика государственного сектора, М., 1997, с. 369.  
<sup>2</sup> Л.И. Якобсон, Экономика общественного сектора. Основа теории государственных финансов, М., 1996, с. 129.

პრობლემა საჭიროებს კომპლექსურ, სისტემურ მიდგომას და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამკაცრდეს ფინანსური სანქციები, რითაც სახელმწიფო აიძულებს გადამხდელებს უზრუნველყონ ბიუჯეტში გადასახდელი თანხების სწორი გაანგარიშება და დროული გადახდა. ამასთან, დაწესებული საჯარიმო სანქციები უნდა იყოს უშეღავათო და სამართლიანი.


ქვეყნის საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფის მნიშვნელოვანი მიმართულებაა ბიუჯეტებს შორის საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადების განაწილების ეფექტიანი მექანიზმის შემუშავება. საქმე ისაა, რომ ეს პრობლემა კვლავაც მოუგვარებელია, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული საკითხი მითხოსვს სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან სერიოზულ და კომპლექსურ მიდგომას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის რეალური შემოსავლის მომტანი გადასახადის გამოვლენა და მისი განაწილების ეფექტიანი მექანიზმის შემუშავება. კერძოდ, მიგვაჩნია, რომ ხელისუფლების მიერ საჭიროა მარეგულირებელი გადასახადის შემოღება, რომლის ფუნქციაც რეალური შემოსავლის მომტან წყაროს-დამატებული ღირებულების გადასახადს უნდა დაეკისროს.

საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკაზე მსჯელობისას აუცილებელია შევეხოთ ქვეყნის მიერ უცხოური სესხის აღების მასშტაბებსა და ძველი ვალების დაფარვის მიმდინარეობას. საქართველოს მიერ 2004-2010 წლებში აღებული საგარეო სესხის დინამიკა ნაჩვენებია მე-5 გრაფიკში (გრაფიკი 5).

მიმდინარე წელს საქართველოს სახელმწიფოს საგარეო ვალის ზღვრულმა მოცულობამ 8 758.6 მლნ ლარი შეადგინა, რომელთა შორის მრავალმხრივი კრედიტორებისაგან აღებულია 6 539.1 მლნ ლარი. აღსანიშნავია, რომ საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სახელმწიფოს ვალის ზღვრული მოცულობა 10 670.5 მლნ ლარია.

საქართველოს მიერ და სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტები (2004-2010 წლები, მლნ ლარია)<sup>7</sup>



მიგვაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას სახელმწიფო ვალის ეფექტიანი მართვა წარმოადგენს. ამასთან, ჩვენი აზრით, საჭიროა სახელმწიფოს მიერ აღებული კრედიტების მიზნობრივ განაწილება-გამოყენებაზე კონტროლის გამკაცრება, რათა მოხდეს ამ სახსრების მაქსიმალურად რაციონალურად და ეფექტიანად განაწილება-გამოყენება.

ქვეყნის ეკონომიკის სტაბილური განვითარების უზრუნველყოფად მიზანშეწონილია ხელისუფლების მიერ ისეთი საგადასახადო სტრატეგიის შემუშავება, რომლის ძირითადი მიზანიც იქნება: ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის, ეროვნული წარმოების სტიმულირების, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების და მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ფორმირება- ფუნქციონირების მიღწევა.

ამასთანავე, საქართველოს საგადასახადო სისტემა უნდა აიგოს საზღვარგარეთის გამოცდილებისა და ქართული, ეროვნული ეკონომიკის თავისებურებების გათვალისწინებით.

ჩვენი აზრით, საქართველოში ეროვნული წარმოების განვითარებისათვის აუცილებელია საგადასახადო განაკვეთების დიფერენ-

<sup>7</sup> დიაგრამა შედგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე.

ცირება ეკონომიკური საქმიანობის ცალკეული სახეობის დარგებისა და სფეროების ჭრილით, რაც სახელმწიფოს საშუალებას მისცემს განსაზღვროს პრიორიტეტული დარგები და საწარმოები შეღავათიანი საგადასახადო განაკვეთებით დაბეგერისათვის.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით შემუშავებული საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის გატარება უზრუნველყოფს ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას, შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური მიზნების უფრო ეფექტიანად განხორციელებას.

**Basic Directions of Budget and Tax Policy Optimization in Georgia**

*N. Kavtaradze*

The article discusses the dynamics of the share of income, received from taxes in the formation of budget revenues and grant execution and Georgian state budget revenues in 2000-2010 years. The focus is directed to the structure of direct and indirect taxes and optimal correlation in budget revenues.

The article also analyses the changes made in Tax Code directed at the optimization of the country's tax policy and tax rates and those shortcomings, which are still characteristic for Georgian tax system. On this background, the basic directions for improving the country's budget and tax policy are identified: the necessity of reducing the share of indirect taxes in budget tax incomes; to develop an effective mechanism for distributing general state taxes between budgets; strengthening the control over purposeful distribution and use of credits taken by the state; optimization of tax amounts and separate types of tax rates.

**ადამიანური რესურსების მართვის  
უსიძლოზი ასპექტები**

ნუგზარ პაიჭაძე  
**ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
თსუ ასოცირებული პროფესორი**

ადამიანების მართვას უხსოვარ დროიდან აქვს ადგილი. მას გააჩნია თავისი თეორია და პრაქტიკა, მოდელები, პრინციპები და მექანიზმები. იგი ძირეულად განსხვავდება სხვა, ანუ არაადამიანური რესურსების (მანქანების, მართვის სისტემების და ა. შ) მართვისაგან. საქმე ისაა, რომ ყველა სხვა რესურსისაგან განსხვავებით, ცნება- „ადამიანური რესურსები“, მოიცავს ადამიანთა სოციოკულტურულ და პიროვნულ-სოციოლოგიურ თვისებათა ერთობლიობას. მთავარი აქ ისაა, რომ ადამიანები ფლობენ ინტელექტს და, შესაბამისად, გარეგან ზემოქმედებაზე მათი რეაქცია ემოციონალურია და გააზრებული, რის გამოც მართვის სუბიექტსა და ობიექტს, ანუ მმართველებსა და მართულებს შორის ურთიერთობის პროცესი ორმხრივია.

ამა თუ იმ ფუნქციის შემსრულებელი მუშაკები თავიანთი ხელმძღვანელებისაგან კონკრეტულ დავალებებს, როგორც წესი, თავიდან იღებენ როგორც მმართველთა ნება-სურვილს, ხოლო შემდეგ, ურთიერთდამოკიდებულებისა და მუშაობის კონკრეტული პირობების არსებული სისტემის მოქმედებით, ხელმძღვანელთა სურვილები თანდათანობით უახლოვდება შემსრულებელთა შინაგან პიროვნულ შეხედულებებს. ბუნებრივია, მოცემულ პროცესში შეიძლება წარმოიშვას გარკვეული წინააღმდეგობები ხელმძღვანელებსა და შემსრულებლებს შორის. თუმცა, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ადამიანთა უმეტესობამ კარგად იცის, თუ როგორ ურთიერთქმედებდეს

სხვების განსხვავებულ სურვილებზე და მიიღოს მეტ-ნაკლებად სწორი გადაწყვეტილება. რეალურ სინამდვილეში, ერთობლივად მომუშავე ადამიანებში მათი ურთიერთშემოქმედების მიზნები შეიძლება ერთმანეთისაგან არა მარტო განსხვავდებოდეს, არამედ სხვადასხვაგვარადაც აღიქმებოდეს. მაგრამ, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, მათ აუცილებლად უნდა ითანამშრომლონ თავიანთი ერთობლივი მიზნების მისაღწევად.

ადამიანთა ურთიერთობა მათი რღვეული ქცევების დიდი სიმრავლით ხასიათდება, რომელიც ძირითადად განპირობებულია ადამიანთა განსხვავებული სოციალური პოზიციებითა და ფუნქციებით და რომელსაც ახლავს ძალდატანების სხვადასხვა სახეობა და ფორმები<sup>1</sup>.

სოციალური პოზიციებისა და ფუნქციების ერთმანეთისაგან გამოყოფა ერთობ რთულია, ზოგჯერ შეუძლებელიც კი. ყოველივე ეს ხელისშემშლელია დაკონკრეტდეს მექანიზმები სისტემაში: **მართვა-მართვადობა**, რომელიც მოიცავს როგორც ხელმძღვანელებისა და შემსრულებლების ორგანიზაციული საქმიანობისა და ურთიერთობის ნებაყოფლობითობას, ასევე სხვადასხვა სახეობისა და ფორმის ძალდატანების ელემენტებსაც.

მართვის პროცესში ადამიანთა ორგანიზაციული ურთიერთობის სქემა გვევლინება ფორმით: „**ორგანიზატორი-შემსრულებელი**“. ფუნქციურ სისტემაში კი ურთიერთობის საფუძველია ეფექტური მართვის განხორციელების უზრუნველყოფელი ფუნქცია. ორგანიზაციული სტრუქტურა, საქმიანობის საშუალებები და რეგლამენტაცია კონცენტრირდება ორგანიზაციის ძირითად ამოცანებზე და მოქმედება რეალიზდება ფუნქციური მოდელის საშუალებებითა და მეთოდებით. ორგანიზაციების (საწარმოების და ა.შ.) წარმატებული მუშაობისათვის აუცილებელია მართვის ფუნქცია გამომდინარეობდეს საქმიანობის ეკონომიკური ამოცანებიდან. იქ კი, სადაც ეს ასე არაა და მას ადამიანები ქმნიან თავიანთი სუბიექტური შეხედულებით, არ შეიძლება ეკონომიკა იყოს ეფექტიანი, რამდენადაც მისი შედეგი

<sup>1</sup> ხელმძღვანელთა როლების შესახებ იხილეთ წიგნში: **Блинов А., Василевская. Искусство управления персоналом. М., 2001, с. 222-224.**

დამოკიდებულია საქმიანობის არა ეკონომიკურ მექანიზმებზე, არამედ ფსიქოლოგიურზე. დღეს, სამწუხაროდ, საწარმოთა ორგანიზაციული განვითარების მართვა არათუ არ გადადის მართვის ეკონომიკურ მეთოდებზე, არამედ, პირიქით, სულ უფრო და უფრო იარაღდება ადამიანთა მიერ „წარმოებული“ ფუნქციებით, რაც მისი (საწარმოთა ორგანიზაციული განვითარებისა და, შესაბამისად, ადამიანური რესურსების ეფექტური მართვის) ერთ-ერთი შემავრცელებელი ფაქტორია.

ადამიანური რესურსების მართვისას გამოყოფენ საწარმოთა ორგანიზაციული საქმიანობის კადრებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ფუნქციების ორ ჯგუფს: 1) ორგანიზაციული პროცესების უზრუნველყოფელი და 2) ორგანიზაციული პროცესების ეფექტური განვითარების პირობების მაფორმირებელი ფუნქციები. პირველი ჯგუფის ფუნქციები სულ უფრო და უფრო ეყრდნობა მართვის ეკონომიკურ მეთოდებს, ხოლო მეორე ჯგუფის ფუნქციები, პირიქით, უფრო და უფრო დამოკიდებული ხდება ადამიანთა თვისებებსა და პირად შეხედულებებზე და, შესაბამისად, ხასიათდება მზარდი სუბიექტივიზმით. ეს კი ეწინააღმდეგება მართვის თეორიის მოთხოვნებს ორგანიზაციული საქმიანობის ოპტიმალური ფუნქციონირების შესახებ.

ორგანიზაციული პროცესების ეფექტიანი განვითარების პირობების ფორმირება იმდენად რთული და მრავალმხრივია, რომ შეუძლებელი ხდება მათი შემფასებელი პარამეტრებით გაზომვა. ამან კი განაპირობა შეფასების სპეციალური სკალის შემოღება, რომელშიაც მთავარი ადგილი უკავია ატესტაციასა და საქმიანობის სამოტივაციო მექანიზმს. საქმე ისაა, რომ სწორედ ატესტაციის შედეგებისა და ადამიანთა მოტივაციური ფაქტორების გათვალისწინებითაა შესაძლებელი ადამიანური რესურსების მართვის მთავარი ფუნქციის განხორციელება-პერსონალის შერჩევა მისი საქმიანობის პარამეტრების ორგანიზაციულ მოდელთან შესაბამისობის საფუძველზე.

პერსონალის მართვის ხარისხის დასახასიათებლად დიდი მნიშვნელობა აქვს ორგანიზაციების პოტენციური პროფესიონალური შესაძლებლობის შეფასებას. ამ მიზნით, უპ-

ირველეს ყოვლისა, განიხილება ორი საბაზისო მაჩვენებელი: 1) ორგანიზაციული საქმიანობის მართვის ეფექტური სისტემა; 2) ორგანიზაციული საქმიანობის ოპტიმალური ეფექტიანობა. ხშირად ამ ფაქტორებს ხელმძღვანელები სათანადოდ არ აფასებენ, მაგრამ ისინი მათ მიერ აღიქმება როგორც იდეალურთან მიახლოებული და სტაბილური. ორგანიზაციული მიზნების მიღწევის უზრუნველყოფელი კადრების შერჩევის მიზნით, ადგენენ ორგანიზაციულ საქმიანობაში მონაწილეობის მსურველი სპეციალისტების პოტენციურ შესაძლებლობათა მთავალში მათ მიერ შესასრულებელ ფუნქციებთან შესაბამისობის შემფასებელ პარამეტრებს. ამისათვის სასურველია, დასაწყისში განისაზღვროს შესაბამისობა საქმიანობის საშუალებებსა და მათ წარმოებრივ ფუნქციებს შორის. აღნიშნული მეთოდი უფრო ბუნებრივი და გასაგებია ტექნოლოგიური პროცესების მიმართ. ამასთან, იგი უნივერსალური ხასიათისაა და წარმატებით გამოიყენება მართვის თეორიაში, მათ შორის ორგანიზაციის საკადრო პოტენციალის ფორმირებისას. ზემოაღნიშნული სამუშაოს შესრულების შემდეგ საჭიროა განისაზღვროს სპეციალისტის პიროვნული ინტერესი საქმიანობის კონკრეტული სახეობისადმი, რაც გამოიხატება შესაბამისი განათლების ფლობასა და მის სურვილში მოახდინოს მოცემული საქმიანობის ფუნქციის რეალიზაცია არსებულ ორგანიზაციულ პირობებში.

საქმიანობის კონკრეტული სახეობისადმი პიროვნული ინტერესი და სპეციალისტის გამოცდილება ორგანიზაციისათვის ისეთი გარე ფაქტორებია, რომელთა ეფექტიანად გამოყენება და ორგანიზაციულ ფუნქციებში ოპტიმალურად ჩართვა არც ისე იოლია. სპეციალისტის სურვილია-იმუშაოს ორგანიზაციაში, რომელიც მოტივირებულ იქნება მისი სპეციალიზაციით და კონკრეტულ ორგანიზაციულ ფუნქციებზე მუშაობის გამოცდილებით. ცხადია, ამ სურვილის რეალიზაცია ხდება ორგანიზაციის მიერ მისი დაკმაყოფილების შემთხვევაში.

მართვის შინაგანი ორგანიზაციული სისტემა მუშაობს ობიექტური ურთიერთხემოქმედების საკუთარი მექანიზმებით და აქვს თავისი განსაკუთრებული ბუნება. მისი საფუძ-

ველია ურთიერთხემოქმედების ის პირველადი მექანიზმი, რომლის დროსაც ორგანიზატორისაგან (ხელმძღვანელისაგან) წამოსული დირექტივა-„მე მინდა“, აუცილებლად ეჯახება მისი შემსრულებლის სურვილს-**შეასრულოს იგი თუ არა**. იდეალში, დირექტივა-„მე მინდა“, უნდა იყოს სტაბილური და საერთო ერთობლივი საქმიანობის ყველა მონაწილისათვის. სწორედ ამიტომაც, რომ იგი თავდაპირველად ხმოვანდება, ხოლო შემდგომ გულმოდგინედ ფორმირდება ერთობლივი საქმიანობის ყველა მონაწილისათვის. ცხადია, ყოველივე ეს უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობს. თავდაპირველად, „მე მინდას“ ორგანიზატორის (ხელმძღვანელის) მიერ საქმიანობის ორგანიზაციული ფუნქციების ათვისებაში დიდი სიმძიმეა. ურთიერთხემოქმედების მექანიზმები ინერგება საქმიანობისადმი იძულებათა მთელი ნაკრებით, რომელიც ობიექტურად თუ სუბიექტურად აიძულებს შემსრულებელს „ხალისით მიიღოს“ მოქმედებათა შემოთავაზებული წესები. იქმნება ურთიერთდამოკიდებული მართვის სისტემა, რომელშიაც ურთიერთხემოქმედების მექანიზმები განსაზღვრავს პროცესის მონაწილეთა მოქმედების კონკრეტულ წესებს. „მე მინდას“ ორგანიზატორი (ხელმძღვანელი) თავდაპირველად ცდილობს ყურადღება მიაქციოს ორგანიზაციულ ფუნქციებს და მათი შემსრულებლები დააინტერესოს მატერიალურად და თანამდებობრივი სტატუსის ამაღლებით, ხოლო შემდეგ, იგი იქცევა ისე, როგორც ამას საქმე მოითხოვს. შემსრულებელი კი, იმყოფება რა შინაგანი და გარეგანი შეგულებების ნაკრების სერიოზული ზეწოლის ქვეშ, მზადაა შეასრულოს ორგანიზაციული ფუნქციები მისთვის უცნობი მიზნების სარეალიზაციოდაც კი, შემოთავაზებული მატერიალური უზრუნველყოფის დონისა და თანამდებობრივი სტატუსის სანაცვლოდ.

ნიშანდობლივია, რომ მართვის სისტემაში ხელმძღვანელი ცდილობს თავისთვის დაიტოვოს ისეთი ორგანიზაციული ფუნქციები, რომლებიც, მისი გაგებით, უკიდურესად აუცილებელია მისთვის საკუთარი ინტერესების სარეალიზაციოდ. შემსრულებელი კი ვალდებულია (ზოგჯერ იძულებული) თავისი ფუნქციები აკლავაწარმოოს, რამდენადაც თავდაპირველად მას

აგულიანებენ, რომ ამისი გაკეთება მისი შინაგანი საზოგადოებრივი ვალდებულებაა, ხოლო შემდგომ ან მაშინვე-სახეზეა მისი ცხოველყოფილობის მატერიალური უზრუნველყოფის მოთხოვნილება და ზრუნვა მისი სხვა საკუთარი ინტერესების სარეალიზაციოდ.

მართვის სისტემაში ორგანიზატორსა (ხელმძღვანელსა) და შემსრულებელს შორის პოზიციების ასეთი საწყისი განსხვავება ორგანიზაციული საქმიანობის პროცესში განაპირობებს პიროვნებათაშორისი ურთიერთობის განსხვავებულ ფორმებს. ხელმძღვანელს სჭირდება არა მარტო ოპტიმალური ორგანიზაციული ფუნქციები, არამედ ორგანიზაციული ფუნქციების ეფექტური და მუდმივად კვლავწარმოებადი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მისი პიროვნული ინტერესებისა და საქმიანობის მიზნების წარმატებით განხორციელებას. შემსრულებელს კი, რომელმაც ორგანიზაციულ საქმიანობაში ჩაბმით, განსახდვრული ხარისხით, მაშინვე გადაწყვეტა თავისი მატერიალური უზრუნველყოფის საკითხები, შეუძლია უბრალოდ შეინარჩუნოს არსებული მდგომარეობა და მომავალში საჭიროებიდან გამომდინარე, თავისი პირადი შეხედულებით მოექცეს თავისი ინტერესებისა და მიზნების რეალიზაციის ორგანიზაციულ შესაძლებლობებს. ერთი სიტყვით, იწყება ერთობ საინტერესო „თამაში“, რომელშიაც ხარისხიანად, და ეფექტიანად უნდა შესრულდეს ორგანიზაციულ სამუშაოთა მნიშვნელოვანი რაღები. მათი ინტენსივობა და შრომატევადობა სათანადოდ არ რეგულირდება არა მარტო გარედან მართვით, მაგალითად, მატერიალური სტიმულირების გამოყენებით, არამედ არ იმართება შიგნითადაც, ორგანიზაციული შესაძლებლობებისადმი პიროვნული ინტერესებით. მისი ბუნება და სიფართოვე თითქმის მოლიანად დამოკიდებულია ორგანიზატორზე. შესაბამისად, იგი შეიძლება ნებისმიერი მიმართულებით შეიცვალოს. ორგანიზატორის (მმართველის) პოზიცია განისაზღვრება შემსრულებლებთან, ურთიერთზემოქმედების მიზნებთან, მექანიზმებსა და ინსტრუმენტებთან ერთად, ხოლო შემსრულებლების პოზიცია-თვით შემსრულებელთა მიერ თავიანთი ინტერესების გათვალისწინებით.

სათანადო სპეციალისტების აზრით, სწორედ მართვის

ფუნქციებია ის ინსტრუმენტები, რომლებიც, საბოლოო ანგარიშით, საშუალებას აძლევს ხელმძღვანელს განსახდვროს საქმიანობის სწორედ ის ორგანიზაციული მოვალეობები, რომლებსაც ახორციელებენ შემსრულებლები იმ რაოდენობითა და ხარისხით, რომელიც აუცილებელია ორგანიზაციული მიზნების ოპტიმალური და ეფექტიანი მიღწევისათვის.

ორგანიზაციული ფუნქციების ეკონომიკური ბუნება რეგულირდება პირდაპირი შედეგით. იგი, შესაბამისად, იმართება როგორც საქმიანობის მიზნის პირდაპირი მიღწევის პროცესი. ფუნქციისა და შედეგის კვლავწარმოების მთელი პროცესის პირდაპირი დამოკიდებულება, რომელსაც ადგილი აქვს ასეთ პრიცესში, ორგანიზაციული მიზნების განსახდვროსა და მისი მიღწევის კონტროლის საშუალებას იძლევა.

ორგანიზაციული საქმიანობის პირობების, განსაკუთრებით მასზე მოქმედი გარე ფაქტორების ფორმირება შეუძლებელია მართვის იმ მექანიზმებითა და საშუალებებით, რომლებიც გამოიყენება კვლავწარმოების ფუნქციათა ეკონომიკური მართვის შემთხვევაში. ორგანიზაციული საქმიანობის ოპტიმალური და ეფექტური ფორმირების ბუნება და მართვადობა არ გულისხმობს მართვის შედეგიანობის დონის გაგების და არც მისი გამოყენების საშუალებებისა და წესის ერთტიპურობას, უფრო მეტიც, არც მათსა და შედეგს შორის პირდაპირ დამოკიდებულებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვმართოთ მმართველები და სპეციალისტები, რომლებიც ახდენენ შიგა და გარე ორგანიზაციული პირობების ფორმირებას, სულ სხვაა, ვიდრე წარმოების პროცესის მართვა, რამდენადაც ამ უკანასკნელს აქვს საქმიანობის ფუნქციათა შეფასებითი პარამეტრების ბუნება. მართვის ბუნებაში განსხვავებულობა ვლინდება მის ფუნქციათა განხორციელების თვით პროცესში. ეკონომიკური მართვის ბუნებაში საქმიანობის ინტენსივობა დინამიკურად აისახება წარმოებული პროდუქტის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებელში. მეორე შემთხვევაში- მართვის ფუნქციათა რეალიზაციის შედეგის პირდაპირი გაზომვა შეუძლებელია. ამიტომ, მართვის პროცესის შესაფასებლად იყენებენ სხვადასხვა არაპირდაპირ მეთოდებს. მათ შორისაა

მართვის პროცესის ატესტაციისა და გამოყენების მოტივაციის ანალიზი. ატესტაციისას ყურადღება ექცევა ისეთ ძირითად საკითხებს, როგორცაა: თანამშრომლებზე ზეწოლის ადმინისტრაციული მეთოდები; ორგანიზაციული მართვადობის მიმდინარე მდგომარეობის შეფასება; მართვის არსებული სისტემისადმი დამოკიდებულების მომავალში შენარჩუნების რწმენის ჩამოყალიბება. რაც შეეხება მართვის კონკრეტული მეთოდის გამოყენების მოტივაციის ანალიზს, იგი ძირითადად ეყრდნობა საქმიანობის ფსიქოლოგიურ ასპექტებს. რეს კი გამოწვეულია იმით, რომ ადამიანთა მართვაში დასაქმებულთა და, უპირველეს ყოვლისა, ხელმძღვანელების (ლიდერების) შრომითი საქმიანობის მოტივაციის ბუნების ახსნა შეუძლებელია მისი ფსიქოანალიზური ახსნის გარეშე. როგორც ფსიქოანალიზის ფუძემდებელი ზ. შრედი<sup>1</sup> თვლიდა, ლიდერობის საფუძველი, ამა თუ იმ დოზით, ჩადებულია თითოეულ ადამიანში. სოციალიზაციის პროცესში, ჯერ კიდევ ბავშვობიდან, იგი ვლინდება მიდრეკილებაში შემოქმედებისადმი, ლიდერობისადმი და ა.შ.

თეორიულად და პრაქტიკულადაც დადასტურებულია, რომ ადამიანთა მართვაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქმიანობის ისეთი ორგანიზაციული მოდელის შექმნას, რომელშიაც კარგად იქნება შერწყმული მუშაობის შეფასებითი პარამეტრების ეკონომიკური ბუნება. იქ, სადაც საქმიანობისა და ფუნქციის მოდელი და შედეგი პირდაპირ დამოკიდებულებაშია, ამასთან ერთად, უნარიანია სრული მოცულობით შეფასდეს და იმართოს ობიექტური პარამეტრებით, მართვა არა მარტო პირველადია, არამედ სრულიად საკმარისიცაა ორგანიზაციული მიზნების მისაღწევად. ფუნქციები, რომელთა კვლავწარმოების გაკონტროლება მთლიანადაა შესაძლებელი, ნაკლებადაა დამოკიდებული ამ პროცესებთან შემსრულებელთა ურთიერთობებზე. მათ შეუძლიათ მხოლოდ დაეთანხმონ ან არ დაეთანხმონ კვლავწარმოების პირობებსა და წესებს და, ამდენად, მთლიანად ჩაერთონ ან არ ჩაერთონ კონტროლირებადი ორგანიზაციული პროცესის ტექნოლოგიაში. როგორც ზემოთ აღინიშნა, თანამედროვე ორგანიზაციულ

<sup>1</sup> Пугачев В. П. Руководство персоналом организации. М., 2000, с. 83.

საქმიანობას არ შეუძლია შემოიფარგლოს ფუნქციითა კვლავწარმოების მხოლოდ ტექნოლოგიური ასპექტებით. საქმე ისაა, რომ, თავისი მნიშვნელობით, ჯერ კიდევ ცოტას ნიშნავს აწარმოო საქონელი ან მომსახურება, უფრო მეტიც, აწარმოო ისინი უკეთ და უფრო ეფექტიანად სხვასთან შედარებით. აუცილებელია, აგრეთვე, ისინი გაყიდო. დღეს ამ უკანასკნელის მნიშვნელობა განუხრებლად იზრდება ორგანიზაციული საქმიანობის საერთო პროცესში.

წარმოება და გაყიდვა ერთმანეთისაგან იმდენად განსხვავებულია, რომ შეიძლება მათი ერთმანეთისაგან არა მარტო დამოუკიდებლად არსებობა, არამედ ორგანიზაციულადაც განცალკევება. ეს კი საშუალებას იძლევა წარმოებისაგან იზოლირებულად ორგანიზებულ იქნეს ადამიანთა საქმიანობის ისეთი სახეობები, რომლებიც მთლიანად კონცენტრირებულია წარმოებული პროდუქტის რეალიზაციაზე. ყოველივე ეს ერთხელ კიდევ მიუთითებს საქმიანობის სხვადასხვა ფუნქციის და, შესაბამისად, საქმიანობის სხვადასხვა სახეობის მართვაში ორგანიზაციულ განსხვავებაზე.

დიდია გარე ფაქტორების როლიც. საქმე ისაა, რომ ნებისმიერი გარე ფაქტორი, მითუმეტეს მათი ერთობლიობა, მნიშვნელოვნად მოქმედებს ორგანიზაციაზეც და მისი განვითარების მექანიზმზეც. ასეთებია მაგალითად, რეალიზაციის საშუალებები და წესები, რაც ხშირად ორგანიზაციული საქმიანობის განმსაზღვრელია და, შესაბამისად, პირველადია ადამიანთა ორგანიზაციისა და მართვის საკითხებში.

წარმოებული საქონლისა და მომსახურების გაყიდვის პირობების ფორმირება, მათი მართვა და გარე ფაქტორებთან ურთიერთშემოქმედება მნიშვნელოვნად განსხვავდება წარმოებრივისაგან არა მარტო საქმიანობის შეფასებითი პარამეტრების, არამედ ფუნქციითა ბუნებითაც. ეს განსხვავება იმდენად დიდია, რომ გასაღების სფეროში მომუშავე პოტენციურად წარმატებული სპეცილისტებისათვის თვით წარმოება ნაკლებ საინტერესოა და მის შესახებ მათთვის ცოტაა ცნობილი, ისე როგორც წარმატებულ მწარმოებლებს არ აინტერესებთ გასაღების გარე ფაქტორებთან მუშაობის სპეციფიკისა და

მართვის საკითხები და მათთვისაც ცოტაა ცნობილი მათ შესახებ. ზემოაღნიშნული მთლიანად გამომდინარეობს საქმიანობის ფსიქოლოგიური უზრუნველყოფიდან და ფსიქოლოგიური მექანიზმებიდან. მათში კონცენტრირებულია საკუთარ შესაძლებლობათა ყველაზე უკეთ უზრუნველყოფელი საქმიანობის სახეობებში მოქმედების პიროვნული საშუალებები, მიმართულება და პირობები.

იქედან გამომდინარე, რომ ფუნქციები რეალიზდება ობიექტური ურთიერთზემოქმედების სისტემაში, შეიძლება დავასკვნათ, რომ თვით ფსიქოლოგიური თვისება, რომელიც განისაზღვრება როგორც უნარი ასეთი ურთიერთზემოქმედებისადმი, განიხილება როგორც მისი პირობებისა და მთლიანობაში მთელი პროცესის წამყვანი ორგანიზაციული თვისება. ორგანიზაციული საქმიანობის ოპტიმალური ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მართვაში დასაქმებულთა ქცევას და მის მდგრადობას. ქცევის საფუძველი კი არის ინტერესი და ურთიერთზემოქმედების პროცესი. მასში ვლინდება არა მარტო ადამიანის ტემპერამენტული ხასიათობრივი თავისებურებები, არამედ პიროვნების მიმართულების ძირითადი ელემენტები, ანუ ფსიქიკური რეაგირების უზრუნველყოფელი პარამეტრების მთელი ერთობლიობა, რომელიც ხელს უწყობს ფსიქიკური პროცესისა და ცხოველყოფილების გარე პირობების ჰარმონიზაციას.

ფსიქოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ადამიანებში ეფექტური კომუნიკაციური უნარის ფორმირება, ქცევის მდგრად სტრადეგიასთან ღრმად დაკავშირებული, პიროვნული ინტერესიდან იხოლირებულად. იგი (ეფექტური კომუნიკაციური უნარი) ისეთი პირობების შექმნის საშუალებას იძლევა, რომელშიაც ურთიერთზემოქმედებისადმი ინტერესი რეალიზდება ოპტიმალურად. მაშინ, როცა კომუნიკაციური უნარი არაა დაკავშირებული პიროვნულ ინტერესთან და თვით ურთიერთზემოქმედების საშუალებანი და მათი რეალიზაციის პირობები არ გულისხმობს პირდაპირი კავშირების დიდ რაოდენობას, არ ხდება ასეთი ურთიერთზემოქმედების ობიექტისადმი ინტერესის ფორმირება. ასეთ

შემთხვევაში თვით ურთიერთზემოქმედება განხორციელდება არსებული წესების მიხედვით, პიროვნული ჩართულობის გარეშე, ანუ ფორმალურად მხოლოდ და მხოლოდ ფუნქციების ჩარჩოში. ფუნქციების ნებისმიერი ფორმალური რეალიზაცია კი ყოველთვის წამყვანია არაფორმალურთან შედარებით, რამდენადაც ეს უკანასკნელი ნაკლებადაა დაკავშირებული პიროვნულ ინტერესთან, საქმიანობის ობიექტთან და თვით პროცესთან. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ფორმალურად განხორციელებული ფუნქციების ეფექტიანობის ოპტიმიზაცია და ამაღლება უკიდურესად გართულებულია, ხშირად კი, პრაქტიკულად შეუძლებელიც.

მართვასთან უშუალოდ დაკავშირებული სპეციალისტების შერჩევასთან, თავიდანვე ორიენტაციას იღებენ არა მარტო მართვასთან დაკავშირებული საქმიანობის სახეობათა შესრულების მსურველ პირებზე, არამედ ამ საქმიანობის შესრულების უნარის მქონეებზე. თვით სპეციალისტები კი, რომლებიც ფლობენ მართვის განვითარებულ საშუალებებს და აღმოჩნდებიან თავიანთ შესაძლებლობათა რეალიზაციისათვის ოპტიმალურ პირობებში, არა მარტო წარმატებით ახორციელებენ თავიანთ სამსახურებრივ ფუნქციას, არამედ კმაყოფილებას იღებენ საკუთარი საქმიანობიდან, რამდენადაც ახდენენ თავიანთი პიროვნული ინტერესების რეალიზაციას.

ამრიგად, პიროვნების მდგრად ქცევაში მოქცეული პიროვნული შესაძლებლობების, საქმიანობის პირობებისადმი და საქმიანობის სახეობისადმი ინტერესის შეფარდებითად უბრალო შესაბამისობა უზრუნველყოფს საქმიანობის ფუნქციების ოპტიმალურ და ეფექტურ რეალიზაციას, გასაკუთრებული რეგლამენტირებისა და მკაცრი წესების გარეშე, რომელთა დაცვა არა იმდენად ხელს უწყობს ეფექტიანობის ამაღლებას, რამდენადაც აიძულებს მუშაკებს ფორმალურად შეასრულონ აუცილებელ მოქმედებათ ნაკრები, რომელსაც ყოველთვის არ მოაქვს დადებითი შედეგი. მართვადობის ასეთი გაგება საშუალებას იძლევა გადაწყდეს მართვის ძირითადი მიზანი-საქმიანობის ოპტიმიზაციისა და ეფექტიანობის მიღწევა იმ პირობებში, როცა ნორმირება, რეგლამენტირება და სტიმულირება

პრაქტიკულად გაეღწეოს ვერ(არ) ახდენს შედეგიანობაზე. ცხადია, ამ ფაქტის გათვალისწინება აუცილებელია ადამიანთა მმართველობით საქმიანობაში დასაქმებული სპეციალისტების ტრენინგისას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მმართველობითი საქმიანობისათვის განსაკუთრებით მაღალი კვლიეფიკაციის სპეციალისტების შერჩევა საქმის ნახევარიც კი არ არის, აუცილებელია მათი ხარისხიანად მართვა, ე. ი. საჭიროა მათ არა მარტო გადაუხადო ხელფასი, უზრუნველყო პროფესიული საქმიანობის კარგი პირობებით, არამედ არეგულირო მათი მიზნების ფორმირების პირობები სისტემა საქმიანობის ზოგადორგანიზაციულ მიზანთა ჩარჩოებში. მაშინ როცა მართვა ასეთ ამოცანას უმკლავდება, ორგანიზაცია არა მარტო ოპტიმალურად და ეფექტიანად ფუნქციონირებს, არამედ ვითარდება და ხდება მაღალკონკურენტუნარიანი და გარე ფაქტორებზე ნაკლებდამოკიდებული.

**Psychological Aspects  
of Human Resource Management**

**N. Paichadze**

The article considers some of the Psychological Aspects which are connected to such problems of Human Resource Management as follows: management functions connected to provisions for staff of organizational activity, formation of organization workers' professional suitability and assessment, formation of personal interest concerning the type of activity, internal organizational system of human recourse management, creation of organizational model of human activity, effective communication skills, formation of a person's stable behavior and others.

**ადამიანური რესურსების სამსახურის**

**ფუნქციები თანამედროვე ეტაპზე**

**ნაირა ლველაშვილი**

ოსუ ასოცირებული პროფესორი

ადამიანური რესურსების სამსახურების წარმოშობას არც ისე დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველად 1912 წელს აშშ-ში წარმოიქმნა სპეციალური ქვედანაყოფები, რომლებსაც აკისრებდნენ ადმინისტრაციასა და პერსონალს შორის შუამავლის ფუნქციებს სოციალური მშვიდობის უზრუნველსაყოფად. ისინი იქცნენ პერსონალის სამსახურების პირველ სახედ. 1920-იან წლებში კადრების განყოფილებები გავრცელდა მთელ ევროპაში. 1930-იან წლებში მას მიენიჭა პერსონალთან მიმართებით ერთიანი პოლიტიკის შემუშავების, შრომითი ხელშეკრულების დადებისა და მისი შესრულების კონტროლის უფლებამოსილებები. ამასთან, 1960-იან წლებამდე, ამ სტრუქტურების საქმიანობა ითვლებოდა დამხმარედ, საკადრო მუშაობა არ იმყოფებოდა ხელმძღვანელობის ყურადღების ცენტრში.

ინდუსტრიული შრომა, მისი ვიწრო სპეციალიზაციით, უხეში რეგლამენტაციით, პრიმიტივიზმით, ერთფეროვნებით, მონოტონურობით, მოითხოვდა განათლების დაბალი დონისა და პრიმიტიული ინტერესების მქონე შემსრულებლებს. მათთან მუშაობა შეიძლება შემოფარგლულიყო ფორმალური მომენტებით. ამიტომ თვლიდნენ, რომ სპეციალური პროფესიული მომზადება არ იყო საჭირო.

ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სისტემამ თანდათან განიცადა ტრანსფორმაცია და გადაიქცა ადამიანური რესურსების მენეჯმენტის ინტეგრირებულ სისტემად (საკადრო პოტენციალის არქიტექტორი მენეჯერი).

დღეს კი, სამუშაოს გაზრდილი მნიშვნელობისა და მრავალპროფილიანობის გამო, წინანდელი საკადრო სამსახურები დასავლეთის ფირმებში გარდაიქმნა ადამიანური რესურსების სამსახურებად. ამ ქვედანაყოფებს სათავეში უდგანან ხელმძღვანელობიდან მეორე პირები. მათ აქვთ ფართო უფლებამოსილებები. მათთვის გამოსყოფილია საუკეთესო ოფისები, რადგან ისინი ორგანიზაციის „სავიზიტო ბარათია“.

აშშ-ში ადამიანური რესურსების სამსახურში დაკავებულთა დაახლოებით ნახევარი მლნ თანამშრომელი (საშუალოდ 10-15 ადამიანი 1000 მომუშავეზე), თანაც უმსხვილეს კომპანიებში კადრების მუშაკების 30%-მაგისტრი და მეცნიერებათა დოქტორია. რუსეთში კადრის ერთი მუშაკი მოდის 50—100 ადამიანზე, გერმანიაში – 130-150-ზე, საფრანგეთში – 130-ზე, იაპონიაში კი – 40-ზე.<sup>1</sup>

ადამიანური რესურსების სამსახურების მუშაობაში დღეს შეიძლება გამოვყოთ სამი მიმართულება:

### 1. სტრატეგიული, რომლის ამოცანაა:

- შიგა და გარე საკადრო სიტუაციის ანალიზი;
- საკადრო პოლიტიკისა და ხელფასის დარგში პოლიტიკის საფუძვლების ფორმირება;
- ადამიანური რესურსების მართვის სისტემის განვითარება;
- ადამიანურ რესურსებზე მოთხოვნილების განსაზღვრა (უპირველეს ყოვლისა, ხარისხთან მიმართებით) ბიზნესის ამათუბ იმ სტრატეგიის რეალიზაციის გათვალისწინებით;
- ადამიანური რესურსების განვითარება, მისი მომზადება—გადამზადება, მათი რაციონალური ფორმების, ვადების, პერიოდულობის განსაზღვრა და ა. შ.

### 2. საშუალოვადიანი მიმართულება.

<sup>1</sup> Веснин В. Р. Управление персоналом: теория и практика. М., 2007, с. 70-74.

- ორგანიზაციული ცვლილებებისათვის ადამიანური რესურსების მომზადება;

- ადამიანური რესურსების შეფასების მეთოდების შემუშავება და ა. შ.

3. საკადრო მუშაობა ხანმოკლე პერიოდში, რაც გულისხმობს:

- საშტატო განრიგების შედგენას, ადამიანური რესურსების მოზიდვის, მიმდინარე გეგმების შედგენას, ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის ამაღლებას და ა. შ.
- ადამიანური რესურსების შერჩევასა და განლაგებას;
- უახლოესი საკადრო გადანაცვლებების დაგეგმვას;
- ადამიანური რესურსების დამაგრებაზე ღონისძიებების ჩატარებას.

ადამიანური რესურსების სამსახურების მუშაობის ხარისხი არაპირდაპირ შეიძლება განესაზღვროთ შრომის მწარმოებლურობის, კადრების დენადობის, გაცდენების, უბედური შემთხვევების რაოდენობის, წუნის დონის, საჩივრების რაოდენობის, სხვა სამუშაოზე გადაყვანის შესახებ განაცხადებებისა და ა. შ. ცვლილებების მიხედვით.

ადამიანური რესურსების სამსახურების მუშაობის ეფექტიანობა განპირობებულია მათი საქმიანობის შედეგად განვითარებული ეკონომიით, რომელიც, კერძოდ, დაკავშირებულია ისეთ მომენტებთან, როგორიცაა:

- შრომითი დისციპლინის განმტკიცება და დროის დანაკარგის აღმოფხვრა;
- ადამიანურ რესურსებზე ხარჯების ოპტიმიზაცია;
- შრომის კეთილსასურველი პირობებისა და მუშაკების ჯანმრთელობის შენარჩუნება;
- სამუშაოზე საუკეთესო სპეციალისტების მიღება;
- მატერიალური და მორალური წახალისების პროგრესული სისტემების შემუშავება.

**ადამიანური რესურსების სამსახურის ძირითადი ფუნქციები:**

ადმინისტრაციის დახმარება ფირმის სტრატეგიისა და ორგანიზაციული ცვლილებების ფორმირებაში, ხელსაყრელი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნაში, კონფლიქტების თავიდან აცილებასა ან მოწესრიგებაში და სხვ;

მონაწილეობა სოციალური პარტნიორობის პოლიტიკის რეალიზაციაში;

ადამიანური რესურსების განვითარების, ხელახალი სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზაცია, პროფესიული ზრდისა და შემოქმედებითი აქტივობის სტიმულირება, მუშაკების ცოდნის, ჩვევებისა და გამოცდილების ეფექტიანი გამოყენებისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფა;

ადამიანური რესურსების ყველა კატეგორიისათვის შრომის ხელსაყრელი პირობების შექმნა, ტრავმატიზმის შემცირების, ტექნოლოგიური და შრომითი დისციპლინის განმტკიცების გზების ძიება;

ადამიანური რესურსების ხარჯების მართვა (ხელფასი, შეღავათები და გადასახადები, სოციალური განვითარების პროგრამები), ადამიანური რესურსების შრომის ანაზღაურების მექანიზმის სრულყოფა, მისი სტიმულირების პროგრამების შემუშავება.

ადამიანური რესურსების აუდიტის ობიექტებს წარმოადგენს შემდეგი პროცესები: ადამიანური რესურსების დაგეგმვა; შერჩევა; შეფასება და ატესტაცია; ადაპტაცია; სწავლა და განვითარება; რეზერვის მომზადება; ინოვაციურობა; ორგანიზებულობა; ადამიანური რესურსებით ორგანიზაციის უზრუნველყოფა და ა. შ.

ორგანიზაციის სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა სტადიაზე ადამიანური რესურსების სამსახურების ფუნქციები არაერთგვაროვანია:<sup>1</sup>

• **ორგანიზაციის ფორმირების სტადიაზე** ადამიანური რესურსების სამსახური ჯერ კიდევ არ არსებობს, არ არის შემუშავებული ადამიანურ რესურსებთან მუშაობის პრინციპები, დოკუმენტაციის ნიმუშები, მაგრამ საკადრო დონისძიებები აუცილებელია. მას მიეკუთვნება ორგანიზაციული სტრუქტურის დაპროექტება, კადრების შეკრებაზე, შერჩევაზე, სწავლებაზე დანახარჯების განხორციელება, შრომის ანაზღაურება, მომავალი მუშაკებისადმი მოთხოვნათა ჩამოყალიბება და სხვ;

• **ინტენსიური ზრდის სტადიაზე** ადამიანური რესურსების სამსახურის ამოცანებში შედის ახალი პერსონალის მოწვევა და კორპორაციული კულტურის განვითარება. სამუშაოზე იწვევენ თანამშრომლებს, რომლებსაც შეუძლიათ ამ კულტურის, ქცევის ნორმებისა და წესების აღქმა;

• **სტაბილიზაციის სტადიაზე** ადამიანური რესურსების სამსახურის საქმიანობაში მთავარია ადამიანური რესურსების შეფასება, რეზერვების მოძიება, კარიერის დაგეგმვა, საკითხების გადაჭრა იმის შესახებ, ვიმოქმედოთ წინა მეთოდებით თუ გარდავქმნათ ისინი;

• **კრიზისის სტადიაზე მნიშვნელოვან** როლს ასრულებს საკადრო პოტენციალის შემცირების ორგანიზაცია. ეს საშუალებას იძლევა გადაჭრილ იქნეს პროფესიული მომზადების ფაქტობრივი და საჭირო დონის განსხვავებულობის პრობლემები.

**ადამიანური რესურსების სამსახურის სტრუქტურა**, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია ფუნქციებზე, რომლებსაც ისინი ასრულებენ, ასევე, ორგანიზაციაში მუშაკების რაოდენობაზე.


ადამიანური რესურსების სამსახური ეწევა ამ სფეროში ვითარების ანალიზს, განსახორციელებელ სამუშაოთა მართვას, ორგანიზებას, კოორდინირებასა და მეთოდურ უზრუნველყოფას.

<sup>2</sup> ავტორთა კოლექტივი. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი. თბ., 2009, გვ.93.

**Functions of Human Resource Management Department on Modern Stage**

N. Ghvedashvili

The article deals with the development of human resource management strategy and unified staff policy and its realization, implantation of the main procedures regarding human resources so that they meet the contemporary requirements, development of relevant normative, institutional, organizational and resource basis, implementation of the programs for improvement and development of human resources and other important issues.



**საერთაშორისო ვაჭრობის მენეჯმენტი და საქართველოს სასულიერო განათლების განყოფილების ამაღლების კონკრეტული მიმართულებები**

ვიორჰი ლაღანიძე  
**ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,  
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის  
დეკანის მოადგილე**

საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარება იყო და რჩება აქტუალურ თემად, რაზეც მუდმივად მიმდინარეობს ცხარე კამათი. გასაგებია, სწორედ ამან უნდა უზრუნველყოს მძიმე სოციალური პრობლემების და პირველ რიგში, დასაქმების პრობლემის მოგვარება. ამასთან დაკავშირებით ბევრია ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრება. განსაკუთრებით მწვავეა დამოკიდებულება საქართველოს მთავრობის მიერ ეკონომიკურ კურსად გამოცხადებული ეკონომიკური ლიბერალიზაციის საკითხის მიმართ. წინამდებარე პუბლიკაციის მიზანია ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და საექსპორტო პოტენციალის ამაღლების საკითხების ურთიერთკავშირის ანალიზი, ასევე საერთაშორისო ვაჭრობის მენეჯმენტის თანამედროვე მიდგომების საფუძველზე საექსპორტო პოტენციალის ამაღლების კონკრეტული მიმართულებების და გზების დასახვა.

საქართველოს ეკონომიკური აღმავლობა და ექსპორტის ზრდა 2005-08 წლებში მიმდინარეობდა მსოფლიო ეკონომიკის ზრდის ტენდენციების პარალელურად, მკვეთრად იზრდებოდა საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები და საგარეო ინვესტიციები მსოფლიოში და შესაბამისად საქართველოშიც. თუმცა, დასაქმების პრობლემა არსებითად არ იქნა გადაწყვეტილი. ეს იმით აიხსნება,

2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
2200	2201	2202	2203	2204	2205	2206	2207	2208	2209	2210
2300	2301	2302	2303	2304	2305	2306	2307	2308	2309	2310
2400	2401	2402	2403	2404	2405	2406	2407	2408	2409	2410
2500	2501	2502	2503	2504	2505	2506	2507	2508	2509	2510
2600	2601	2602	2603	2604	2605	2606	2607	2608	2609	2610
2700	2701	2702	2703	2704	2705	2706	2707	2708	2709	2710
2800	2801	2802	2803	2804	2805	2806	2807	2808	2809	2810
2900	2901	2902	2903	2904	2905	2906	2907	2908	2909	2910
3000	3001	3002	3003	3004	3005	3006	3007	3008	3009	3010
3100	3101	3102	3103	3104	3105	3106	3107	3108	3109	3110
3200	3201	3202	3203	3204	3205	3206	3207	3208	3209	3210
3300	3301	3302	3303	3304	3305	3306	3307	3308	3309	3310
3400	3401	3402	3403	3404	3405	3406	3407	3408	3409	3410
3500	3501	3502	3503	3504	3505	3506	3507	3508	3509	3510
3600	3601	3602	3603	3604	3605	3606	3607	3608	3609	3610
3700	3701	3702	3703	3704	3705	3706	3707	3708	3709	3710
3800	3801	3802	3803	3804	3805	3806	3807	3808	3809	3810
3900	3901	3902	3903	3904	3905	3906	3907	3908	3909	3910
4000	4001	4002	4003	4004	4005	4006	4007	4008	4009	4010
4100	4101	4102	4103	4104	4105	4106	4107	4108	4109	4110
4200	4201	4202	4203	4204	4205	4206	4207	4208	4209	4210
4300	4301	4302	4303	4304	4305	4306	4307	4308	4309	4310
4400	4401	4402	4403	4404	4405	4406	4407	4408	4409	4410
4500	4501	4502	4503	4504	4505	4506	4507	4508	4509	4510
4600	4601	4602	4603	4604	4605	4606	4607	4608	4609	4610
4700	4701	4702	4703	4704	4705	4706	4707	4708	4709	4710
4800	4801	4802	4803	4804	4805	4806	4807	4808	4809	4810
4900	4901	4902	4903	4904	4905	4906	4907	4908	4909	4910
5000	5001	5002	5003	5004	5005	5006	5007	5008	5009	5010
5100	5101	5102	5103	5104	5105	5106	5107	5108	5109	5110
5200	5201	5202	5203	5204	5205	5206	5207	5208	5209	5210
5300	5301	5302	5303	5304	5305	5306	5307	5308	5309	5310
5400	5401	5402	5403	5404	5405	5406	5407	5408	5409	5410
5500	5501	5502	5503	5504	5505	5506	5507	5508	5509	5510
5600	5601	5602	5603	5604	5605	5606	5607	5608	5609	5610
5700	5701	5702	5703	5704	5705	5706	5707	5708	5709	5710
5800	5801	5802	5803	5804	5805	5806	5807	5808	5809	5810
5900	5901	5902	5903	5904	5905	5906	5907	5908	5909	5910
6000	6001	6002	6003	6004	6005	6006	6007	6008	6009	6010
6100	6101	6102	6103	6104	6105	6106	6107	6108	6109	6110
6200	6201	6202	6203	6204	6205	6206	6207	6208	6209	6210
6300	6301	6302	6303	6304	6305	6306	6307	6308	6309	6310
6400	6401	6402	6403	6404	6405	6406	6407	6408	6409	6410
6500	6501	6502	6503	6504	6505	6506	6507	6508	6509	6510
6600	6601	6602	6603	6604	6605	6606	6607	6608	6609	6610
6700	6701	6702	6703	6704	6705	6706	6707	6708	6709	6710
6800	6801	6802	6803	6804	6805	6806	6807	6808	6809	6810
6900	6901	6902	6903	6904	6905	6906	6907	6908	6909	6910
7000	7001	7002	7003	7004	7005	7006	7007	7008	7009	7010
7100	7101	7102	7103	7104	7105	7106	7107	7108	7109	7110
7200	7201	7202	7203	7204	7205	7206	7207	7208	7209	7210
7300	7301	7302	7303	7304	7305	7306	7307	7308	7309	7310
7400	7401	7402	7403	7404	7405	7406	7407	7408	7409	7410
7500	7501	7502	7503	7504	7505	7506	7507	7508	7509	7510
7600	7601	7602	7603	7604	7605	7606	7607	7608	7609	7610
7700	7701	7702	7703	7704	7705	7706	7707	7708	7709	7710
7800	7801	7802	7803	7804	7805	7806	7807	7808	7809	7810
7900	7901	7902	7903	7904	7905	7906	7907	7908	7909	7910
8000	8001	8002	8003	8004	8005	8006	8007	8008	8009	8010
8100	8101	8102	8103	8104	8105	8106	8107	8108	8109	8110
8200	8201	8202	8203	8204	8205	8206	8207	8208	8209	8210
8300	8301	8302	8303	8304	8305	8306	8307	8308	8309	8310
8400	8401	8402	8403	8404	8405	8406	8407	8408	8409	8410
8500	8501	8502	8503	8504	8505	8506	8507	8508	8509	8510
8600	8601	8602	8603	8604	8605	8606	8607	8608	8609	8610
8700	8701	8702	8703	8704	8705	8706	8707	8708	8709	8710
8800	8801	8802	8803	8804	8805	8806	8807	8808	8809	8810
8900	8901	8902	8903	8904	8905	8906	8907	8908	8909	8910
9000	9001	9002	9003	9004	9005	9006	9007	9008	9009	9010
9100	9101	9102	9103	9104	9105	9106	9107	9108	9109	9110
9200	9201	9202	9203	9204	9205	9206	9207	9208	9209	9210
9300	9301	9302	9303	9304	9305	9306	9307	9308	9309	9310
9400	9401	9402	9403	9404	9405	9406	9407	9408	9409	9410
9500	9501	9502	9503	9504	9505	9506	9507	9508	9509	9510
9600	9601	9602	9603	9604	9605	9606	9607	9608	9609	9610
9700	9701	9702	9703	9704	9705	9706	9707	9708	9709	9710
9800	9801	9802	9803	9804	9805	9806	9807	9808	9809	9810
9900	9901	9902	9903	9904	9905	9906	9907	9908	9909	9910
0000	0001	0002	0003	0004	0005	0006	0007	0008	0009	0010

1 ცხრილში მუქად არის სასაქონლო ჯგუფები რომლებიც გაეკვე ყოველ წელს, დახრილად არის სასაქონლო ჯგუფები რომლებიც გვხვდება 6 ან მეტ წელს, ხოლო ჩვეულებრივად დანარჩენი სასაქონლო ჯგუფები.

რომ ექსპორტი იზრდებოდა ფასების ზრდის ხარჯზე, და, რა თქმა უნდა, ეს ხელს ვერ შეუწყობდა ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოს საექსპორტო პროდუქციის ნომენკლატურა ძალზე შეზღუდულია, ხოლო ახალი საექსპორტო პროდუქტები არ იქმნებოდა, რის გარეშეც ახალი სამუშაო ადგილები ვერ შეიქმნებოდა. ამ დებულების სისწორის შესამოწმებლად ავტორის მიერ გაანალიზებულ იქნა საქართველოს ექსპორტის მაჩვენებლები 2000-2010 წლებში ჰარმონიზებული სასაქონლო ნომენკლატურის ოთხნიშნა დონეზე. ამასობაშიც ის სასაქონლო ჯგუფები, რომელთა წილი მთლიან ექსპორტში 2%-ზე ნაკლები იყო, ასევე ჯართი. ანალიზის შემდგომ ეტაპზე მოხდა წლების ლიდერი საექსპორტო ჯგუფების გამოყოფა. შედარებითი ანალიზის შედეგები მოყვანილია პირველ ცხრილში.

თითოეული სასაქონლო ჯგუფის სახელწოდება მოტანილია დანართ ცხრილში.

ანალიზის შემდგომი ეტაპისათვის აუცილებელი იყო საექსპორტო სასაქონლო ჯგუფის პოტენციალის ისეთი მაჩვენებლები, როგორცაა: წილი საქართველოს მთლიან ექსპორტსა და მსოფლიო ექსპორტში, სასაქონლო ჯგუფში საექსპორტო პროდუქტების რაოდენობა, სამი პროდუქტის წილი ჯგუფის ექსპორტში, სამი ბაზრის წილი და სპეციალიზაციის ინდექსი. (იხ. ცხრილი 2).

ამ მონაცემების ანალიზი მიანიშნებს ქართული ექსპორტის ორ ფუნდამენტურ პრობლემაზე როგორცაა: საექსპორტო პროდუქტების სიმცირე და საბაზრო დივერსიფიკაციის დაბალი დონე. ამ მოსაზრების დასადასტურებლად მოტანილია საექსპორტო პროდუქციის დინამიკა 2005-2009 წლებში საქართველოს, სომხეთის, მაკედონიის, ბულგარეთის და ირლანდიის მაგალითზე.

კოდი	ექსპორტის წილი (%) მთლიანი მთავარი მთავარი	ექსპორტის წილი (%) მთავარი მთავარი	საქსპორტო პოტენციალი	საქსპორტის კოეფიციენტი წილი (%)	საქსპორტის მაჩვენებელი წილი (%)	საქსპორტის წილი (%) მთლიანი მთავარი მთავარი
22	7,27	0,15	12	99,7	99,7	11,2
26	7,21	0,1	9	97,2	97,2	9,2
37	2,97	0,02	3	97,7	97,7	2,1
31	1,6	0,14	6	99,9	99,9	1,4
72	1,46	0,09	27	99,7	99,7	6,4
71	7,26	0,04	9	99,9	99,6	2,0
44	1,26	0,02	24	71,2	97,2	1,9
88	0,7	0,01	1	100,0	99,2	0,7
01	1,42	0,11	1	100,0	99,2	11,0
25	0,12	0,0	2	100,0	100,0	0,2
22	1,12	0,06	15	92,4	90,2	1,2
30	0,64	0,0	16	92,9	91,1	0,2
82	0,25	0,02	6	99,2	99,2	2,9
87	0,64	0,0	27	17,9	16,4	0,1

<sup>1</sup> ცხრილი შედგენილია საქრთაშორისო სავაჭრო ცენტრის (ITC) მონაცემების საფუძველზე.

ქვესუკატეგორია	2009	2010	2011	2012	2013
საქსპორტული	1224	1132	1099	1012	857
საშენობო	52	1020	569	547	902
საქსპორტული	3139	1960	2012	1962	827
მთლიანი	3944	3571	3527	3521	2486
რაოდენობა	3420	3452	3531	3617	3602

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საერთაშორისო სავაჭრო სტატისტიკა აღრიცხავს 5000 ნომენკლატურის საქსპორტო საქონელს და თუ, საქართველოს მაჩვენებლებს შეეუდარებთ ბულგარეთის (ევროკავშირის წევრი სახელმწიფოა 2007 წლიდან), მაკედონიის (ევროკავშირის წევრი გახდება საგარეოდ 2012-2013 წლებში) მაჩვენებლებს ნათელი გახდება, რომ მდგრადი ეკონომიკური განვითარების გზაზე საქართველოს დიდი და რთული ეტაპი აქვს გასავლელი. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ დადებითი ტენდენციაც - 2005 წლიდან 2009 წლამდე საქსპორტო პროდუქციის რიცხოვნობა გაიზარდა 44,5%-ით. რეს უდავოდ მაღალი შედეგია და ალბათ, გაამყარებს იმ არგუმენტს, რომ ლიბერალიზაციამ გარკვეული ხელშესახები შედეგები მოიტანა.

ანალიზმა წარმოაჩინა ისეთი სერიოზული პრობლემები, როგორცაა: საბაზრო სასაქონლო დივერსიფიკაციის დაბალი დონე, ახალი საქსპორტო პროდუქტების შექმნის ძალზე დაბალი ტემპი და ა.შ. რა შეიძლება ავიღოთ საერთაშორისო ვაჭრობის მენეჯმენტის თანამედროვე თეორიიდან მათ გადასაწყვეტად? რა გზებით შეიძლება მოხდეს საქართველოს საქსპორტო პოტენციალის შემდგომი ზრდა და სხვ.

თავდაპირველად ზოგადად უნდა განვიხილოთ შესაძლო თეორიული მოდელები და შემდგომ გავაანალიზოთ მათი კონკ-

<sup>1</sup> ცხრილში გამოყენებულია საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის (ITC) მონაცემები.

რეტული რეალიზაციის გზები საქართველოში.

საექსპორტო პოტენციალის ზრდა შესაძლებელია: 1. არსებული საექსპორტო პროდუქტების წარმოების პოტენციალის უკეთ გამოყენებით, კერძოდ ა) არსებული საექსპორტო პროდუქტების უფრო დიდი რაოდენობით გაყიდვით იმავე ფასებით; ბ) არსებული საექსპორტო პროდუქტების იმავე რაოდენობით გაყიდვით უფრო მაღალ ფასად; გ) არსებული საექსპორტო პროდუქტების ბაზაზე უფრო მაღალი დამატებული ღირებულების პროდუქტების წარმოებით და საექსპორტო რეალიზაციით.

2. ახალი საექსპორტო პროდუქტების შექმნით;

3. რეექსპორტის ხელშეწყობით, კერძოდ - თავისუფალი სავაჭრო რეჟიმების, მოქნილი საბაჟო რეჟიმების, თავისუფალი სავაჭრო ზონების ფორმირების ხარჯზე.

თითოეული აღნიშნული მიმართულების რეალიზაცია დაკავშირებულია კონკრეტულ ძალისხმევასთან და ამდენად უნდა გამოგვეთოსთ თუ რომელი მიმართულება უნდა ჩაითვალოს ყველაზე მიზანშეწონილად საქართველოს ეკონომიკური განვითარების ამ ეტაპზე. შესაბამისად უნდა ჩამოვაყალიბოთ ფაქტორთა ჯგუფი, რომლის მიხედვითაც მოხდება შეფასება. საქართველოს ეკონომიკური პრობლემებიდან გამომდინარე, ალბათ, დასაქმების პრობლემა ერთ-ერთი ყველაზე მწვავეა და ამდენად საექსპორტო პოტენციალის უკეთ გამოყენება უნდა შეფასდეს დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის თვალსაზრისითაც. რასაკვირველია, თითოეული მიმართულება ხელს შეუწყობს საექსპორტო შემოსავლების ზრდას და ამდენად უპრიანია შეფასებისათვის ავიღოთ ისეთი მაჩვენებელი, როგორცაა ერთეულის რელატიური ღირებულება (relative unit value), ანუ კონკრეტულ ქვეყანაში ექსპორტირებული პროდუქციის ერთეულის საშუალო ღირებულების ფარდობა ამავე ტიპის პროდუქციის საშუალო ღირებულებასთან მსოფლიო ექსპორტში (იხ. ცხრილი 4).

სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენა საექსპორტო პოტენციალის ზრდაზე<sup>1</sup>

მიმართული პროდუქტი	ახალი საექსპორტო პროდუქტების შექმნა	ერთეულის რელატიური ღირებულება
არსებული საექსპორტო პროდუქტების უფრო დიდი რაოდენობით გაყიდვა იმავე ფასებით	დადებითი	დადებითი
არსებული საექსპორტო პროდუქტების იმავე რაოდენობით გაყიდვა უფრო მაღალ ფასად	დადებითი	სამუდამი
არსებული საექსპორტო პროდუქტების ბაზაზე უფრო მაღალი დამატებული ღირებულების პროდუქტების წარმოება და საექსპორტო რეალიზაცია	სამუდამი	დადებითი
ახალი საექსპორტო პროდუქტების შექმნა	დადებითი	სამუდამი
რეექსპორტის ხელშეწყობა	სამუდამი	დადებითი

მოცემული ანალიზიდან იკვეთება, რომ პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს 3 და 4 მიმართულებას, ხოლო კონკრეტულ შემთხვევებში ასევე შესაძლებელია 2 და 5 მიმართულების ხელშეწყობა. თუ უფრო დეტალურად განვიხილავთ აღნიშნულ მიმართულებებს, ერთი შეხედვით, მესამე და მეოთხე მიმართულება უკავშირდება ახალი საექსპორტო პროდუქტების შექმნას, თუმცა, არსებობს პრინციპული განსხვავებაც. უფრო მაღალი დამატებული ღირებულების საექსპორტო პროდუქციის წარმოება, ფაქტობრივად, უკვე არსებული საექსპორტო პროდუქტის (ნედლეულის) გადამამუშავებას გულისხმობს. ამდენად, სანედლეულო ბაზის ადგილზე არსებობა აადვილებს საინვესტიციო საქმიანობას. შესაბამისად, უფრო მარტივია ინვესტორის მოზიდვა, ვინაიდან რესურსი ადგილზე არსებობს. მაგალითად, განვიხილოთ მადნები და კონცენტრატები სპილენძის ან ხე-ტყის მასალა, გასწვრივ დახერხილი ან დაპობილი,

<sup>1</sup> ცხრილი შედგენილია საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის (ITC) მონაცემების საფუძველზე.

სისქით 6 მმ-ზე მეტი ან ოქრო დაუმუშავებელი ან ნახევრადდამუშავებული ან ფხვნილის სახით. ამ შემთხვევაში პოტენციური ინვესტორისაგან მოითხოვება არა იმდენად ფინანსური რესურსები, რამდენადაც საექსპორტო ბაზრების მოთხოვნების სიღრმისეული ცოდნა. ამ ამოცანის გადაწყვეტა შესაძლებელია ექსპორტის მენეჯმენტის კომპანიის შემოყვანით, რომელიც საკონსულტაციო მომსახურებას გაუწევს ქართულ კომპანიებს. ასევე მიზანშეწონილია საექსპორტო ალიანსების ფორმირების ხელშეწყობა რამდენიმე ადგილობრივი კომპანიის ბაზაზე. სახელმწიფოს მხრიდან დახმარება შემოიფარგლება ექსპორტის მენეჯმენტის კომპანიების მოძიებით და საწყისი მოლაპარაკებების წარმართვით.

გაცილებით უფრო რთულია ახალი საექსპორტო პროდუქტის შექმნა. ინვესტორების გარეშე შეუძლებელი იქნება ამ ამოცანის გადაჭრა. უდავოა, რომ საქართველომ უნდა აითვისოს ახალი საექსპორტო პროდუქტები და ამას შესაბამისად მე-3 ცხრილის მონაცემებიც ადასტურებს.

როგორ უნდა დავაინტერესოთ პოტენციური ინვესტორები ისეთი საექსპორტო პროდუქტების წარმოებით, რომელიც საქართველოში არ შექმნიდა? ალბათ, ამ პრობლემის გადაწყვეტის შესაძლებლობა ეკონომიკის შემდგომ ლიბერალიზაციაშია. კერძოდ, შესაძლებელია საქართველოს მთავრობამ შექმნას გარკვეული ნუსხა ახალი საექსპორტო პროდუქტებისა, ასევე შესაქმნელი სამუშაო ადგილების მინიმალური რაოდენობა, მინიმალური საათობრივი ანაზღაურების სკალა, ხოლო პოტენციურ ინვესტორებს შესთავაზოს დამატებითი შეღავათები: მოგების გადასახადიდან სრული განთავისუფლება პირველი ხუთი წლის მანძილზე, დაქირავებულთა საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრა არა უმეტეს 13%-სა, შემდგომ 5 წელიწადში მოგების გადასახადის დაბეგვრა რეგრესიული სკალით. საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებული ეკონომიკური თავისუფლების აქტი, ახალი გადასახადის დაწესებას ან არსებული გადასახადის გაზრდას ითვალისწინებს

მხოლოდ რეფერენდუმით. ეს გადაწყვეტილება პოტენციური ინვესტორებისთვის იქნება საგადასახადო პირობების უცვლელობის მყარი გარანტია ინვესტიციის განხორციელებიდან 10 წლის განმავლობაში.

მეორე მიმართულების მკაფიო მაგალითად გამოდგება ღვინის და ალკოჰოლური პროდუქციის სასაქონლო ჯგუფი. აქ ამოცანა დაიყვანება სწორ მარკეტინგულ სტრატეგიაზე - ქართული ღვინის, როგორც უნიკალური პროდუქტის, იმიჯის აგებაზე.

მესამე მიმართულება წარმოადგენს, ერთი მხრივ, საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის უპირატესობების სრულად გამოყენების მცდელობას, მეორე მხრივ კი, რეექსპორტი, ხშირ შემთხვევაში, ხელს უწყობს ადგილობრივად საექსპორტო პროდუქციის წარმოებას. კერძოდ, რეექსპორტის პერიოდში დაგროვილი საბაზრო გამოცდილება ქმნის დამატებით სტიმულებს ადგილზე მოხდეს ანალოგიური პროდუქციის წარმოება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ბაზრებს, რომლებზეც ხორციელდება რე-ექსპორტი (ძირითადად ესაა სამხრეთი კავკასია და ცენტრალური აზიის სახელმწიფოები), უნდა შეფასდეს რა ტიპის პროდუქციის რეექსპორტი იქნება შესაძლებელი და ეს პროცესი მაქსიმალურად უნდა გამარტივდეს შესაბამისი საბაჟო პროცედურებით და ორმხრივი სავაჭრო შეთანხმებებით.

ცალკე უნდა გამოიყოს რამდენიმე სასაქონლო ჯგუფი, რომელსაც განვითარების მაღალი პოტენციალი გააჩნიათ, ესენია: სასუქები მინერალური ან ქიმიური, აზოტოვანი; ელექტროენერჯია; ცემენტი; სამკურნალო საშუალებები. ამ სასაქონლო ჯგუფებში საქართველოს გააჩნია ფარდობითი უპირატესობები და მათი უფრო მაღალი ტემპით რეალიზაცია დამოკიდებული იქნება შესაბამისი სავაჭრო რეჟიმის გამარტივებაზე. კერძოდ, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები ევროკავშირთან, აშშ-სთან საქართველოსთვის წარმოადგენს სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხს. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირსა და აშშ-სთან თავისუფალი







**ორგანიზაციული კულტურის ღინამიგმი  
უნევეტი ცვლილებების პირობებში**

ნინო ზარქაშვილი

**ეკონომიკის აკადემიური დოქტორი**

მენეჯერებს ორგანიზაციებში ხშირად უწევთ საქმიანობა გაურკვეველ სიტუაციებში. ისინი ხშირად აწყდებიან ისეთ გარემოებებს, როგორცაა მსხვილი კლიენტის დაკარგვა, კრიზის დაძლევა, მუშაკთა პოზიტიური განწყობისა და მაღალი ორგანიზაციული მწარმოებლობის შენარჩუნება. საერთოდ თანამედროვე კომპანიები ფუნქციონირებს გარე ფაქტორების ყოველდღიური ცვლილებების პირობებში, რომელთა გარკვეული ნაწილის ზემოქმედება მძიმეა და თანაც გრძელვადიანი. ამიტომ, ორგანიზაციები არ უნდა ჩამორჩეს თანამედროვე ტექნოლოგიურ პროგრესს. მათ უნდა შესწავდეთ უნარი სტრატეგიებსა და ბიზნეს მოდელებში იპოვონ საკუთარი ადგილი, იმოქმედონ გლობალური კონკურენციის, შიგა და გარე გარემოებების გაურკვეველობის, რესურსების შეზღუდულობის, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური სფეროების ცვლილებების პირობებში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობა და სამუშაო ძალა ხდება სულ უფრო მრავალფეროვანი თავისი შემადგენლობით, რაც, თავის მხრივ წარმოქმნის გარკვეულ სირთულეებს. ორგანიზაციებმა უნდა გამოიყენოს ეს მრავალფეროვნება და განავითაროს კორპორაციული კულტურა; იპოვოს ბალანსი მუშაკების როგორც სამსახურებრივი მოვალეობების, ასევე საშინაო ვალდებულებების შესრულებას შორის; კონფლიქტების

დარეგულირება უნდა მოხდეს კონსტრუქციულად. კონფლიქტები, რიგ შემთხვევაში, წარმოიქმნება პერსონალის მისწრაფებით მმართველობითი ძალაუფლებისა და პასუხისმგებლობის გაფართოებაზე. ბევრი მუშაკი ცდილობს მიიღოს მონაწილეობა მმართველობითი საკითხების გადაჭრაში. ზოგჯერ ადმინისტრაციული სტრუქტურები კარგავს თავის ფუნქციას, მათში ქრება მთელი რიგი მმართველობითი საფეხური, ხოლო ისინი ვინც იმყოფებიან იერარქიის დაბალ საფეხურებზე, ერთიანდებიან ჯგუფებში, რაც იწვევს მმართველობით გადაწყვეტილებებში თანამშრომლების მიერ შესასრულებელი ფუნქციების ცვლილებებსა და აქტიურ ჩარევას. ამასთან, საჭიროა ორგანიზაციაში დავამატოთ საქმიანობის ახალი საშუალებები, როგორცაა ვირტუალური ჯგუფები, ტელეკომუნიკაციები და ა. შ.

იმისთვის, რომ მენეჯმენტის სამყაროში მიმდინარე რევოლუცია გამოწვეული ცვლილებების „ტალღას“ მოერგოს, კომპანიაში საჭიროა მმართველის ახალი ტიპი, რომელიც აცნობიერებს როგორც თანამედროვე სამყაროს ყველა სირთულეს, ასევე იმ გარემოებას, რომ მასში იდეალური „მარშრუტების“ არსებობა შეუძლებელია. მმართველობითი რევოლუცია მოითხოვს მინიმალური დანახარჯების შედეგად მაქსიმალური სარგებლის მიღებას, ორგანიზაციის თითოეული წევრის აქტიურ მონაწილეობას შრომით პროცესში, ცვლილებებისადმი პოზიტიურ დამოკიდებულებასა და ყველასათვის მისაღებ და დამაკმაყოფილებელ კორპორაციულ კულტურას. მენეჯმენტისადმი თანამედროვე მიდგომები მმართველობითი საქმიანობის შესახებ მნიშვნელოვნად განსხვავდება ტრადიციული შეხედულებებისაგან, შესაბამისად, არასწორი და პრაგმატულ-ანალიტიკური მიდგომა კომპანიას გაკოტრებით ემუქრება.

თანამედროვე ტექნოლოგიური წარმოების წესის პირობებში მენეჯერი ადეკვატურად უნდა აზროვნებდეს, მისი მოქმედება

უნდა ემყარებოდეს შიგა ინტეგრაციასა და კარგად ცნობილ, დროით გამოცდილ მართვის ხერხებსა და თანამედროვე მიდგომებს. ასეთ შემთხვევაში მთავარ ადგილს იკავებს მუშაკთა პიროვნული თვისებები და მათი ემოციური დამოკიდებულება და მიდრეკილება შრომითი პროცესებისადმი. ამასთან, ცხადია, ორგანიზაციები წარმატებას აღწევს მენეჯერთა ხელმძღვანელობით, ყოველი მენეჯერი დგას არჩევანის წინაშე: ან დაიკავოს ადგილი რევოლუციის ავანგარდში და გადააქციოს თავისი ორგანიზაცია გამორჩეულ კომპანიად, ანდა დარჩეს წაგებული და ჩამორჩეს თანამედროვეობას.

მენეჯმენტის ერთ-ერთი მთავარი ასპექტია ადამიანების როლისა და მნიშვნელობის აღიარება. გონიერმა მენეჯერებმა იციან, რომ ორგანიზაციის სხვა წევრების მონაწილეობის გარეშე ისინი ვერაფერს მიაღწევენ. ცნობილი მეცნიერის მერი პარკერ ფოლეტის აზრით, ჩვენ საქმე გვაქვს „სხვა ადამიანების მუშაობის უზრუნველყოფის ხელსაწყოებსა და ხელსაწყოებს“, ხოლო ცნობილი თეორეტიკოსის პიტერ დრუკერის განმარტებით, მენეჯერები განსაზღვრავენ ორგანიზაციის განვითარების მიმართულებას, გამოდიან ლიდერის როლში და იღებენ გადაწყვეტილებებს ორგანიზაციის რესურსების გამოყენების შესახებ იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს დასახული მიზანი.

თანამედროვე მსოფლიოსათვის დამახასიათებელია უწყვეტი განვითარება. ყოველდღიურად ორგანიზაციები აწყდებიან დიდ თუ პატარა კრიზისებს. ორგანიზაციებში არსებულ პატარ-პატარა ლოკალურ უსიამოვნებას ემატება კრიზისები გლობალური მასშტაბით. კრიზისის პირობებში ორგანიზაციული რეალობა მენეჯერებისაგან მოითხოვს ისეთი უნარების გამოყენებას, როგორცაა: სიმშვიდის შენარჩუნება, რეალობის სწორი აღქმა, ბიზნესზე მაღლა ადამიანთა დაყენება, ობიექტურობა და სხვა.

ორგანიზაციული კულტურა, რომელიც საერთო მოქმედე-

ბების, ფასეულობებისა და მრწამსის სისტემაა, ვითარდება ორგანიზაციაში და სწორედ ორგანიზაციული კულტურით ხელმძღვანელობენ ორგანიზაციის წევრები თავიანთ ქცევებში.<sup>1</sup> ისევე როგორც ყველაფერში ერთმანეთის იდენტური ორი ადამიანი არ არსებობს სამყაროში, არ არსებობს ორი იდენტური კულტურა. მეცნიერები, რომლებიც იკვლევენ მართვის პროცესებს და მენეჯმენტის კონსულტანტები სულ უფრო ხშირად მსჯელობენ იმის შესახებ, რომ კულტურულ განსხვავებებს შეუძლია მიახდინოს დიდი გავლენა ორგანიზაციის ეფექტიანობასა და მათი წევრების შრომითი საქმიანობის ხარისხზე. კოლექტიური გამოცდილება ეხმარება ორგანიზაციის წევრებს გადაწყვიტონ ორი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც დაკავშირებულია გადარჩენასთან. პირველი – ესაა გარემოსთან ადაპტაციის პრობლემა: თუ რა და როგორ უნდა გაკეთდეს; მეორე – ესაა შინაგანი ინტეგრაციის პრობლემა: როგორ წვევებენ ორგანიზაციის წევრები ყოველდღიურ პრობლემებს, რომელიც დაკავშირებულია საერთო საქმიანობასა და ერთობლივ არსებობასთან.

გარემოსთან კავშირი გულისხმობს მიზნების მიღწევას და საქმიანობას უცხო ადამიანებთან. ამასთან, დღის წესრიგში დგება აქტუალური საკითხების გადაწყვეტის და წარუმატებლობის დაძლევის გზებისა და მეთოდების ამოქმედების ამოცანა.

ერთობლივი საქმიანობის გამოცდილების წყალობით ორგანიზაციის წევრებს შესაძლოა განუვითარდეთ საერთო შეხედულებები, რომლითაც ისინი ხელმძღვანელობენ ყოველდღიურ ცხოვრებაში. ორგანიზაციის წევრებმა უნდა იცოდნენ ორგანიზაციის ნამდვილი მისია. როგორც წესი, ორგანიზაციის წევრებს უვითარდებათ იმის გაგება, თუ რა პირადი წვლილის შეტანა შეუძლიათ მათ ორგანიზაციის მისიის შესრულებაში. ამასთან, ორგანიზაციაში შემავალ თითოეულ კოლექტივს უნდა

<sup>1</sup> თ. ხომერიკი, მენეჯმენტის საფუძვლები, თსუ გამომც., თბ., 2008წ., გვ. 95.

შეედლოს: გარე ძალებიდან გამოსვლას მეტნაკლებად მნიშვნელოვანი; დაადგინოს თავისი საქმიანობის შეფასების ხერხები; განსაზღვროს, თუ რატომ არ სრულდება ზოგჯერ დასახული მიზნები; დაბოლოს, არსებობს გარემოსთან ადაპტაციის საკითხი, რომელიც ეხება გარე რეალობასთან ურთიერთობის ორ მნიშვნელოვან ასპექტს, რასაც ხშირად უგულებელყოფენ. პირველ რიგში, საქმე ეხება ორგანიზაციის დადებითი გამოცდილების გაცნობას სხვა კოლექტივებისათვის, ასევე, გარემოსთან ადაპტაციას. ყოველივე ეს გარემომცველ რეალობასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს გულისხმობს, როგორცაა: როგორია ორგანიზაცია და მისი თითოეული წევრის როლი და ფუნქცია; რა ამოცანებია დაყენებული კოლექტივის წინაშე; რა უნდა გაკეთდეს დასახული მიზნების შეუსრულებლობისას; როგორ გადაეცეს გარემოცვას დადებითი გამოცდილება; აუცილებლობისას როგორ გამოვიდეთ თამაშიდან და ა.შ.

კორპორაციული კულტურა იძლევა პასუხს შინაგანი ინტეგრაციის საკითხებზეც. შინაგანი ინტეგრაცია გულისხმობს კოლექტიური ერთობის შექმნას და იმ ხერხების მოძიებას, რომლებიც აერთიანებს ცხოვრებასა და სამუშაოს. შინაგანი ინტეგრაციის პროცესი ხშირად იწყება უნიკალური ინტეგრაციის დადგენით, ე.ი. ყოველი კულტურა და სუბკულტურა ორგანიზაციის შიგნით გამოიმუშავებს საკუთარ უნიკალურ განსაზღვრულობას. სიახლეების დანერგვის რეალური პროცესი იწყება იმ მომენტში, როცა ჯგუფის წევრები კოლექტიურად იჯერებენ იმას, რომ მათ შესწევთ ძალა შეცვალონ გარემოს მნიშვნელოვანი მოვლენები, ხოლო ის, რაც მათ ესახებათ საშიშროებად, სინამდვილეში ცვლილებების განხორციელების საშუალებას იძლევა.<sup>1</sup>

არსებობს საერთო საქმიანობის მთელი რიგი ასპექტი: აუცილებელია გადაწყდეს ვინ არის ჯგუფის წევრი და ვინ არა; ზოგადად ეფექტიანი მართვა გულისხმობს, რომ უშუალოდ ხელმძ-

ღვანელები უნდა იქნენ აღქმული, როგორც ჯგუფის წევრები და უნდა წარდგინდნენ, როგორც მათი წარმომადგენლები უფრო მაღალი დონის მეგობრულად განწყობილი მენეჯერების წინაშე.

ერთობლივი მუშაობის ეფექტიანობისათვის, ორგანიზაციის წევრებმა კოლექტიურად უნდა გადაწყვიტონ როგორ გადანიშნავენ ძალაუფლებას, სტატუსს და ავტორიტეტს. ასევე უნდა ჩამოყალიბდეს საერთო გაგება იმის შესახებ, თუ ვინ იმსახურებს ჯილდოს და რა სანქციები უნდა გამოიყენებოდეს ამა თუ იმ დარღვევებზე. ძალიან ხშირად მენეჯერებს არ შეუძლიათ დაძლიონ შინაგანი ინტეგრაციის ეს უმნიშვნელოვანესი ასპექტები. მაგალითად, მენეჯერს არ შეუძლია ახსნას რომელიმე პირის სამსახურებრივი წინსვლის საფუძველი და დემონსტრაცია გაუკეთოს იმ გარემოებას, რომ ეს ჯილდო, მასთან დაკავშირებული სტატუსითა და ძალაუფლებით, რომელიც ეძლევა ახალ თანამდებობასთან ერთად, ეთანხმება ჯგუფის საერთო მრწამსს.

წარმატებული გუნდის ჩამოყალიბებისათვის ადამიანებმა უნდა აღიარონ, რომ ჯგუფის ზოგიერთი წევრი მათთვის იქნება უფრო მისაღები, ვიდრე სხვები. თუმცა, მეგობრული დამოკიდებულება გარდაუვალია. ასე, რომ შინაგანი ინტეგრაცია მოიცავს თანაარსებობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან კითხვებს: რას წარმოადგენს გუნდისათვის უნიკალური ერთობა, როგორ ვუყურებთ სამყაროს, ვინ არის ჯგუფის წევრი, როგორ განაწილებთ ძალაუფლებას, სტატუსსა და ავტორიტეტს, როგორ ვახორციელებთ კომუნიკაციებს, რა არის მეგობრობის საფუძველი და ა. შ. ამ კითხვებზე პასუხებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ორგანიზაცია არა მხოლოდ სამუშაო ადგილია, არამედ უჯრედი, სადაც ადამიანები ატარებენ სიცოცხლის უმეტეს ნაწილს.

მცირე ზომის ფირმები ხშირად ფლობენ დომინანტურ კულ-

<sup>1</sup> ნ. ფარესაშვილი, ორგანიზაციული ქცევა, II ნაწილი, უნივერსალი, თბ., 2010წ. გვ. 49.

ტურას საერთო ქმედებების, ფასეულობებისა და მრწამსის მოელი ნაკრებით. უფრო მსხვილ ორგანიზაციებში არსებობს რამდენიმე სუბკულტურა, აგრეთვე, ერთი ან რამდენიმე კონტრკულტურა. საინტერესოა, რომ ორგანიზაციის ძლიერი სუბკულტურები ხშირად ჩნდება მაღალი დონის შესრულების სპეციალიზებულ ჯგუფებსა და გუნდებში. კულტურა ფორმირდება იმისათვის, რათა გააერთიანოს ადამიანები, რომლებიც ინტენსიურად მუშაობენ საერთო ამოცანის გადასაწყვეტად. საპირისპიროდ, კონტრკულტურები ფლობს ფასეულობების ნაკრებს, რომელიც უარყოფს გარემომცველ კულტურას.<sup>1</sup> ორგანიზაციის შიგნით კონტრკულტურა შეიძლება წარმოიშვას ფირმების შერწყმისა და ერთი ფირმის მიერ მეორე ფირმის შთანთქმის შედეგად. შთანთქმული ფირმების მუშაკებს შეუძლიათ ირწმუნონ ფასეულობები, რაც სერიოზულად განსხვავდება მშთანთქმელი ფირმის ფასეულობებისაგან. ეს მოვლენა ცნობილია „კორპორაციული კულტურების შეჯახების“ სახელით.

ნებისმიერი მსხვილი ორგანიზაცია ახდენს პოტენციურად მნიშვნელოვანი სუბკულტურული დაჯგუფების იმპორტს, როდესაც იღებს სამუშაოდ ახალ თანამშრომლებს. იაპონურ ორგანიზაციებში სუბკულტურა ხშირად ფორმირდება ერთი და იმავე უნივერსიტეტის დამთავრების ან ერთი და იმავე გეოგრაფიული ადგილიდან წარმოშობის ბაზაზე. ევროპულ ფირმებში დიდი მნიშვნელობა აქვს ეთნიკურ და სქესობრივ კუთვნილებას, აგრეთვე, საერთო ენას. ნაკლებად განვითარებული ერების შემთხვევაში, საზოგადოებაში პოპულარული სუბკულტურისა და კონტრკულტურის ფორმირების საფუძველია ენა, განათლების დონე, რელიგია და ოჯახის სოციალური მდგომარეობა. იმის მიხედვით, რაც უფრო მეტი ფირმა ხდება გლობალური და თავის საქმიანობის გასაფართოებლად მიმართავს შერწყმას და შთანთქმას, მათ უწევთ გადაწყვიტონ ბევრი პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია სუბ-

კულტურის იმპორტსა და კორპორაციული კულტურების შეფასებასთან. გარე სამყაროდან ჯგუფის იმპორტთან დაკავშირებით არსებული სირთულეები განისაზღვრება იმით, თუ რამდენადაა ეს ჯგუფები მოცემულ კონკრეტულ ორგანიზაციაში დროული. ერთ-ერთი უკიდურესი გამოვლენაა ის, რომ ფირმის უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელები უბრალოდ იღებენ ამ განსხვავებას და მუშაობენ მრავალფეროვნებაზე დაფუძნებული კულტურის ჩარჩოებში. ასეთი მიდგომა იწვევს სამი ტიპის სიძნელეს: პირველი, დაქვემდებარებული ჯგუფები, რომლებიც არიან ერთი რელიგიის ან ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები, მიდრეკილნი არიან შექმნან კონტრკულტურა, თავაუღებლად იმუშაონ საკუთარი სტატუსის ასამაღლებლად და არა მოლიანად, მთელი ფირმის ასაყვავებლად. მეორე, ფირმა შეიძლება შეეჯახოს მისთვის რთულად დასაძლევ ფართომასშტაბიან კულტურულ ცვლილებებს. ფირმები, რომლებიც მისდევს ძველ ადათწესებსა და ცრურწმენებს, უფრო ზარალდება კარგი მუშაკების წასვლითა და კომუნიკაციის მზარდი პრობლემებისგან, რაც იწვევს პერსონალში კონფლიქტებს, ვიდრე მათი უფრო პროგრესული კონკურენტები. მესამე, ფირმებმა, რომლებიც უშვებენ კულტურის ბუნებრივ დაყოფას, შეიძლება განიცადოს სერიოზული დაბრკოლებები საერთაშორისო საქმიანობაში.

ფირმების მიზანია მულტიკულტურული ორგანიზაციების ჩამოყალიბება, რომელიც ხასიათდება მრავალფეროვნებით. ზოგიერთი პრობლემა და მასთან არსებული და დამუშავებული მიდგომები, რაც უნიკალურია ერთი ქვეყნისთვის, შეიძლება მიუღებელი აღმოჩნდეს სხვა ქვეყნებში გაადგილებული ორგანიზაციებისათვის. მულტიკულტურული ორგანიზაციის შესაქმნელად, მეცნიერ ტ. კოქსის მიერ შემოთავაზებულია პროგრამა, რომელიც შედგება სხვადასხვა ეტაპისაგან: სოციალიზაციის მიზნით ორგანიზაციამ უნდა განავითაროს პლურალიზმი. ამ ამოცანის შესასრულებლად

საზოგადოებაში არსებული სხვადასხვა ჯგუფის წევრებმა უნდა ასწავლონ ერთმანეთს, რაც გამოიწვევს ცოდნის გაფართოებას და სტერეოტიპების დაძლევას; ფირმამ უნდა განახორციელოს თავისი სტრუქტურის სრული ინტეგრაცია, რათა არ იყოს არავითარი პირდაპირი კავშირი ადამიანის კუთვნილების რომელიმე ჯგუფის მიმართ და მის მიერ შესრულებულ განსახდერულ სამუშაოს შორის. ფირმამ უნდა მოახდინოს არაფორმალური ქსელების ინტეგრაცია, რისთვისაც უნდა დაძლიოს ბარიერები და გაზარდოს ორგანიზაციის საქმიანობაში თანამშრომელთა მონაწილეობის ხარისხი; ფირმა არ უნდა არსებობდეს მხოლოდ საზოგადოებაში არსებულ რომელიმე ჯგუფისათვის; ორგანიზაციამ აქტიურად უნდა იმუშაოს პიროვნებათშორისი კონფლიქტების აღმოსაფხვრელად, რაც წარმოიქმნება ჯგუფური იდენტურობის ან საზოგადოების ფენებად დაყოფის საფუძველზე. კოქსის პროგრამების დანერგვასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემაა: ფირმის გამოყოფა საერთო კულტურიდან, რომლის ჩარჩოებშიც ის ფუნქციონირებს და ჯგუფებად დაყოფის აღმოსაფხვრა.

ორგანიზაციული კულტურის მნიშვნელოვანი კომპონენტები უკავშირდება სწორედ ორგანიზაციის წევრების კოლექტიურ გამოცდილებას. კულტურის ეს ასპექტები განსახდერავს მის უნიკალურობას, რასაც შეუძლია მიანიჭოს ორგანიზაციას უპირატესობა კონკურენტულ ბრძოლაში. ამ ასპექტებიდან ზოგიერთი შეიძლება უშუალოდ შეიმჩნეოდეს ყოველდღიურ საქმიანობაში, სხვები შეიძლება გამოვლინდეს ამა თუ იმ სახით.

ორგანიზაციული კულტურა ხშირად ამახვილებს ყურადღებას იმაზე, თუ რამდენად არის მისაღები მოქმედების სხვადასხვა ტიპი და მიუთითებს ორგანიზაციის ცალკეული წევრის დაპირისპირებაზე ორგანიზაციულ სისტემასთან. ეს კულტურული წესები და რალი არის ნორმატიული კონტროლის ნაწილი ორგანიზაციის მხრიდან და გამომდინარეობს მისი ყოველდღიური

საქმიანობიდან. ის, რაც შეუძლია დაინახოს როგორც რიგითმა დამკვირვებელმა, ყოველთვის არ ემთხვევა იმას, რასაც ხედავენ ორგანიზაციის წევრები.

ორგანიზაციული კულტურის სრულად აღწერისათვის საჭიროა დაკვირვების ასპექტებში შედარებით უფრო ღრმა ფენებს ჩაეწვდეთ. მრავალი მკვლევარისა და მენეჯერისათვის ორგანიზაციული კულტურის ბირთვი არის საერთო ფასეულობაც, რომელსაც იზიარებს ორგანიზაციის ყველა წევრი. საერთო ფასეულობები ხელს უწყობს რუტინული საქმიანობის გარდაქმნას გააზრებულ, მნიშვნელოვან ქცევად; ის აკავშირებს კორპორაციის ფუნქციებს საზოგადოების მნიშვნელოვან ფასეულობებთან. ამას ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს უპირატესობის წყაროდ კონკურენტულ ბრძოლაში.

ორგანიზაციები „ძლიერი კულტურით“, ფლობს ფასეულობების ფართო და ღრმა სისტემებს, რასაც იზიარებენ მათი თანამშრომლები. უნიკალური საერთო ფასეულობები აძლიერებს კოლექტივის ერთიანობას, აძლევს სოციალური სისტემის სტაბილურობის გარანტიას და ხელს უწყობს ფორმალური და ბიუროკრატიული კონტროლის უარყოფას. მაგრამ, ძლიერი კულტურა შეიძლება იმავდროულად აღმოჩნდეს ორღესული მახვილი. ძლიერ კულტურასა და ფასეულობათა სისტემას შეუძლია გააძლიეროს ერთიანი შეხედულება ორგანიზაციასა და მის გარემოცვაზე, მაგრამ, თუ ძირეული გარდაქმნების საჭიროება იქნება, მაშინ ასეთ ორგანიზაციაში ეს ძალიან რთული იქნება.

მენეჯმენტის ფილოსოფია აერთიანებს ფასეულობებსა და თანამშრომლობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რაც მოითხოვს ისეთი მეტოდების შემუშავებას, რომელიც ხელს შეუწყობს ფირმებს საქმიანობის გაუმჯობესებაში. მენეჯმენტის ფილოსოფიის ძირეულ დამუშავებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ფირმა ყველა წევრს სთავაზობს ადეკვატური ქცევის ფორმებს ახალ

სიტუაციაში, უზრუნველყოფს თანამშრომელთა ერთიანობას და იძლევა მათი მიზნის წარმატებით განხორციელების გარანტიას. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სტრატეგიისა და კულტურის კავშირს ფირმის მენეჯმენტის ისეთ ძირითად ელემენტებთან, როგორცაა: თანამშრომლებისთვის უფლებამოსილების მინიჭება იდეების სწრაფ გენერირებასა და მათ ცხოვრებაში გატარებაზე; სამსახურში საუკეთესო მუშაკების დაქირავება, რადგან მათი ინტელექტუალური იდეები და ფასეულობები ხელს შეუწყობს წარმატებას; ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება, რომელიც წარმოშობს ახალ იდეებს. მენეჯმენტის ფილოსოფიის ელემენტები შეიძლება ფორმალურად ჩაიწეროს კორპორაციის დოკუმენტებში, მაგრამ მთავარია მისი საფუძვლების ღრმა გაგება. ორგანიზაციული მოქმედებების გაანალიზებისას ყურადღება ექცევა ორგანიზაციული კულტურის მართვის ორ სტრატეგიას. ერთ-ერთი მათგანი მოუწოდებს მენეჯერებს თავიანთი შესაძლებლობები მიმართონ დასაკვირვებელი კულტურის მოდიფიკაციაზე, საერთო ფასეულობებსა და დაშვებებზე. მეორე სტრატეგია ითვალისწინებს ორგანიზაციის განვითარების მეთოდებისა და კულტურის სპეციფიკური ელემენტების მოდიფიკაციას.

დღესდღეობით, თანამედროვე ტექნოლოგიების ახალი ტალღის მქონე ფირმები იყენებს მოქმედებათა წინაპირობებს, ფასეულობებსა და ორგანიზაციული განვითარების მეთოდს. გარე ადაპტაციასა და შიგა ინტეგრაციას აქვს უდიდესი მნიშვნელობა სხვადასხვა სუბკულტურისათვის. ამ ორი პარამეტრის გაუმჯობესებისათვის გამოიყენება ორგანიზაციული განვითარების მეთოდი, თუმცა, მუშაკებს არ კარნახობენ რომელი ფასეულობებით იხელმძღვანელონ ან როგორ იმოქმედონ. ამას განსაზღვრავენ მენეჯერები თავიანთ დაქვემდებარებულებთან ერთად.

მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად, ქართულ ორგანიზაციებშიც ბევრი პრობლემა არსებობს. ხშირ შემთხვევაში განვი-

თარების იგივე ფაზაში მყოფ ქვეყნებში მოქმედ ორგანიზაციებში პრობლემების განსაკუთრებით მსგავსება არსებობს. თუმცა, ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობა და კულტურული თავისებურებები, დამოუკიდებელი საქმის კეთების ტრადიციები და ისტორია, განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობის სპეციფიკაზე.

ადამიანების დაუმსახურებლად დაწინაურების სისტემა საკმაოდ გავრცელებული პრობლემაა. მენეჯმენტი, როგორც წესი, დაწინაურების მიზნით გამოარჩევს იმ ადამიანებს, რომლებმაც, ამა თუ იმ საქმის შედარებით მაღალი ხარისხით კეთებით გამოიჩინეს თავი, რაც ძალიან ხშირად არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ყოველმხრივ პროფესიონალები არიან. მათი უმრავლესობა აგრძელებს მიღებული დავალებების დამოუკიდებლად შესრულებას იმის ნაცვლად, რომ მათდამი დაქვემდებარებული ადამიანები ჩართონ და მონაწილეობა მიადებინონ პრობლემების განხილვასა და გადაწყვეტილებების მიღებაში. ეს კი ამცირებს დაქვემდებარებულების მოტივაციასა და ორგანიზაციის ეფექტიანობას.

ორგანიზაციის წევრებმა, ხშირ შემთხვევაში, არ იციან, თუ რას ელიან მათგან. შესაბამისად, დროს არასწორად ანაწილებენ. ფუნქციონალური დუბლირება და ვაკუუმი ხდება ხელისშემშლელი ფაქტორი ყოველდღიურ მუშაობაში. ეს, ერთი მხრივ, ართულებს მუშაობას და, მეორე მხრივ, ამცირებს ეფექტიანობას. ქართულ ორგანიზაციებში ხშირად ადგილი აქვს არასაკმარის და არასწორ დელეგირებას, ქვედა რგოლის თანამშრომლებისგან წამოსულ ინიციატივებს ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. ეს კი იწვევს იმას, რომ ენთუზიაზმით აღსავსე თანამშრომლები სწრაფად კარგავენ ინიციატივებს და პასიურ ცხოვრებას შეგუებული თანამშრომლების რიგებს უერთდებიან.

ადგილობრივ ორგანიზაციებში პერსონალის დიდ ნაწილს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს იმაზე, თუ რა არის მათი გრძელ-

ვადიანი და საშუალოვადიანი ამოცანები, საით მიდიან და რას უნდა მიაღწიონ. მიზნებში არასაკმარისი სიცხადე ავტომატურად იწვევს არასათანადო კომუნიკაციას და რესურსების არასწორ ხარჯვას.

ერთ-ერთი თავისებურებაა კონკურენტული ურთიერთობების მკვეთრი ასახვა პირად ურთიერთობებზე. საქმიან ნიადაგზე წარმოქმნილი უთანხმოება ძალიან ხშირად ხდება პიროვნული დაპირისპირების მიზეზი, რიგითი თანამშრომლები, რომლებიც კონკურენტებად მოიაზრებენ ერთმანეთს, პიროვნულად, არც თუ იშვიათად, ვედარ იტანენ ერთმანეთს. ეს გაცილებით უფრო რთული დასარეგულირებელია, ვიდრე ფრაგმენტული, საქმიდან გამომდინარე უთანხმოება. პიროვნული დაპირისპირება სწრაფი ტემპით იწვევს ორგანიზაციულ კრიზისს.

ორგანიზაციული კულტურა არის მართვის ფილოსოფია და იდეოლოგია, ამდენად, მენეჯმენტი უნდა შეესატყვისებოდეს ორგანიზაციულ კულტურას და ხელს უწყობდეს მის ფორმირებას და განვითარებას. დიდი მნიშვნელობა აქვს ორგანიზაციულ ქცევას საწარმოთა განვითარების და ეფექტიანობის ამღებების პროცესში. თანამედროვე მენეჯმენტი მწვავე პრობლემად აღიქვამს ორგანიზაციული ქცევის საკითხებს, რადგან ორგანიზაციული კულტურის დახვეწა და განვითარება ბიზნესის განვითარების საწინდარია.

დასასრულ, რამდენადაც ჩვენ ვცხოვრობთ უწყვეტი პროგრესული ცვლილებების პირობებში, მხოლოდ მას, ვინც მუდმივად იმაღლებს კვალიფიკაციას, შეუძლია მიჰყვეს ცვლილებებს დაუბრკოლებლად. იმისათვის, რომ ორგანიზაციული კულტურა დარჩეს კონკურენტუნარიანი, აუცილებელია უწყვეტი რეჟიმით თვითშემოწმება და გეგმური ცვლილება, რათა ღირსეული პასუხი გავცეთ რთული გარე სამყაროს გამოწვევას, წარმატებით გავემკლავდეთ ყველა პრობლემას და გამოვიყენოთ ყველა

შესაძლებლობა.

*Dinamizm Aspects of Organizational Culture  
in the Conditions of Daily Changes*

*N. Paresashvili*

Article “Aspects of Organizational Culture in the Conditions of Daily Changes” is concentrated on development of the key issues of management philosophy, which is of great significance, as it links the strategy with its exact understanding. Firm sets the general limit for all members of the form and offers the norms of adequate behavior in the new situation and ensures unity of the staff members and guarantees successful implementation of their goals. It stresses both, the relation between strategy and culture and implementation of the key firm management elements in real life. Here, providing powers to the staff members and prompt generation of ideas is of great significance.

Contemporary management adds great significance to the issues of organizational behavior, as improvement and development of the organizational culture is the key for the development of their business. To ensure competitiveness of the organization culture and “vivid”, regular self-tests and planned changes should be implemented to properly respond to the challenges of the external world, successfully deal with all problems and make advantage of all opportunities.

ქართული ეკონომიკური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის“ სარედაქციო კოლეგიის ყოფილი წევრი, პროფესორი ვახტანგ ბურკაძე 2011 წლის 10 ივნისს 80 წლის გახდებოდა. სამწუხაროდ, იგი ვერ მოესწრო ამ საიუბილეო თარიღის აღნიშვნას (იგი ორიოდე წლით ადრე გარდაიცვალა), თუმცა, მისმა კოლეგებმა, მეგობრებმა და ახლობლებმა ღირსეულად აღნიშნეს ეს თარიღი, რომელსაც სპეციალური სხდომა მიუძღვნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა, შემდგომ კი, აკად. ვ. ბურკაძის შინაარსიანი ცხოვრებისა და მაღალნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობის შესახებ საქმიანი მსჯელობა გაგრძელდა თემატურ საღამო-ვახშამზე, რომელსაც უძღვებოდა აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ო. ქეშელაშვილი.

აღნიშნულ სხდომებზე მოგონებებით გამოვიდნენ აკადემიკოსები: შ. ჭალაგანიძე, ნ. ქარქაშაძე, ო. ქეშელაშვილი, ნ. ჭითანავა, ლ. ჩიქავა, გ. ნიკოლეიშვილი, თ. კუნჭულია; პროფესორები: ჯ. მახარაძე, რ. გოგოხია, ლ. ჩიბურდანიძე, შ. დარსაველიძე, კ. ლურჯია, პ. ლემონჯავა, გ. დოღონაძე, გ. მიქიაშვილი, ე. ძაგანია, ნ. ბურკაძე და სხვები.

აკად. ვ. ბურკაძის საიუბილეო თარიღს მიეძღვნა ასევე საინტერესო კრებული – „ვახტანგ ბურკაძე, დაბადებიდან 80 წლისთავი. ცხოვრება და მოღვაწეობა. მოგონებები“ (რედკოლოგია: ო. ქეშელაშვილი, ჯ. მახარაძე, გ. დოღონაძე, ა. ლაფაჩი), თბ., 2011. წიგნში აკად. ვ. ბურკაძის ცხოვრებისა და შემოქმედების სხვადასხვა ასპექტი გაშუქებულია ო. ქეშელაშვილის, ვ. მეტრეველის, ჯ. მახარაძის, ნ. ბურკაძის, შ. დარსაველიძის, შ. ჭალაგანიძის, ნ. ქარქაშაძის, ნ. ჭითანავას, თ. კუნჭულიას, ლ. ჩიქავას, რ. გოგოხიას, პ. ლემონჯავას, კ. ლურჯიას, გ. შუბლაძის, ა. ჯიბუტის, გ. დოღონაძის, რ. მანველიძის, ა. ლაფაჩის, გ. ძნელაშვილის, ლ. ჩიბურდანიძის, ე. ძაგანიას, მ. მეჭურჭლიშვილის, გ. გურგენიძის, ს. თურმანიძის, ი. ფალელაშვილის, თ. ლაჭყვიანი და სხვების საინტერესო და შინაარსიანი მოგონებებში, რომელთა საერთო აზრია ის, რომ სახელგანთქანი მეცნიერის, ბრწყინვალე პიროვნებისა და დიდი მამულიშვილის ხსოვნა მარად დაუვიწყარი იქნება.

რევაზ გოგოხია

---

---

გადაეცა ასაწყობად - 10.06.2011  
ხელმოწერილია დასაბეჭდად - 25.06.2011  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი - 12, გირაჟი - 150.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა,  
0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14.  
0128, Tbilisi, 14, I. Chavchavadze Av.  
[www.press.tsu.ge](http://www.press.tsu.ge) (25-14-32).

დაიბეჭდა სტამბაში - „გეორგია“  
თბილისი, ჯიქიას 10.

კომპიუტერული უზრუნველყოფა -  
მანანა ჯიხვიშვილი.